# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 სექტემბერი 2003 №179 (1950) | ფასი 50 თეთრი



ინტერვიუ სფფ-ის გენერალურ მდივან
ვალერი ჩოლარიასთან იხილეთ მეორე გვერდზე

# საზამთრო ფეხბურთის ფედერაციისთვის

დეკემბერში დასანიშნი ნაკრების
უცხოელი მწვრთნელიც გამოდგომაზეა

# ქართული ფეხბურთი გარმონია: არ წყდება გაწევ-გამოწევა

## საქმის გამრჩევებს საქმეს ურჩევენ





ვიტ-ჯორჯია — ლოკომოტივი. სტუმართა კარში ბურთის შევარდნას ლოკომოტიველი მწვრთნელის გოჩა ტყებუჩავას მოედანზე შევარდნა მოჰყვა

# 70 ათასი ჩვენგან

მთავრობას კი როგორც იქნა შერცხვა



## ბიძინა გეგიძეს ფული და გული მოუბრუნდა

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# ფეხბურთით მკვდარი



გუშინ იტალიაში გულშემატკივარი გარდაიცვალა... იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# ფედერაცია ჯერ არავის მკონტრაქტებს

*საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს 11 ოქტომბერს მოსკოვში ჩაამთავრებს და 5 დეკემბრამდე დაისვენებს. არა, მომდევნო თამაში ჩვენებს არც დეკემბერში აქვთ დაგეგმილი და არც კვიპროსის სათებერვლო საერთაშორისო ტურნირამდე.*

*5 დეკემბერი ჩვენი ნაკრებისთვის ამხანაგურ მატჩზე გაცილებით მნიშვნელოვანი დღეა — ფიფას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა აქვს დანიშნული. სწორედ 5 დეკემბრის კენჭისყრაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ჩვენი ნაკრების მომავალიც. როგორი სიძლიერის ჯგუფიც შეხვდება ეროვნულ გუნდს, იმ დონის მწვრთნელი დაენიშნება ნაკრებს.*

*იქამდე კი ათასი ჭორი, ათასი კითხვა და ვარაუდია. ფეხბურთის ფედერაცია უცხოეთიდან, ნაირ-ნაირი სააგენტოებიდან თუ ჟურის მწვრთნელისგან ნაირ-ნაირ წინადადებებს იღებს, ესავარ და ისაო, აქ მითამაშია და იქ მიმუშავიაო, ეს მომიგია და ის დამიმარცხებიაო... სააგენტოები კლიენტის, მწვრთნელები თავის რეკლამას არ ერიდებიან. ფეხბურთის ფედერაციაში კი ყველა ასეთ წინადადებას, უფრო სწორად, თითქმის ყველას არასერიოზულად თვლიან და გაცილებით სერიოზული მოლაპარაკებებისთვის ემზადებიან. ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ამბობს — თებერვალში, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ნაკრებს ავტორიტეტული უცხოელი მწვრთნელი უთავკაცებსო.*



*ვალერი ჩოლარიას გუშინ შევხვდით და სანაკრებო პერსპექტივაზე ვესაუბრეთ*

— რუსეთთან 11 ოქტომბრის მატჩამდე საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბში ცვლილება არ იქნება — გვითხრა გენერალურმა მდივანმა — უკვე 12 ოქტომბრიდან კი მაღალკვალიფიციური უცხოელის მოსაძებნად დავიწყებთ მუშაობას, თუმც დანიშვნამდე, 5 დეკემბრის კენჭისყრას დაველოდებით. იქამდე სავარაუდო კანდიდატებთან წინასწარი მოლაპარაკებები გვექნება.

**— დღესდღეობით სერიოზული კანდიდატი არავინ ჩანს?**

— ორ-სამ სერიოზულ სპეციალისტთან გვქონდა სატელეფონო საუბარი, თუმც კონკრეტული არაფერი თქმულა. პასუხისგან თავი ყველამ შორს დაიჭირა, კენჭისყრას დაველოდოთო. ამათ გარდა უცხოური სააგენტოებისგან და მწვრთნელებისგან ყოველდღიურად ახალ-ახალ შემოთავაზებას ვიღებთ. ჯერჯერობით არც ერთ წინადადებას არ განვიხილავთ — მათ არც ჰოს ვეუბნებით, არც უარს.

**— რატომ?**

— კენჭისყრას ველით.

**— გასაგებია, კენჭისყრას იმიტომ ელით, რომ გათვალოთ და გაითვალისწინოთ თქვენი ფინანსური შესაძლებლობები. მწვრთნელები რატომღა გთხოვენ დეკემბრამდე დაცდას?**

— მათ თავიანთი გეგმები აქვთ.

**— კერძოდ?**

— მწვრთნელმა ხომ უნდა იცოდეს, მისგან რას ითხოვენ?

**— თქვენი მოთხოვნა ხომ ერთი იქნება — მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯგუფში მეტოქეთა ვინაობის გარკვევამდე მწვრთნელი ვერ მოგვცემს წარმატების გარანტიას. არის კიდევ ბევრი სხვა საკითხი, რისი მოგვარებაც მეტოქეთა გარკვევის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**— იმ სამი-ოთხი მწვრთნელის ვინაობას არ გაგვიმხელთ, რომლებსაც ესაუბრეთ?**

— არა. გეტყვით, რომ სახელოვანი სპეციალისტები არიან.

**— ალბანეთთან მატჩებს მწვრთნელობის რომელიმე კანდიდატი ხომ არ დასწრებია?**

— არა, ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი.

**— 30 სექტემბერს შვეიცარიაში რატომ მიემგზავრებით?**

— ნიონში უეფას წევრი ფედერაციების გენერალურ მდივანთა შეკრებაა დაგეგმილი. 1 ოქტომბერს კი იქვე „პუმას" ხელმძღვანელობას შევხვდები. ნაკრების ტექნიკური სპონსორი გაისად, შესაძლოა, სწორედ „პუმა" გახდეს.

**— „ლოტოსთან" კონტრაქტი დამთავრდა?**

— 11 ოქტომბრის მატჩის შემდეგ იწურება „ლოტოსთან" ხელშეკრულების ვადა, თუმც არის შანსი, კონტრაქტი გავაგრძელოთ. ვნახოთ, ესეც კენჭისყრაზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, რუსეთთან მატჩის მერე ყატარში, ქალაქ დოჰაში ფიფას კონგრესზე მივემგზავრებით, სადაც სხვა საკითხებთან ერთად გავიგებთ, თუ რა თანხა გვერგება სამომავლოდ ფიფასგან, როდის მივიღებთ დახმარებას პროგრამა „გოლისგან". ფედერაციის სამომავლო ბიუჯეტსაც ნაწილობრივ ამის შესაბამისად შევადგენთ.

**— საქართველოს ნაკრები თავის სპონსორისგან — „ყაზბეგისგან" — რას უნდა ელოდოს?**

— „ყაზბეგთან" თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია და თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, კონტრაქტის პრეზენტაციას მოსკოვში გაფრენის წინ, 8 ოქტომბერს ვგეგმავთ. კონტრაქტის პირობები კონფიდენციალურია, თუმც გეტყვით, რომ „ყაზბეგი" რეკლამის სანაცვლოდ ვალდებული იქნება, ნაკრები თავისი სხვადასხვა პროდუქციით მოამარაგოს, გამოყოს ფიქსირებული თანხა კონტრაქტის შესაბამისად, ნაკრების ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შემთხვევაში — ბონუსები. ციფრებს ვერ დაგისახელებთ. ფედერაცია კი სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო თანხებს თავად გასწვდება.

**— ოთხშაბათს უეფას სადისციპლინო კომიტეტი გოგა გახოკიძის საკითხს განიხილავს...**

— ჩვენ უეფასა და ფეხბურთელის კლუბს ვაცნობეთ, რომ გახოკიძე გამოყვანილია ეროვნული გუნდის შემადგენლობიდან. უეფა ამ ფეხბურთელის საკითხს უჩვენოდ განიხილავს და გადაწყვეტილებას გვაცნობებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, უეფას დავემორჩილებით. გახოკიძეს არასპორტული საქციელისთვის სანქცია ელის.

**— ფეხბურთის ფედერაციასა და რკინიგზის დეპარტამენტს შორის არსებული ფინანსური დავა როდის უნდა დამთავრდეს?**

— ჩათვალეთ, რომ დამთავრებულია. რკინიგზის დეპარტამენტმა ჩვენი ვალის ნაწილი, 130 ათასი ლარი, საგადასახადოს უკვე გაუსტუმრა, დანარჩენსაც ბიუჯეტში უახლოეს დღეებში გადარიცხავს. ასე რომ, ფედერაცია ბიუჯეტთან პირნათელია, აღარც ჩვენ დაგვრჩება რკინიგზასთან არაფერი გასაყოფი.

**ძოგა ინასარიძე**

## გერმანია

I ბუნდესლიგა. VI ტური

ნიურნბერგი 1:1 ფიურტი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXI ტური

იოკერიტი 2:0 ტურკუ

## პორტუგალია

სუპერლიგა. V ტური

ბელენენსეში 2:0 გიმარაეში

## ნორვეგია

ტიპელიგა. XXI ტური

სოგნდალი 2:2 ვიკინგი

## ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. VIII ტური

ბრნო 0:0 ბანიკი

## შვედეთი

ალსვენსკა. XXII ტური

ენჩიოპინგი 2:0 იორებრო

ჰამარბი 1:0 ჰალმსტადი

იორგრიტე 4:2 იოსტერი

სუპერეტა. XXV ტური

კაფე ოპერა 1:0 ვესტეროსი

საქართველოს უმაღლესი ლიგა. პირველი ეტაპი. 15 ჩემპიონატი. 8 ტური

თბილისი. 21 სექტემბერი. 17 საათი. მოედანი: შევარდენი. 200 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:1 ლოკომოტივი

0:1 ხომერიკი (5), 1:1 დოლიძე (45+)

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, ანნკორველი, იმედაშვილი, ვ. გოგიაშვილი (დათუნაიშვილი 71), დიდმელაშვილი, დ. დოლიძე (გველესიანი 61), ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე, მარცვალაძე, გოცირიძე. სათადარიგონი: მამარდაშვილი, ფეიქრიშვილი, ზვ. ლაბაძე, კვახაძე, სახოკია. მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

ლოკომოტივი: გრიშიკაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ვაშაკიძე, სოსელია (სანიკიძე 80), რ. ონიანი, მ. ბურნაძე (ძამსაშვილი 12), უგრეხელიძე, სირაძე, გ. მიქაძე, ხომერიკი (გოგინაშვილი 65). სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, ქოქიაშვილი, გ. ონიანი, დ. ტყებუჩავა. მწვრთნელი: რევაზ არველაძე

გაფრთხილება: ვაშაკიძე (24), სირაძე (40), ძამსაშვილი (45), კობიაშვილი (77).

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მჭედლიშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (საჩხერე), მ. მახურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. სილაგავა; დირექტორი: მ. კვარაცხელია

ჯარიმა: 19-21; კუთხური: 7-3; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 5-3; თამაშგარე: 1-2

# სამკითხაო მასალა

**ვაჟა ხუციშვილი**

**როცა** მოედანზე მყოფნი ზედიზედ ორ ზუსტ პასს ვერ აკეთებენ, წამდაუწუმ ჯარიმდებიან და ერთმანეთისთვის მუშტის მოღერებაც არ ეზარებათ, ასეთ დროს ფეხბურთი კულისებში გადის, მთავარი მოქმედი პირი კი მსაჯი ხდება.

სწორედ ასე იყო „შევარდენზე", სადაც ფეხბურთი მეორე ტაიმის შუაწელიდან დაბრუნდა. მანამდე სტადიონზე შეკრებილნი ლევან ფანიაშვილის მიერ შესვენებამდე წუთით ადრე დანიშნული პენალტის წარმოშობას არჩევდნენ. საქართველოში ხომ წესია, მსაჯის სასტვენის ხმა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის ქომაგთათვის ლანძღვის დაწყების ნიშანია და არა უბრალოდ თამაშის შეჩერება.

რა მოხდა პირველი ნახევრის მიწურულს? დეკანოსიძე საჯარიმოში შეიჭრა, ჩაწოლილ მცველის ფეხს ბურთი გაარიდა და წაიქცა. ვიტელმა მეურვე მოძრაობაზე რომ დაიჭირა, უდავოა, მაგრამ ლოკომოტიველები მსაჯს უმტკიცებდნენ, დეკანოსიძემ წაიმსახიობა, მცველის ფეხი საერთოდ არ შეხებიაო. იმ კუთხიდან, სადაც ფანიაშვილი იდგა, ეს ეპიზოდი ალბათ ისე აშკარად ჰგავდა წესის დარღვევას, რომ არბიტრმა საპენალტედ დაუსტვინა.

სასტვენს გარჩევა, გაწევ-გამოწევა, პროტესტი, გინება და დოლიძის გოლი მოჰყვა. მალე პირველი ტაიმი დასრულდა, ოღონდ სხვა სანახაობა დაიწყო. „ლოკომოტივის" მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა გასახდელისკენ მიმავალ მსაჯთა ტრიოს დაეწია, მათკენ გაიწია და მავანი მშვიდობისმყოფელნი რომ არ ჩარეულიყვნენ...

გარდა ამისა, შესვენებამდე ერთი გოლიც გავიდა. სტუმრებმა შეტევაში გართული მასპინძლები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას გამოიჭირეს. ლევან ხომერიკი მერლანთან პირისპირ აღმოჩნდა და სანამ ვიტელი მცველები გვერდით არბიტრს შეჰყურებდნენ, მათ კარში ბურთი შეგორდა. აი, ორი საინტერესო საპირველტაიმო გამოსარჩევი ამბავი, რომელიც „შევარდენზე" მოხდა.

მატჩის მეორე ნახევარში „ვიტ ჯორჯია" უტევდა, „ლოკომოტივი" იგერიებდა. მასპინძლებს აურაცხელი საგოლე მომენტი ჰქონდათ. მარცვალაძე კარიდან 3-4 მეტრში სამჯერ აღმოჩნდა. ერთხელ მეკარემ აუღო, ორჯერ კი თვითონ ააცილა. მან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გამოიცვალა ბუცები, თუმც სამიზნე მაინც ვერ გაისწორა.

ხელსაყრელ პოზიციაში ორჯერ გოცირიძეც დარჩა, მაგრამ ვერც მან იხეირა. მისი დარტყმული ბურთები ჰაერში ვერტიკალურად აიჭრნენ.

მეორე ტაიმის დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე საკუთარ საჯარიმოში ორბელაძეს ბურთი მკლავში მოხვდა და ახლა უკვე პენალტს ვიტელები ითხოვდნენ. ლევან ფანიაშვილმა თამაშის გაგრძელება ბრძანა და მიუხედავად თავქუდმოგლეჯილი შეტევებისა, მასპინძლებმა გამარჯვებისა ვერ გაიტანეს.



გოჩა ტყებუჩავა და მსაჯები: გაწევა და გაშველება

# გაბელიამ გოლი არ გაუშვა

თბილისი. 20 სექტემბერი. 17 საათი. ეროვნული 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 0:0 სიონი

**დინამო:** ზოიძე, კარლოსი, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული (ალექსიძე 57), ახალაია, ბობოხიძე (ი. სამხარაძე 70)
*სათადარიგონი:* გვარამაძე, კანდელაკი, სახვაძე, ანჩაბაძე, იაშვილი
**მწვრთნელი:** იგორ შუშაკი

**სიონი:** ვოლკოვი, ბაქრაძე, ქიქველიშვილი, ხუჯაძე, გილაური, გაბიდაური, კოშკაძე, გუჩუა (კვეკვესკირი 75), გაბისკირია, ისიანი, გონჩაროვი (გ. შენგელია 78)
*სათადარიგონი:* შეყლაშვილი, დაუშვილი, დარსანია, ბ. ნიჟნიკაძე, ბ. შენგელია
**მწვრთნელი:** თამარ გაბელია

**გაფრთხილება:** გაბისკირია (69)

**მსაჯები:** ს. კვირცხელია (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სიღნაღი), მ. ელიკაშვილი (თბილისი), ა. შუშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ბარქაია; **დირექტორი:** ნ. კაკულია

**ჯარიმა:** 16-17; **კუთხური:** 3-1; **კარისკენ დარტყმა:** 5-7; **კარში დარტყმა:** 8-2; **თამაშგარე:** 2-3

კობა ინასარიძე

„დინამო“ — „სიონის“ დაპირისპირებამ ეს ორი სეზონია, ინტრიგა და პრინციპულობა შეიმატა, თორემ მანამდე თბილისელთათვის ბოლნისელთა ძლევა დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა და ამათი უღიმღამო შეხვედრა ბევრისთვის უინტერესოც იყო. წინა სეზონიდან მოყოლებული კი, რაც „სიონმა“ შემადგენლობა გააძლიერა და ამბიცია დაიტყო, ბოლნისელები „დინამოს“ ტოლ-სწორად ეთამაშებიან, თუმცა ჩემპიონთა დამარცხებას მაინც ვერ ახერხებენ.

რა თქმა უნდა, კმაყოფილებმა დატოვეს სტუმრებმა „ეროვნული“. „სიონი“ ქულას გამორჩა და სხვანაირად როგორ იქნებოდა. მატჩის დამთავრებისთანავე ბოლნისელთა მწვრთნელი გაბელია სიხარულისგან ერთი კი შეხტა, მაგრამ ემოცია უმალ მოთოკა და ისეთი სერიოზული იერი მიიღო, თითქოს უკეთეს შედეგს ელოდა. მისი კოლეგა შუშაკი კი უჩვეულოდ დაბღვერილი ჩანდა, ცხადია, ანგარიშით უკმაყოფილო.

ვერ ვიტყვით, მეტოქეები ერთმანეთს ამოსუნთქვას არ აცლიდნენ და თამაშს თვალს ვერ მოსწყვეტდიო, თუმცკი მატჩი ერთობ დაძაბული გამოდგა.

არც საგოლე მომენტების სიმრავლე ყოფილა და არც ფეხბურთელთა ოსტატობა აქამდე არნახული, მაგრამ იყო ბრძოლა და ტემპი, რაც აკლია კიდეც ქართულ ფეხბურთს.

ოთხი მცველით, გაძლიერებული შუა ხაზითა და ერთი სხარტი თავდამსხმელით დაუპირისპირდა „სიონი“ ჩემპიონებს. სტუმართა თამაში კონტრშეტევებზე იყო აწყობილი და მართალია, გოლს ვერ გამორჩნენ, სამაგიეროდ, დინამოელ მცველებს სანერვიულო არ დაჰკლებიათ.

„სიონიდან“, როგორც ყოველთვის, ვეტერანი იური გაბისკირია გამოირჩა. კარგი იქნება, თუ მის შრომისმოყვარეობას რამდენიმე ახალგაზრდა თანაგუნდელი მიბაძავს. აღსანიშნავია გაბისკირიას შესრულებული ორი საჯარიმოც, რომელიც მან 30-35 მეტრიდან დაარტყა და თუმცა მიზანში ვერ მოარტყა, „დინამო“ კი შეწუხდა. გაბისკირიას არ ჩამორჩა სტუმართა მეორე საყრდენი გუჩუაც, ვინც კარგა ხანი უსაქმოდ გაატარა, მოედანს კი ჩვეული ჟინით დაუბრუნდა და თავისი საქმე უნაკლოდ აკეთა. მერე იგი დაიღალა და შესაცვლელი შეიქნა. მის ნაცვლად მოთამაშე კვეკვესკირს იმდენი საქმე აღარ ჰქონია, რამდენიც გუჩუას.

„დინამოს“ ულევი შეტევები მას შემდეგ უფრო გამწვავდა, რაც მოედანზე ტრავმამოშუშებული, თუმცა ჩვეული ფორმისგან ჯერაც შორს მყოფი რატი ალექსიძე გამოჩნდა. ერთხელ მისმა თავურმა შორეულ ძელს ჩაუქროლა, ახალაიამ კი ბურთს თავი ვერ წაარტყა. მეორედ ალექსიძის მაკრატელა ვოლკოვმა მოიხელთა, სულ ბოლოს კი, 90-ე წუთზე, რატიმ კარგად დარტყმა ვერ შეძლო ხუთი მეტრიდან, მეკარემაც იყოჩაღა.

„დინამოს“ რაიმე შტურმისმაგვარი არ მოუწყვია, თუმცა ბურთი სულ ვოლკოვის ახლომახლო ტრიალებდა. ხან თბილისელები სცოდავდნენ გადამწყვეტ მომენტში, ხანაც სტუმარი მცველები თამაშობდნენ უშეცდომოდ, რამაც შედეგიც მატჩმდელი ინტრიგის შესაბამისი მოიტანა.



ლადო ახალაიას ბურთისთვის რომ მიესწრო...

ფოთი. 20 სექტემბერი. 17 საათი. ფაზისი. 400 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:3 მერცხალი

1:0 ქუტიძე (17), 1:1 გაბედავა (52), 1:2 ქალიაშვილი (80), 1:3 კალანდაძე (90)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, სვანიძე, შალამბერიძე (მ. ქობულაძე 46), შ. ლონდაძე, მინდაძე, თავაძე (ნ. ნარსია 83), ლალანიძე, ქუტიძე, აკობია, მილანია, ზ. ტყებუჩავა (ტუღუში 66)
*სათადარიგონი:* ჩემია; დ. ნარსია, ბოლქვაძე?, გონაძე? — *სათადარიგონი:* ჩემია, დ. ნარსია, ბოლთაური?, გოგალეიშვილი
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**მერცხალი:** გია გოგუა, კობაური, კვირკვია, ქალიაშვილი, ჩიხუა (ხიამაშვილი 74), მ. მეიფარიანი?, ბართია, ქინქარაული, გაბედავა, მებონია, კალანდაძე
*სათადარიგონი:* როხაძე, ახკურავა, მანჯგალაძე, გ. ნიჟნიკაძე, გრიგორიევი, მაღლაფერიძე
**მწვრთნელი:** სერგო გაბელაია

**გაფრთხილება:** მილანია (31), სვანიძე (34), მინდაძე (43), ქალიაშვილი (73)

**გაძევება:** გია ტყებუჩავა (58, „კოლხეთის“ მწვრთნელი)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ი. ოჯულაური (დუშეთი), ო. ხეცაძე (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ქელიძე; **დირექტორი:** გ. ხორგუაშვილი?

**ჯარიმა:** 10-26; **კუთხური:** 4-4; **კარისკენ დარტყმა:** 11-5; **კარში დარტყმა:** 5-7; **თამაშგარე:** 1-2

# ჯონი მფატრავი მაკრატლით ჰკლავს

გიორგი ვაშაკიძე ფოთიდან

**სენსაციურად** და დამსახურებულად გაიმარჯვა „მერცხალმა“ ფოთში. თამამად ვიტყვი და „ფაზისზე“ შეკრებილნიც დამეთანხმებიან — მატჩი ოზურგეთელმა ჯონი კალანდაძემ პირადად მოიგო. გარჯას არც „მერცხალის“ სხვა ფეხბურთელებს და განსაკუთრებით მეკარე გია გოგუას ვუკარგავ, მაგრამ უბერებელმა კალანდაძემ რომ მარტომ დააწიოკა კოლხები, ამას შეხვედრის ბოლოს მისი ულამაზესი მაკრატელა და გოლიც მოწმობს.

შაბათს „კოლხეთი“ თავის თავს არ ჰგავდა. საოცრად უსუსურად ითამაშეს ზღვისპირელებმა. ტყებუჩავა მიზეზს ვერ ხსნის — ვერც გადაღლილობას დავაბრალებ და ვერც სიცხეს, რა დაგვემართა, თავადაც ვერ ვხვდები, ალბათ, წამყვანი ფეხბურთელების არყოფნამ ძალიან იმოქმედაო.

წამყვანი ფეხბურთელები კი მართლაც აკლდა „კოლხეთს“. რა ხანია, ტრავმირებულნი არიან დავით გოდერძიშვილი და კახა გოროზია. ვალერი გაგუა შაბათ დილით გამხდარა შეუძლოდ, ტულუშმა და ქობულაძემ ტრავმიანებმა ითამაშეს შეცვლაზე.

მასპინძლებს პრეტენზია მსაჯებთანაც ჰქონდათ, პირველი ორი გოლი წესების აშკარა დარღვევით გაგვიტანესო — ოზურგეთელთა სათანაბრო გოლისას მეკარე ბათიაშვილზე დაარღვიეს წესი, მეორეზე კი მსაჯებმა აშკარა თამაშგარე გაატარესო.

ერთი სიტყვით, პრეტენზიები იყო, მაგრამ არც ისაა გამართლებული, თამაშის წაგება მხოლოდ მსაჯის შეცდომებს დააბრალო.

ოქმს თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ არბიტრმა შალამბერიძემ სათადარიგოთა სკამიდან „კოლხეთის“ მწვრთნელი გია ტყებუჩავა გააძევა და სამართლიანადაც. ტყებუჩავამ ერთ-ერთ ეპიზოდში, ნერვები ვერ მოთოკა და მსაჯს მინდორზე შეუვარდა, შეტევა რატომ ჩაგვიშალეო. შემგინებელს შალამბერიძემ არ აპატია და მწვრთნელსაც წითელი ბარათი „აჰკიდა“.

ზემოთ კალანდაძის მიერ გატანილი საუცხოო გოლი ვახსენე. ბოლოსკენ შტურმზე გადასული კოლხები კონტრშეტევაზე რომ დაიჭირა, მოედნის ცენტრში ორ მეურვეს ჩაუდრიბლინგა, პასი მარცხენა ფლანგზე ჭალიაშვილს მიაწოდა, თვითონ კი საჯარიმოში გაიქცა. ჭალიაშვილმაც ბურთი მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე ჩაჰკიდა, იქ კალანდაძემ ჰაერში კამარა შეკრა და ულამაზესი მაკრატელათი ბათიაშვილს შორეულ დაბალ კუთხეში ჩინებული გოლი გაუტანა.

არადა, კოლხები იგებდნენ, მასპინძელთა გურულმა ქუტიძემ სტუმარი გურულები თავით დებიუტშივე დაამწუხრა, მაგრამ...

„საამაყო გამარჯვება მოვიპოვეთ. აუტსაიდერები ვართ და დასაკარგიც არაფერი გვქონდა. ფსიქოლოგიურადაც მეტოქეზე უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით, არანაირი ზეწოლა. ამიტომ თავისუფლად ვითამაშეთ. ლოგიკურია თუ არა შედეგი? ნამდვილად არ ველოდი. მოლოდინს აშკარად გადააჭარბა“ — „მერცხალის“ მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ პრესკონფერენციაზე ეს თქვა.

# გლადიატორს გორული კომბლები უთავაზეს

თბილისი. 20 სექტემბერი. 17 საათი. ლოკომოტივი. 200 (ტევადობა 25 600)

## სპარტაკი 0:3 დილა

0:1, 0:2, 0:3 კაიდარაშვილი (33, 55, 76)

**სპარტაკი:** მამალაძე, ცვანია, ებრალიძე, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, ბ. ალადაშვილი (მგელაძე 74), იმნაძე, ბ. დოლიძე (ბ. თოდუა 39), ტატანაშვილი, კვერენჩხილაძე, კოტრიკაძე
*სათადარიგონი:* შევრილაძე, ებანოიძე, ბურჯანაძე, ეგაძე
**მწვრთნელი:** ვასილ ქეიშვილი

**დილა:** სოლოღაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ა. კაიდარაშვილი, ჯობაძე (მარლიშვილი 65), ძოძუაშვილი (ბ. ჩიტაია 62), რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი, ბ. ჩიტაია (ხანიშვილი 75)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, მახურაშვილი, გ. კაიდარაშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გაფრთხილება:** ლაცაბიძე (26), დოლიძე (29), კოტრიკაძე (68)

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი (ქობულეთი); გ. ვადაჭკორია (თბილისი), ნ. რუხაშვილი (ქუთაისი); ა. შალიკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

**ჯარიმა:** 9-7; **კუთხური:** 6-3; **კარისკენ დარტყმა:** 3-4; **კარში დარტყმა:** 6-10; **თამაშგარე:** 3-1

დავით თავართქილაძე

**ალეკო კაიდარაშვილი** ის კაცია, ვინც საგოლე კომბლებს თლის და ჭერში აწყობს, ვინც „დილას“ კბილს გაჰკრავს, თავში ჩასცხებს...

რაც უნდა ეცადო, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან ზღაპარს ალბათ ვერ გამოიყვან, თორემ მოსაყოლი ბევრია, კარგიც და ცუდიც, სასაცილოც და სატირალიც. ჰოდა, მეზღაპრეობასაც მალევე შევეލიოთ.

24 წლის კაიდარაშვილმა კი ამასობაში „სპარტაკს“ სამი გოლი გაუტანა, არ დაინდო უმაღლესი ლიგის დებიუტანტი. ამ გორელ ფეხბურთელს უკრაინულ „ნივასა“ და „კრივბასშიც“ უბურთავია, ხოლო ახლა ჩინებულ ფორმაშია და მშობლიურ „დილაში“ ალბათ საუკეთესოცაა.

ლაცაბიძემ მარცხენა ფლანგზე ორ მეტოქეს აუბნია თავგზა, ჩააწოდა და კაიდარაშვილმა პირველი თავურით შეაგდო.

მერე ზურაბ მამალაძე შეცდა — ბურთი უხეიროდ გაგზავნა წინ, კაიდარაშვილმა კი ის კარისკენ გაიგდო და პირისპირ შეყრილ მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

მერე იყო სოლო რეიდი — კაიდარაშვილმა სამი მეტოქე მოატყუა და ჰეთ თრიქი შეასრულა. ალეკოს მეოთხე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მახვილი კუთხიდან ბურთი მამალაძეს ვერ ააცილა.

სპარტაკელთა გოლკიპერმა რამდენჯერმე იყოჩაღა, თორემ გორელები ორ-სამ გოლს კიდევ გაიტანდნენ. ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ ძოძუაშვილსა და მარლიშვილს აულო მკვდარი ბურთები.

გოლის გატანა მასპინძლებსაც შეეძლოთ — კვერენჩხილაძესა და თოდუას, მაგრამ რომც გაეტანათ, მატჩის სურათს ხელახლა მაინც ვერ დახატავდნენ — ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო — „დილა“ მეტოქეს გამოცდილებითა და კლასით აშკარად ჯობდა.

თუმც „სპარტაკს“ ბრძოლისუნარიანობას ვერ დავუკარგავთ. ამ გუნდს 3-4 გამოცდილი მოთამაშე რომ მოეძებნოდეს, ყველასთვის კერკეტი კაკალი იქნებოდა.



„ბათუმმა“ „მცხეთას“ სცენა-სტადიონზე უმასპინძლა

# კაკალაძის ჩაკაკლული

ბათუმი. 20 სექტემბერი. 17 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 2:0 მცხეთა

1:0, 2:0 კაკალაძე (51, 90)

| | |
|---|---|
| ბათუმი: ქვაჩახია, ქაცარავა, გუშარაშვილი, დუმბაძე, კობიძე, მახარაძე, მანჩხავა, ცანავა (დარჩიძე 46), ი. შენგელია, ხირბილაძე (რომანაძე 83), კაკალაძე<br>სათადარიგონი: ბალაძე, ფირცხალაიშვილი, ფურცხვანიძე, ბეჟანიძე, იალამიდი<br>მწვრთნელი: გელურიან ჩხარტიშვილი | მცხეთა: ცინაძე, ამბიძე, ძაგნიძე, გ. ქებაძე, ჩაჩუა, ხიდაშელი (არეშიძე 67), მუშუქია, ლ. ქებაძე, პარამონოვი (რაქვიაშვილი 57), ჩხაიძე, მელიქია<br>სათადარიგონი: თ. ოდიკაძე, თირქია, ქორელიძე, სიამაშვილი, ჩიტაური<br>მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი |

გაფრთხილება: ცინაძე (55), კაკალაძე (68), დუმბაძე (75), მუშუქია (80), ჩხაიძე (88)

მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე, ზ. ურუშაძე (სამივე თბილისი); მ. დოგრამაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. ქორიძე

ჯარიმა: 12-14; კუთხური: 3-1; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 3-7; თამაშგარე: 5-3

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

ვლადიმერ გუცაევის მცხეთური სამწვრთნელო დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. მცხეთელებმა მორიგი მარცხი იწვნიეს და ასეთი კრიზისის მიზეზი მწვრთნელში კი არა, გაცილებით შორს — გუნდში არსებულ პირობებში უნდა ვეძიოთ.

ციცქნა მიკროავტობუსით ბათუმში ჩამოსულებს, აბა, რა ხეირი უნდა ენახათ. თანაც ნამატჩევს მშიერ ფეხბურთელებს საჭმელის ფული რომ არ ექნებათ, საერთოდ რაზეა ლაპარაკი?! არადა, სულ იოლად შეიძლებოდა, „მცხეთას“ ზღვისპირეთიდან, სულ მცირე, ქულა წაეღო...

თამაშის დასაწყისმა გვიჩვენა, რომ სტუმრები გაცილებით ორგანიზებულნი იყვნენ. ბურთსაც უნარიანად აგორებდნენ და თამაშის დალაგებაც უკეთ გამოსდიოდათ, ოღონდ ეს ყველაფერი „ბათუმის“ საჯარიმოს მისადგომებთან თვალსა და ხელს შუა ქრებოდა.

ამიტომაც იყო, სტუმართა მონდომება საწყის წუთებში ოდენ ორი შორი დარტყმით რომ გამოიხატა. თითქმის ერთი და იგივე ადგილიდან ჯერ ხიდაშელმა გაისროლა, მერე ჩხაიძემ. ორივე შემთხვევაში ქვაჩახია შეუვალი იყო.

„ბათუმი“, როგორც სჩვევია, მძიმედ ათამაშდა და პირველი ხიფათის შექმნა მე-17 წუთზეღა მოახერხა. კუთხურიდან ჩაწოდებულზე საპენალტოსთან ყველაზე მაღლა გუშარაშვილი ახტა და თავური მცირედით ააცილა.

ამის შემდეგ ისევ მცხეთელთა შორი არტილერია ამოქმედდა და ორ წუთში ორჯერ გაიტყორცნა ბურთი მასპინძელთა კარისკენ. ძაგნიძის დარტყმულს ქვაჩახია ისევ მშვიდად შეხვდა, ხოლო ლაშა ქებაძის ყუმბარისებური გასროლა არაზუსტი აღმოჩნდა.

და მაინც, ტაიმის ყველაზე სახიფათო ეპიზოდი სტუმართა კართან შეიქმნა. 32-ე წუთი იყო, საკმაოდ მოძრავმა კაკალაძემ გიორგი ქებაძეს ბურთი რომ მოჰპარა და კარისკენ ეულად დაიძრა. ცინაძესთან პირისპირ შეყრილმა მახვილი კუთხიდან დარტყმა კი დააპირა, მაგრამ ჩაჩუა წამოეპარა და დარტყმულს ვაჟკაცურად ჩაუწვა.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა. „ბათუმში“ ცვლილება მოხდა და, რა თქმა უნდა, მოედანზე ვიტალი დარჩიძე გამოვიდა. ვერ გეტყვით, რომ თავისი გუნდის მოგებაში ლომის წილი დაიდოო, მაგრამ ფაქტია — პირველ გატანილ გოლში მან მონაწილეობა მაინც მიიღო. ეს ასე მოხდა. ქაცარავამ საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა. დარჩიძემ მაკრატელათი სცადა მისი კარში გადაგზავნა, მაგრამ აეჭრა და კაკალაძისთვის პასი გამოუვიდა. ამასაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

„მცხეთა“ გოლის შემდეგ ერთხანს აირია, მაგრამ მალე მოახერხა გადაწყობა. შედეგად ქვაჩახიას საქმე მიეძალა და ზედიზედ სამჯერ მოუწია თამაშში ჩართვამ. მან ჯერ მუშუქიას შორეული დარტყმა გააუვნებლა, შემდეგ ხიდაშელის თავურსაც ადგილზე დაუხვდა და მელიქიას საჯარიმოს რკალიდან გასროლილსაც.

სტუმართა ამ ზეწოლას „ბათუმის“ უმწვავესი პასუხი მოჰყვა. კვლავ კაკალაძემ ივარგა და იერიში კვლავ გიორგი ქებაძის დაბრიყვებით წამოიწყო. სიჩქარეაკრეფილმა მეორე მცველიც ჩამოიცილა და ცინაძესთან მარტოც დარჩა, თუმცა ბურთი მეკარეს გაარტყა.

ამასობაში გუცაევის შეგირდებმა უკანმოუხედავად სცადეს შეტევა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მათი ენთუზიაზმი ნელდებოდა. შეუვალი ჩანდა „ბათუმის“ დაცვა და მეკარე, რა თქმა უნდა, სტუმართა მწირი შეტევების ფონზე.

კაკალაძე კი არ ისვენებდა. 75-ე წუთზე მახარაძემ სტუმართა იერიში ჩაშალა და კაკალაძე მოძებნა. ეს ოდნავ ცენტრში შეიწია და გასატანადაც დაჰკრა. ამაოდ, რადგან თანამსაჯს ალამი აწეული ჰქონდა.

და მაინც, კაკალაძემ იმდენი მოახერხა, გასატანი მაინც გაიტანა. მსაჯის მესამე წამატებულ წუთზე წინ გამოსულ მეკარეს ბურთი კოხტად გადაუგდო თავზე და ყველაფერი ამით დასრულდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 5 | 2 | 1 | 23:3 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 16:5 | 17 |
| დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 16 |
| სიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 15 |
| ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 8:6 | 14 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 |
| კოლხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| ბათუმი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:10 | 9 |
| მერცხალი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:18 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:14 | 7 |
| მცხეთა | 8 | 2 | 1 | 5 | 7:18 | 7 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:19 | 4 |


# ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66


ქუთაისი. 21 სექტემბერი. 17 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 2:1 თბილისი

1:0 ახალკაცი (4), 2:0 ბაბუნაშვილი (67), 2:1 ოდიკაძე (85)

| | |
|---|---|
| ტორპედო: სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე, გამეზარდაშვილი, ჩხეტიანი (ლ. ჭელიძე 19), ყიფიანი (ლალაძე 83), ახალკაცი<br>სათადარიგონი: სოხიაშვილი; ზ. ქუთათელაძე, მუშკუდიანი, კვერნაძე, დარსაძე<br>მწვრთნელი: გელა კიკალეიშვილი | ლოკომოტივი: იგარდავა, სილამონიძე, მიქიაშვილი, მეხხი, აფციაური (გუნაძე 46), მიკუჩაძე, ხოჯავა, კვარაცხელია, მეშარნიაშვილი, (გ. ნოდ. ჭელიძე 48), დ. ოდიკაძე, იმედაძე (გოგიტა გოგუა 62)<br>სათადარიგონი: ნაჭყებია;<br>გ. ნუგ. ჭელიძე<br>მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |

გაფრთხილება: კვარაცხელია (45)

გაძევება: კვეტენაძე (17), კვარაცხელია (56)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (ზუგდიდი); გ. ახვლედიანი (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

# იღბლიანი, შიღბლო და მკვლელი
## კვარაცხელიამ თბილისი გადატეხა

კახა შალამბერიძე ქუთაისიდან

კვირას „ტორპედოზე“ ორი დებიუტი იყო — წარმატებული და წარუმატებელი. გელა კიკალეიშვილმა მოგებით დაიწყო ახალი საქმე, გიორგი დევდარიანი კი დამარცხდა. „ტორპედომ“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოუგო „თბილისს“.

ქუთაისი შფოთავს. ასეთი უსახური გუნდი რა ხანია, არ გვყოლიაო, გაიძახიან გულშემატკივრები. „თბილისი“ კი აუწყობელ, ჯერაც ექსპლოატაციაში გაუსვლელ მანქანას ჰგავს.

მასპინძლებმა უთავდამსხმელოდ ითამაშეს. კიკალეიშვილმა ორივე ფორვარდი — მუშკუდიანი და ქუთათელაძე სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ფორვარდობას კი რომან ახალკაცი ცდილობდა, რომელმაც მე-4 წუთზევე დაამწუხრა თბილისელები.

სამაგიეროდ, „თბილისს“ სამი ნომინალური თავდამსხმელი ჰყავდა — მიკუჩაძე, ოდიკაძე და იმედაძე. ამათგან ოდიკაძე და იმედაძე ყოფილი ტორპედოელები არიან. იმედაძემ სულაც პირველად ითამაშა მშობლიური გუნდის წინააღმდეგ.

მატჩის დასაწყისი „ტორპედოსთვის“ იღბლიანიც გამოდგა და უიღბლოც. პირველივე წუთებზე გიორგი ყიფიანის მონდომებით ახალკაცის გატანილ გოლს მე-17 წუთზე კახა კვეტენაძის გაძევება მოჰყვა. ალექსანდრე შილაკაძემ „კვეტეს“ ზედმეტსიტყვაობა არ აპატია და წითელი აუნთო.

უამისოდ ვერც „თბილისი“ გამოძვრა. კიდევ ერთი ყოფილი ტორპედოელი, გივი კვარაცხელია, მსაჯმა ორი ყვითელი ბარათით დაითხოვა მოედნიდან. მიზეზი ამჯერადაც შელაპარაკება იყო.

თამაში მოსაწყენი გამოდგა. დაწინაურებული და კაცნაკლული (56-ე წუთამდე) „ტორპედო“ ძალიან ფრთხილობდა. საკუთარ ნახევარზე დამკვიდრდა და შეტევაზე გადასვლისთვის თავს მაინცდამაინც არ იკლავდა. „თბილისს“ კი გოლი სჭირდებოდა, თუმცა სტუმართა გარჯა საამისოდ საკმარისი არ იყო. თბილისელებს ერთი-ორი მწვავე მომენტი კი ჰქონდათ, მაგრამ უზუსტობამ დაღალატათ.

მეორე ტაიმში კი გიორგი დევდარიანმა კიდევ ერთი თავდამსხმელი მოახმარა გუნდს. გიორგი ჭელიძე ძმის, ლაშას გუნდს გოლის გასატანად მიაცხრა, მაგრამ ბევრს ვერაფერს გამორჩა. და „თბილისს“ სწორედ ამ დროს გადაუტყდა ხმალი ვადაში. რიცხობრივი უპირატესობა, რომელიც არც მანამდე იგრძნობოდა, საერთოდ გაქრა — კვარაცხელიამ წონასწორობა „აღადგინა“.

მალე შოთა ბაბუნაშვილმა მეტოქე „მოკლა“. 67-ე წუთზე გიორგი ყიფიანმა ბაბუნაშვილი მეკარეს პირისპირ შეატოვა — 2:0.

თამაში გაკეთებული იყო და სანერვიულოც აღარაფერი დარჩა, თუმცა დავით ოდიკაძემ მატჩს მცირე ინტრიგა დაუბრუნა, როცა ტორპედოელთა უყურადღებობით ისარგებლა, სტურუას დაასწრო და ერთი გოლი გაქვითა. ეს ამბავი 85-ე წუთზე მოხდა.

ინტრიგა ინტრიგად დარჩა. „თბილისი“ მეტად ველარ გაიქაჩა. „ტორპედოს“ კი მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

საქართველოს ჩემპიონატი 15 — პირველი ლიგა — პირველი ეტაპი

# 6 ტური

| | |
|---|---|
| გურია 1:2 ვიტ ჯორჯია-მცხ. | |
| ცხინვალი 6:0 მეტალურგი | |
| ქობულეთი 1:0 მილანი | |
| იბერია 0:3 სამგურალი | |
| ლუკა 1:6 ოლიმპი | |
| ლოკომოტივი 2 0:3 დინამო 2 | |
| თსუ 0:1 გორდა | |
| ამერი — ჩიხურა | გადაიდო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:5 | 16 |
| გორდა | 6 | 5 | 0 | 1 | 10:6 | 15 |
| სამგურალი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| ქობულეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | 12 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:1 | 11 |
| დინამო 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| თსუ | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| იბერია | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| გურია | 6 | 2 | 0 | 4 | 5:8 | 6 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| ლუკა | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | 6 |
| მილანი | 6 | 1 | 2 | 3 | 2:4 | 5 |
| ამერი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| ჩიხურა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| მეტალურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:14 | 0 |

გუშინწინ ერევანში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში 0:1 წააგო სომეხ თანატოლებთან.

დღეს გელა გომელაურის შეგირდები ერთხელაც გაეჯიბრებიან მასპინძლებს და მეორე დღესვე საქართველოში დაბრუნდებიან.

# ერთხელ მეც დამარტყმევინეთ

*რვა გატანილი ბურთი — ასეთია* ***შოთა არველაძის*** *საამსეზონო მონაგარი და შოტლანდიაში მოთამაშე მეგოლეებშიც ჩვენებური ლიდერობს. არველაძეს სწორედ ბომბარდირობაზე ვესაუბრეთ*

**— „ტრაბზონის“ მერე სეზონში გუნდის საუკეთესო მეგოლე „აიაქსში“ რამდენჯერმე გახდი, მაგრამ ჰოლანდიის თუ შოტლანდიის ბომბარდირი არ ყოფილხარ. ეს შენთვის მესამე რეინჯერსული სეზონია და როგორ ფიქრობ, ბომბარდირობის საუკეთესო შანსი ახლა გაქვს?**

— სიმართლე ვთქვა, ამაზე ჯერ არ მიფიქრია. პენალტებს მე არ ვარტყამ და უპენალტოდ ძალიან ძნელია ბომბარდირობა. „ტრაბზონში“ 11-მეტრიანების გარეშე კი გავხდი თურქეთის ბომბარდირი, მაგრამ ყოველთვის ასე ხომ არ გაგიმართლებს?!

**— პენალტებს აღარ არტყამ, მაგრამ „ჰართსთან“ ჯარიმა დაგირტყამს...**

— ჯარიმა ცაციით დავარტყი და კედელსგადავლებული ბურთი კარგად წავიდა კარისკენ, თუმც ცხრიანს სულ ცოტათი ასცდა — ეს ჩემი პირველი საჯარიმო დარტყმა იყო „რეინჯერსში“.

**— შენი დარტყმული ჯარიმა არც ნაკრებში გვახსოვს და არც „ტრაბზონ“-„აიაქსში“...**

— ჯარიმა ადრეც დამირტყამს, მაგრამ იშვიათად. ნაკრებში კი მართლაც არასდროს გამიკეთებია ეს, თუმც ალბანეთში მინდოდა და კობიაშვილს ვთხოვე კიდეც, მაგრამ საქმე ისაა, რომ კობიაშვილი მართლაც კარგად ურტყამს ჯარიმებს. ისე, ჯარიმის დარტყმა ირლანდიაშიც მინდოდა, თუმც მაშინ ბიჭებმა მითხრეს, ვიტალი დარასელია კარგად ასრულებს საჯარიმოებსო და მან დაარტყა.

**— როგორც ჩანს, ჯარიმებს ვარჯიშებზე საგანგებოდ ამუშავებ.**

— ამას ხანდახან თუ ვაკეთებ, მაგრამ, ასე ვთქვათ, მოჯარიმე ნამდვილად არ ვარ.

**— „რეინჯერსში“ რაიმე ახალი ხომ არ არის?**

— რონალდ დე ბური ორ კვირაში შემოგვიერთდება, რაც შეეხება „შტუტგარტთან“ დაშავებულ ფერნანდო რიკსენს, ის სავაადმყოფოდან კი გამოწერეს, მაგრამ ტვინის ისეთი ძლიერი შერყევა აქვს, რომ კიდევ ერთი თვე ვერ ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**




# შვილივით ნაზარდ კობიაშვილს ქართულად შემასპინძლეს

*ბუნდესლიგურ მეექვსე ტურში „შალკე“ ფრაიბურგში ჩავიდა და ერთ დროს თანაგუნდელი ქართველები პირველად დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. კობიაშვილს მეტოქეთა ბანაკში იაშვილი და ცქიტიშვილი დაუხვდნენ და გამარჯვებაც დამხვდურებს დარჩათ. მთლიანობაში სამივე ქართველმა დამაჯერებლად ითამაშა.*

***ლევან კობიაშვილს*** *გუშინ გელზენკირხენში დავუკავშირდით.*

— სანახაობრივად კარგი თამაში გამოვიდა. ვფიქრობ, გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით, მაგრამ პირიქით მოხდა. სწრაფი გოლი გაგვიტანა მეტოქემ, მაგრამ არ გავჩერებულვართ და მალევე გავათანაბრეთ. ამის შემდეგ ვიქტორ აგალი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ამისთვის დავისაჯეთ. მსაჯმა პენალტი დაარტყმევინა „ფრაიბურგს“.

**— უსამართლო პენალტი იყო?**

— არა. ჰგავდა პენალტს. იაშკამ ითამაშა ბრწყინვალედ, მცველს თავი წააქცევინა და ცქიტომ ზუსტად დაარტყა. მოკლედ, ქართული გოლი გამოვიდა. გათანაბრება ბოლომდე შეგვეძლო, მაგრამ მსაჯმა მეორე ყვითელი საეჭვოდ მისცა მატელანს. და ათნი დავრჩით.

**— ფრაიბურგში კეთილმოსურნე გარემოში მოხვდებოდი...**

— დიახ. ყველასთან ვმეგობრობ. მამაშვილურად შემხვდა ფოლკერ ფინკეც, ყოფილ მწვრთნელს მატჩის შემდეგაც ვესაუბრე.

**— მეტოქე მეგობრების თამაშს როგორ შეაფასებ?**

— ვფიქრობ, ორივემ კარგად ითამაშა, მეტიც, საუკეთესოდ. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ფრაიბურგიდან სამ ქულას წამოვიღებდით.

**— შენს თამაშზე რას იტყვი?**

— რა ვთქვა, ცდა არ დამიკლია, მთლიანობაში თითქოს სხვებმაც არ ითამაშეს ურიგოდ, მაგრამ მაინც დავმარცხდით.

**— ასეთ ვითარებაში წინა ხუთ ტურშიც ბევრჯერ დაკარგეთ ქულები. არადა, სეზონის წინ „შალკეს“ მოწინავეობას უწინასწარმეტყველებდნენ, გუნდის თამაშში კი პროგრესი არ ჩანს.**

— ჩვენ სეზონი, ფაქტობრივად, ინტერტოტოს თასით დავიწყეთ და შთამბეჭდავადაც. უპრობლემოდ გავედით უეფას თასზე...

**— მაგრამ სად ინტერტოტო და სად ბუნდესლიგა...**

— საქმეც ეგაა. ბუნდესლიგაში სხვა დონეა. აქ არ არსებობს ფავორიტი და აუტსაიდერი, თითოეული გუნდი ბოლომდე იბრძვის და სათანადო კლასი და გამოცდილებაც აქვს. ამიტომ გაგვიჭირდა თავიდან, თუმცა, ვფიქრობ, „შალკეს“ გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია.

**— სადღეისო ვითარებით ალბათ შეშფოთებული არიან კლუბის მესვეურები...**

— რაღა თქმა უნდა, ყველა უკმაყოფილოა და ამაზე დღეს ხმამაღლა საუბრობენ კლუბში. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ პანიკური სიტუაციაა. უბრალოდ, ხელმძღვანელებს სჯერათ, რომ ვითარებას გამოვასწორებთ და ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

**პაატა ძვანტალიანი**




**ფრაიბურგში ნასტუმრებ ლევან კობიაშვილს ალექსანდრე იაშვილმა და „ფრაიბურგმა“ ქულაც არ დაანებეს**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პერუჯა 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ფრაიბურგი 1:2 | 90 | | 6 | 0 | 11 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:1 | 90 | | 6 | 1 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | შალკე 2:1 | 78 | 1 გოლი, შეცვალეს | 6 | 1 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ოსნაბრიუკი 1:0 | 70 | შეცვალეს | 6 | 3 | 12 |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | ს | ტრირი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰართსი 4:0 | 90 | 2 გოლი | 4 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ჰართსი 4:0 | 90 | | 6 | 0 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | აბერდინი 2:0 | 90 | | 6 | 0 | 4 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ვალვაიკი 2:1 | 90 | | 5 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | აუსტრია 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხილეს | 6 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ტ. მეტალურგი 3:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 5 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | ტ. მეტალურგი 3:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 5 | 5 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ურალანი 1:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 3 | 3 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ურალანი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 10 | 0 | 3 |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | შ | რუბინი 1:1 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | შ | რუბინი 1:1 | 90 | საგოლე პასი, გააფრთხილეს | 10 | 2 | 15 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | რუბინი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | ზენიტი 1:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | ლოკომოტივი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 21 | 1 | 16 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | დინამო 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | ნოვი დვორი 1:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 1 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ბელედიესფორი 3:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 3 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ბორისფენი 2:0 | 76 | შეცვალეს | 9 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ბორისფენი 2:0 | 90 | 1 გოლი | 8 | 6 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | დნიპრო 0:2 | 90 | | 8 | 2 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | დნიპრო 0:2 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | ვოლინი 0:2 | 90 | | 8 | 0 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ვორსკლა 0:1 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ჩერნომორეცი 1:1 | 90 | | 8 | 3 | 9 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | ს | ჩერნომორეცი 1:1 | 90 | | 5 | 0 | 9 |
| გიორგი ციმაკურიძე | შახტარი | ს | ობოლონი 4:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | ს | დებრეცენი 0:1 | 45 | შეცვლეს | 4 | 0 | 4 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | მაკედონსკა 0:4 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 1 | 12 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | სლავია 0:5 | 0 | | 4 | 0 | 16 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | ს | ლაჰტი 1:4 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აპოლონი 0:3 | 90 | | 3 | 1 | 5 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | პაფოსი 1:1 | 90 | | 3 | 1 | 7 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | | ტური გამოტოვა | | | 2 | 4 | 6 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | ს | ოლიმპიაკოსი 0:6 | 90 | | 3 | 4 | 8 |
| დავით პეტრიაშვილი | ევტაპასი | ს | ოლიმპიაკოსი 0:6 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 8 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | შ | ყაირათი 1:5 | 90 | | 17 | 1 | 16 |
| სანდრო ბურნაძე | ჟეტისუ | შ | თარაზი 1:0 | 90 | 1 გოლი | 7 | 1 | 5 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | შ | ორდაბასი 1:1 | 0 | | 3 | 2 | 7 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ორდაბასი 1:1 | 45 | შეცვალეს | 5 | 1 | 7 |
| გელა ქორიძე | ესილი | შ | ვოსტოკი 1:0 | 90 | გაიძევეს | 6 | 0 | 17 |
| დავით ჩოხელი | ესილი | შ | ვოსტოკი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 5 | 0 | 17 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VI ტური

### მანჩესტერი 0:0 არსენალი

*ვან ნისტელროიმ ვერ გაიტანა პენალტი (90, ხარიხა)*

მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში (ფორლანი 76), კ. რონალდო, როი კინი, ფ. ნევილი, კ. ფორჩუნი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
არსენალი: ლემანი, ლორენი, კ. ტურე, კიოუნი, ეშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, ანრი, ბერხკამპი (ედუ 82)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კინი, ვან ნისტელროი, ტურე, ვიეირა, კიოუნი, რონალდო, ფორჩუნი, ვიეირა
გაძევება: ვიეირა (81)
მსაჯი: ბენეტი
67 639 მაყურებელი

### ვულვერჰემპტონი 0:5 ჩელსი

0:1 ლამპარდი (17), 0:2 ჰასელბაინკი (36), 0:3 დაფი (52), 0:4, 0:5 კრესპო (67, 90)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, ნიუტონი (კამერონი 59), ინსი, გუდიონსონი (სილასი 80), კენედი, ივერსენი, ა. კამარა
მწვრთნელი: დეივ ჯოუნსი
ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი (მათი 73), ტერი, გალასი, ბაბაიარო, გრონკიაერი (ჯ. კოული 57), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, ჰასელბაინკი (კრესპო 65), გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბატლერი, ინსი, გრონკიაერი, მათი, ტერი
მსაჯი: მესიასი
29 208 მაყურებელი

### ლივერპული 2:1 ლესტერი

1:0 ოუენი (203), 2:0 მესკი (75), 2:1 ბენტი (90)
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰისკანი, ჰიპია, რიისე, დიუფი (ლე ტალეკი 88), ჯერარდი, შმიცერი (დენი მერფი 76), კიუელი, ოუენი, მესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ლესტერი: ოუქერი, კერტისი, ფ. სინკლერი, ტაგარტი, ტეტჩერი, ჰინეტი (ჯ. სტიუარტი 7; დიონი 71), იზეტი, ნალისი (შიმეკა 75), სკოუკროფტი, დიკოვი, მ. ბენტი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
მსაჯი: ჰალსი
44 094 მაყურებელი

### ფულემი 2:2 მანჩესტერ სიტი

0:1 ანელკა (46), 1:1 მალბრანკი (73), 2:1 საჰა (79), 2:2 ვანჩოპე (90)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, გომა, ნაითი, ბონისელი, მალბრანკი, ლეგვინსკი, ინამოტო, ბოა მორტე (პემბრიჯი 84), კლარკი, საჰა
მწვრთნელი: კრის კოულმენი
მანჩესტერ სიტი: სიმენი, რაიტ-ფილიპსი (ბოსველტი 77), დისტინი, სომეილი, ტიხაი, მაკმანამანი (ფაულერი 85), ტიატო, ჯ. ბარტონი, ტ. სინკლერი, ანელკა (სიბიერსკი 61), ვანჩოპე
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: კლარკი, ინამოტო, რაიტ-ფილიპსი, სომეილი, ანელკა, ტიხაი, ბარტონი
მსაჯი: დოუდი
16 124 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:0 ევერტონი

1:0 ჟობი (6)
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, საუთგეიტი, კუპერი, კედრუ, გრინინგი (რიკეტსი 76), დორივა, ბოატენგი, ზენდენი, კრისტი (ნემეტი 84), ჟობი (რიგოტი 81)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ევერტონი: მარტინი, ჰაიბერტი, იობო, სტაბსი, ნეისმიტი, უოტსონი (კარსლი 46), გრავესენი, ლინდეროტი (დ. ფერგიუსონი 70), კილბეინი (მაკფადენი 79), რუნი, რაძინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: მილსი, გრინინგი, უოტსონი, რუნი, კილბეინი
მსაჯი: ვაილი
28 113 მაყურებელი

### ტოტენჰემი 1:3 საუთჰემპტონი

0:1, 0:2 ბიტი (3, 43), 0:3 ფილიპსი (60), 1:3 კინი (62)
ტოტენჰემი: კელერი, ბუნიევჩევიჩი (პოსტიგა 66), ე. გარდნერი, რიჩარდსი, კარი, დალმა (ანდერტონი 46), რედნაპი, რიკეტსი, ტარიკო, კანო, ზამორა (რობი კინი 46)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ლე სო, ფერნანდესი (ა. სვენსონი 71), ოკლი, მარსდენი (პრატონი 83), ტელფერი, ფილიპსი, ბიტი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: რედნაპი, მარსდენი
მსაჯი: დურსო
35 784 მაყურებელი

### ლიდსი 0:2 ბირმინგემი

0:1 სევიჯი (793), 0:2 ფორსელი (84)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ზ. კამარა, როკე ჟუნიორი, ჰარტი, პენანტი, მორისი, ოლემბე, საკო (ლენონი 81), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, დ. ჯონსონი, აპსონი, კანინგემი, კლეპამი, დ. დანი (მორისონი 90), სევიჯი, კლემენსი, ლაზარიდისი, ფორსელი (ტებილი 88), დიუგარი (ა. სისე 85)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, ოლემბე, საკო, სევიჯი, როკე ჟუნიორი, კამარა, დიუგარი
გაძევება: როკე ჟუნიორი (77)
მსაჯი: გალაჰერი
34 305 მაყურებელი

### ნიუკასლი 0:0 ბოლტონი

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ბრემბლი, ვუდგეიტი, ბერნარი, სოლანო (ამეობი 79), დაიერი, სპიდი (ჯენასი 78), რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჩარლტონი, ნგოტი, ტომე, რ. გარდნერი, ნოლანი, იანაკოპულოსი (პედერსენი 68), ოკოჩა, კამპო, ჯორკაეფი (ფრანდსენი 87), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დაიერი, იანაკოპულოსი
მსაჯი: ბარბერი
52 014 მაყურებელი

### ასტონ ვილა 2:1 ჩარლტონი

1:0 ალფაი (37), 2:0 სამუელი (55), 2:1 ლისბი (86)
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, ალფაი, ბერი, დე ლა კრუზი, ჯ. სამუელი, ჰენდრი, გ. მაკკანი, უიტინგემი, ოლბოკი (ვასელი 64), პ. ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩარლტონი: კიელი, იანგი, ჯ. ფორჩუნი, ფიში, კ. პაუელი, კიშიშევი (გ. სტიუარტი 59), პარკერი, ჰოლანდი, კ. იენსენი, დი კანიო (ლისბი 82), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: მაკკანი, უიტინგემი, ანხელი, იანგი, ფორჩუნი
მსაჯი: ფოი
31 410 მაყურებელი

### პორტსმუთი 1:2 ბლექბერნი

0:1 ნაილი (35), 0:2 კოული (43), 1:2 დე ზეუვი (57)
პორტსმუთი: ჰისლოპი, შეფელი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ჟივკოვიჩი, სტოუნი, შერვუდი (რობერტსი 55), ფეიუ, ქვომი (პერიკარი 84), შერინგემი, აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი (ნ. იოჰანსონი 90), ლ. ამორუზო, ბაბელი, გრეშკო, ემერტონი, თუგაი (დ. ბაჯო 64), ბ. ფერგიუსონი, დ. ტომპსონი, ენდი კოული, იანსენი (იორკი 64)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ქვომი, შეფელი, გრეშკო, ტომპსონი, კოული
მსაჯი: დარკინი
20 024 მაყურებელი

# ყვინთვა და კაი ბიჭობა



მანჩესტერი — არსენალი. მარტინ კიოუნმა დიეგო ფორლანი მინდორს გააკრა და პენალტიც დაინიშნა

**მყვინთავი** იმ ფეხბურთელს ჰქვია, რომელიც არარსებული ჯარიმიდან თავისი გუნდისთვის უმეტეს სარგებელს გამოადნობს. სხვანაირად, სიმულიანტი გამოდის. სიმულიანტობაზე პრემიერლიგაში დაურიდებლად უთითებენ, იცნობდეთ, მატყუარააო.

კვირა შუადღეს, „ოლდ ტრეფორდზე" რომ „მანჩესტერსა" და „არსენალს" უნდა ეთამაშათ, ორი-სამი დღით ადრე მყვინთაობაზეც ატყდა ლაპარაკი, მანჩესტერელთა წინა მატჩში „ჩარლტონის" წინააღმდეგ კრისტიანო რონალდო ნამეტანი თეატრალურად ეხეთქებოდა ბალახზეო. იგივეს ამბობდნენ რობერ პირესზე, რომელმაც წინა ტურში თავისი მყვინთაობით პენალტი გამოსტყუა მსაჯს. ორივე ფეხბურთელს მენეჯერები იცავდნენ, თუმცა წინასწარ გამოცხადებული იყო, რომ რონალდო და პირესი სასტარტოში არ იქნებოდნენ. პირველი არ გამართლდა, მეორე კი.

„არსენალს" არ ჰყავდა სოლ კემპბელიც, რომელსაც „ინტერთან" მარცხის მეორე დღეს წინა დღით სისხლჩაქცეული მამა გარდაეცვალა. ხუთშაბათი სოლის დაბადების დღეც იყო და არსენ ვენგერმა პირდაპირ თქვა, თამაშს ვერ მოვთხოვო.

„მანჩესტერ" — „არსენალს" კარგი დარი დაუდგა, ინგლისში ასეთი სექტემბერი არ ახსოვთ. ოღონდ, თამაში როგორღაც გაზომილი გამოვიდა. „მეთოფენი" ფაქტობრივად არ უტევდნენ. როგორც ალექს ფერგიუსონმა თქვა თამაშის შემდეგ, „ინტერთან" მარცხის შემდეგ მათ წაგება არაფრით უნდოდათ და ქულისთვის ჩამოვიდნენ, რაც მიიღეს კიდეცო. „მანჩესტერი" კი უტევდა, მაგრამ მაინც ფრთხილად. თამაშის ორი საგოლე მომენტი პირველ ტაიმში იყო: გიგზის დარტყმული ჯარიმა ძელს მოხვდა, მერე კი რუუდ ვან ნისტელროიმ ცარიელ კარს გადააცილა ბურთი, რადგან თავით თამაში არ ეხერხება.

მთავარი ამბები ბოლო ათ წუთში დატრიალდა, თუმცა მსაჯ სტივ ბენეტს მანამდეც უწევდა ყვითლების ფრიალი ამ ჩაკეტილ თამაშში. „მეთოფეთა" კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ კვინტონ ფორჩუნი წააქცია და ძალიან ბევრი იდავა იმ ყვითელი ბარათის გამო, რომელიც მსაჯმა უჩვენა. ამ მომენტიდან ორიოდ წუთი გავიდა და ვან ნისტელროი ვიეირას შეაჯდა. ჯარიმა იქნებოდა, მაგრამ წაქცეულმა ვიეირამ წიხლი გაუქნია ჰოლანდიელს, რომელიც იმგვარი თეატრალურობით გახტა განზე, ვითომ ეს სანახევროდ მოქნეული მუცელში მოხვედროდეს. ორივეს ყვითლები და ვიეირა ძლივს გააცილა მოედნიდან როი კინმა. ძიძგილაობა გაგრძელდა, თუმცა ცხადია, „მეთოფენი" მორიგ მოცურავეზე დაიგეშნენ.

90-ე წუთზე გარი ნევილმა საჯარიმოში ჩაკიდა და იქ შევარდნილ დიეგო ფორლანს მამის ტოლა მარტინ კიოუნმა, რომელმაც კოლო ტურესა და ეშლი კოულთან ერთად დიდი ჯაფა გასწია იმ მზიან ნაშუადღევს, სულ ოდნავ მიაყოლა ხელი ზურგზე ურუგვაელს. ფორლანი წაიქცა. პენალტი, კვლავ ძიძგილაობა. ვან ნისტელროი ურტყამს, ლემანი მარცხნივ მიჰქრის, ბურთი მარჯვნივ ხვდება ხარიხას და მოედანზე ბრუნდება. ეს არის ვან ნისტელროის მიერ ვერგატანილი ზედიზედ მესამე პენალტი ბოლო ერთ თვეში. წუთში თამაში მთავრდება. ანთებული „მეთოფენი" ვან ნისტელროის მიესევნენ და ჯერ კიოუნი ჩასცხებს კისერში დედის გინებით, მერე რეი პარლოუ ფერდში ასევე გინებით, მერე კი ეშლი კოული ზურგში. სულ ბოლოს მადა ლორენსაც გაეხსნა: აგე, შე სიაფანდო, ხო ნახე, რა მოგივიდა, კაი ბიჭებს რომ გაუჩალიჩეო. ვან ნისტელროი პირველი შევარდა გასახდელში. გეგონებათ, არსენალელთა მეგობარ რობერ პირესს უარესი არ ექნას გასულ შაბათს.

მან ვიეირას გაძევების პროვოცირება მოახდინა? „კომენტარის გარეშე" — გაიცინა როი კინმა თამაშის შემდეგ.

„ის კარგი ბიჭია, მაგრამ ყვინთავს ხოლმე — თქვა ვენგერმა — პენალტიც არ იყო".

ამ საქმიდან კი ის გამოვიდა, რომ „არსენალი" პირველ ადგილზე დარჩა, თამაშნაკლული „ჩელსი" მხარში



პატრიკ ვიეირა და რუუდ ვან ნისტელროი გარი ნევილმა კი გააშველა, მაგრამ ნამატჩევს „მანჩესტერის" ჰოლანდიელი თავდამსხმელი მარტინ კიოუნის რისხვას ვერ გადაურჩა



| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 |
| 2 ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:6 | 9 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 |
| 3 მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 7 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 |
| 4 საუთჰემპტონი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 |
| 5 სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:8 | 6 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 |
| 6 ლივერპული | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 5 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 7 |
| 7 ბირმინგემი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 11 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 |
| 8 პორტსმუთი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 6 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 9 ბლექბერნი | 6 | 2 | 2 | 2 | 14:12 | 2 | 8 | 3 | 1 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 |
| 10 ფულემი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:9 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 |
| 11 ასტონ ვილა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 12 ბოლტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:10 | -6 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | -8 | 1 |
| 13 ლესტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 0 |
| 14 ჩარლტონი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 4 |
| 15 ევერტონი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 |
| 16 ლიდსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | -6 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | -4 | 3 |
| 17 მიდლსბრო | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 18 ტოტენჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 19 ნიუკასლი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | -2 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 20 ვულვზი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:17 | -16 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:9 | -9 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | -7 | 0 |

ამოუდგა, „მანჩესტერი" კი მესამეზე გაჩერდა. „ჩელსიმ" სულ ნავარდით მოიგო ვულვერჰემპტონში, თუმცა, ამ ნავარდის მიუხედავად, ამბობენ, რომ შობას კლაუდიო რანიერი მენეჯერი აღარ იქნება და ადგილს სვენ გორან ერიკსონს გადაულოცავს, რომელსაც აბრამოვიჩის ხალხი მრავალმილიონიან კონტრაქტს სთავაზობს. ეს ხმები კი უარყო შვედის შვედმა თანაშემწემ, ტორდ გრიპმა, მაგრამ სანახევროდ. ფულემ როუდზე კი, სადაც „სტემფორდ ბრიჯია", აუწერელი ოდენობით იყიდება ახალი, რუსულად გაწყობილი მაისურები. წარწერა „ჩელსკი" რუსთა მოსვლას ნიშნავს, ისევე როგორც ნამგალი და ურო. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, მაისურებისთვის ჩელსოვიჩ წაეწერათ.

სხვაფრივ კი, „მეთოფენი" სტივ ბენეტის მადლიერნი უნდა იყვნენ, რადგან ვან ნისტელროის პენალტი ხელახლა არ დაარტყმევინა. იენს ლემანი ხომ დარტყმამდე გამოსცდა კარის ხაზს.

აქაურ მსაჯებში ახალი მოდა, უფრო კი მითითება ჩანს. ხომ გახსოვთ „ლივერპულ" — „ჩელსის" პირველი ტურის მატჩი, როცა მაიკლ ოუენს პენალტი გაამეორებინეს? შაბათს, „ლიდსის" მეკარე პოლ რობინსონმა ფანტასტიკურად მოიგერია დევიდ დანის მიერ მარცხენა კუთხეში დარტყმული ბურთი, მაგრამ მსაჯმა ხელახლა დარტყმა ბრძანა. დანი ბურთთან აღარ მივიდა, მისთვის ეს ზედიზედ მეორე გაფუჭება იყო. რობი სევიჯმა მარჯვენა კუთხეში დაარტყა და მეკარე ამ ბურთსაც სწვდებოდა, თუმცა, ძალიან ძნელია ორიდან ორი პენალტის აღება. მსაჯს რომ ასე ხელახლა დარტყმები ებრძანებინა, ჩემპიონთა თასს დღემდე არ ეყოლებოდა პატრონი, ვინაიდან იქ მოგერიებული ყველა პენალტი ადრე დაძრული მეკარის მიერაა მოგერიებული. „ლიდსმა" კი ზედიზედ მეორედ წააგო, მისი მძლეველი „ბირმინგემი" კი კვლავაც დაუმარცხებელია. გოლი ვერ გაიტანა და არ წააგო „ნიუკასლმა", რომელიც ცხრილის ბოლოშია, თუმცა სერ ბობი სიმხნევეს არ ჰკარგავს.

„ტოტენჰემმა" კი შინ წააგო „საუთჰემპტონთან", რომლის ჯეიმს ბიტიმაც ორი საუცხოო გოლი გაიტანა, თავითა და საჯარიმო დარტყმით. „საუთჰემპტონი" პრემიერლიგის ისტორიაში პირველად დგას მეოთხე საფეხურზე, მასპინძელთა მიერ გატანილი პრესტიჟისა კი ბოლო ხუთას წუთში პირველი გამოდგა.

წმინდანთა დარად ამ ტურამდე წაუგებელმა „პორტსმუთმა" შინ წააგო „ბლექბერნთან". დიდი ომი იყო და გოლი იმ ლუკას ნალისმაც გაიტანა მასპინძელთა კარში, წინა შაბათს ფეხი რომ მოტეხა ლივერპულელ კარაგერს. „ლივერპულმა" „ენფილდზე" სძლია „ლესტერს". ემილ ჰესკის თავური მასპინძელთა პირველი არაპენალტი გამოდგა, შინაურ კედლებში რომ გავიდა. თანაც, ჰესკი ძველი ლესტერელია და ამას წინათ თავისი მშობლიური კლუბი გაკოტრებისგანაც იხსნა, ასი ათასი გირვანქით მიიღო იქაური წილი.

ომიანობა იყო „მანჩესტერ სიტისა" და „ფულემის" თამაშში, დასავლეთ ლონდონში. „სიტი" მთელ თამაშს იგებდა, ბოლო ათ წუთში კი გაირკვა, რომ თურმე აგებდა, მაგრამ პაულო სესარ ვანჩოპეს თავურმა და ფულემელთა მეკარის, ედვინ ვან დერ სარის დაბნეულობამ კევინ კიგანს ქულა უსახსოვრა.

**ირაკლი ბამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 6 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 6 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 6 |

### VII ტური

27 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | ნიუკასლი |
| ბირმინგემი | — | პორტსმუთი |
| ბლექბერნი | — | ფულემი |
| ბოლტონი | — | მიდლზი |
| ჩარლტონი | — | ლივერპული |
| ჩელსი | — | ასტონ ვილა |
| ევერტონი | — | ლიდსი |
| ლესტერი | — | მანჩესტერი |
| სიტი | — | ტოტენჰემი |
| საუთჰემპტონი | — | მიდლსბრო |

### პირველი დივიზიონი

#### IX ტური

**ბარნლი 4:0 ბრედფორდი**

1:0 მური (43), 2:0, 3:0 ჩედვიკი (54, 60), 4:0 ბლეიქი (68)

**კრიუ 3:1 ნოტინგემი**

0:1 შერვუდი (54), 1:1 ლანტი (64), 2:1 ეშტონი (74), 3:1 ჯონსი (88)

**კრ. პალასი 2:2 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჰალსი (52), 1:1 ფრიდმენი (59), 1:2 კუმასი (89), 2:2 ჯონსონი (90)

**დერბი ქაუნთი 1:1 სანდერლენდი**

1:0 ტეილორი (90), 1:1 პოოში (90)

**ჯილინგემი 2:0 ვესტ ჰემი**

1:0 კინგი (57), 2:0 ბენჯამინი (82)

**იფსვიჩი 4:1 უიმბლდონი**

1:0 არმსტრონგი (24), 2:0 ნეილორი (26), 2:1 ეგიმენგი (45), 3:1 დ. ბენტი (68), 4:1 კუნაგო (81)

**მილუოლი 2:1 უოლსოლი**

0:1 კორიცა (73), 1:1 უორდი (16), 2:1 ჰარისი (80)

**პრესტონი 4:1 როტერჰემი**

1:0 კროსველი (11), 1:1 ბიფილდი (45), 2:1 ფულერი (55), 3:1 ალექსანდერი (65), 4:1 ონილი (73)

**რედინგი 1:2 ქოვენთრი**

1:0 ფორსტერი (21), 1:1 ადებოლა (35), 1:2 მორელი (76)

**შეფილდ იუნ. 5:3 კარდიფი**

0:1 ერნშოუ (46), 1:1 ტონგი (53), 2:1 ნდლოვუ (62), 2:2 ერნშოუ (64), 2:3 ლენგლი (69), 3:3 ნდლოვუ (78), 4:3 ლესტერი (85), 5:3 ნდლოვუ (89)

**სტოკი 1:1 ნორვიჩი**

1:0 ნოელ-უილიამსი (36), 1:1 მაკვერბი (67)

**უიგანი 1:0 უოტფორდი**

1:0 მაკკალოხი (11)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:5 | 19 |
| შეფილდი | 8 | 5 | 2 | 1 | 16:8 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 16 |
| ვესტ ჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 9:5 | 16 |
| ნოტინგემი | 8 | 5 | 0 | 3 | 15:10 | 15 |
| მილუოლი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| რედინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:7 | 14 |
| ნორვიჩი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:9 | 14 |
| სანდერლენდი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:8 | 13 |
| ქრიუ | 8 | 4 | 1 | 3 | 9:9 | 13 |
| სტოკი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| ბარნლი | 9 | 4 | 0 | 5 | 13:15 | 12 |
| ჯილინგემი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:15 | 12 |
| კარდიფი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:12 | 11 |
| კრ. პალასი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| პრესტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:11 | 10 |
| ბრედფორდი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:13 | 10 |
| ქოვენთრი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:13 | 8 |
| იფსვიჩი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| დერბი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |
| უოლსოლი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:9 | 6 |
| როტერჰემი | 8 | 1 | 2 | 5 | 2:16 | 5 |
| უოტფორდი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:11 | 4 |
| უიმბლდონი | 8 | 1 | 0 | 7 | 10:22 | 3 |

### მეორე დივიზიონი

**მე-9 ტური:** ბარნსლი — სუინდონი 1:1; ბორნმუთი — რაშდენი 2:1; ბრენტფორდი — ჰარტლპული 2:1; ბრაიტონი — შეფილდ უენსდი 2:0; ბრისტოლი — პორტ ვეილი 0:1; გრიმსბი — ჩესტერფილდი 4:0; ლუტონი — ქუინზ პარკი 1:1; ნოტსი — ტრანმერი 2:2; პიტერბრო — კოლჩესტერი 1:2; სტოკპორტი — ბლეკპული 1:3; რექსემი — პლიმუთი 2:2; უიკომბი — ოლდემი 2:5

### მესამე დივიზიონი

**მე-9 ტური:** ბოსტონი — ბერი 1:0; ჩელტენემი — კემბრიჯი 0:3; დონკასტერი — ოქსფორდი 2:0; კიდერმინსტერი — ლინკოლნი 1:2; ლეიტონი — სკანთორპი 1:1; მენსფილდი — იოვილი 0:1; ნორთჰემპტონი — მაკლსფილდი 0:0; როჩდეილი — ჰალი 0:2; საუთენდი — კარლაილი 2:2; სუონსი — ჰადერსფილდი 2:0; ტორკი — დარლინგტონი 2:2; იორკი — როვერსი 2:1

### კონფერენსლიგა

**მე-9 ტური:** ბარნეტი — ალდერშოტი 2:1; დაგენემი — აკრინგტონი 0:1; ფარნბორო — ჩესტერი 1:2; გრეივსენდი — ექსეტერი 3:2; ჰალიფაქსი — მარგეიტი 0:1; ლეიფი — ტემუორთი 1:1; ნორსვიჩი — მორეკემბი 1:1; სკარბორო — ფორესტ გრინი 2:2; ტელფორდი — სტივენეიჯი 0:2; უოქინგი — შრიუსბერი 3:3

# ნადი და ნაიდე შენი ორი მილიონი

## ლევის თაფლობის თვე ჰოდლმა ჩაამწარა



*„ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავმჯდომარემ დენიელ ლევიმ განაცხდა, რომ ცუდი შედეგების გამო თანამდებობიდან ხსნის მწვრთნელს, გლენ ჰოდლს. ამრიგად, კაცი, რომელიც „უაით ჰართ ლეინზე", ორნახევარი წლის წინ მივიდა და წესით, ანუ კონტრაქტის თანახმად კიდევ ორი წელიწადი იქვე უნდა დარჩენილიყო (გასამჯელოდ მას კვირაში 20 ათას გირვანქას უხდიდნენ). გაუშვეს — დროებით მის საქმეს მენეჯინგ-დირექტორი დევიდ პლიტი გაუძღვება*

45 წლის ჰოდლმა კარგად იცოდა, რომ შაბათს „საუთჰემპტონთან" დამარცხების შემდეგ მისი ამბავი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, თუმცა რეალურად ეგონა, რომ იქითა კვირამდე ხელს არავინ მოჰკიდებდა (ანუ გულში მორიგი ტურის მკრთალი იმედი ულიტინებდა), რადგან თავმჯდომარე ლევი ამ დღეებში თაფლობისთვით ტკბებოდა, მაგრამ თავმჯდომარე და რისხვა მოულოდნელად დაატყდა თავს.

ლევიმ განაცხადა: „აუცილებელია, რომ მე და დირექტორი მწვრთნელს აბსოლუტურად ვენდობოდეთ, გვწამდეს, რომ იგი გამარჯვებებს მოგვიტანს. სამწუხაროდ, დღეს ასე არაა. ორწლიანი წარუმატებლობების შემდეგ ამ ზაფხულს გუნდში დიდძალი თანხა ჩავდეთ, რათა წარმატებებისთვის მიმდინარე სეზონში მიგვეღწია, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემპიონატი ისე საძაგლად დავიწყეთ, როგორც პრემიერლიგის დაარსების დღიდან არ დაგვიწყია. აღსანიშნავია, რომ ეს დაემატა გასული სეზონის უკიდურესად ცუდ დასასრულს, რამაც დაგვანახა, რომ „ტოტენჰემში" პროგრესის ნატამალიც არ შეიმჩნევა. მწვრთნელის გათავისუფლება იოლად გადასაწყვეტი არ იყო, თუმცა ახლა სამომავლო ნაბიჯებზეღა უნდა ვიფიქროთ".

გავიხსენოთ პრემიერლიგის ცხრილი: ექვსი ტურის შემდეგ „სფურზი" ოთხი ქულით ბოლოდან მესამეა. გავიხსენოთ ჰოდლის საზაფხულო ნავაჭრიც: მან დაახლოებით 11,5 მილიონი გირვანქა დახარჯა და შეიძინა ელდერ პოსტიგა, ბობი ზამორა და ფრედი კანო. ამ გახსენებების შემდეგ აღვნიშნოთ, რომ ჰოდლის გამოსასარჩლებლად ხმა ერთ წამყვან ფეხბურთელსაც არ ამოუღია და მეტიც, ამბობენ, რომ ისინი მწვრთნელის შეცვლას ერთი-ორი კვირის წინ ითხოვდნენ. საოცარია, როგორ მოახერხა გლენ ჰოდლმა ერთი მეგობარიც არ შეენარჩუნებინა კლუბში, რომელშიც 12 წლის მანძილზე თამაშობდა და ქომაგთა კერპი გახლდათ.

ლევიმ დასძინა: „ამ კლუბში გლენი განსაკუთრებული ადამიანია, ასე რომ, დღევანდელი გადაწყვეტილება არანაირად არ ეხება მის უღიაღესობას. „უაით ჰარ ლეინი" ჰოდლის ყოველთვის გულთბილად შეხვდება, მაგრამ ჩვენ მაინც ახალი მწვრთნელის მოძებნა გვჭირდება, ახლა საბედისწერო მომენტია. ამიტომ არჩევისას შეცდომის დაშვება უნდა გამოვრიცხოთ".

ამგვარად, ხელშეკრულების დარღვევისთვის ჰოდლი წასვლისას 2 მილიონ გირვანქას გაიყოლებს, ახალ მწვრთნელს კი თავისი დასჭირდება.

ვინ იქნება ახალი მწვრთნელი? ამბობენ, რომ ნომერ პირველი კანდიდატი „სელტიკის" თავკაცი მარტინ ონილია, თუმცა იმასაც ამბობენ, ლევიც ხვდება ონილის მოთაფვლის და გლაზგოდან წამოყვანის შანსი რომ არ არისო. ლაპარაკობენ გრემ სუნესზე, რომელმაც ფეხბურთელის კარიერა „სფურზში" დაიწყო და ლონდონში მუშაობა სურს, თუმცა როგორ იქნება „ბლექბერნიდან" მისი წამოსვლის საქმე, კაცმა არ იცის. კანდიდატთა შორის კიდევ მოიხსენიებენ ალან კერბიშლის, რომელიც ამჟამად „ჩარლტონ ატლეტიკშია" და რადომირ ანტიჩს, რომელიც მაისამდე „ბარსელონაში" მუშაობდა.

**პაატა ძიდია**





**მარტინ ონილი, გრემ სუნესი, ალან კერბიშლი, რადომირ ანტიჩი: ამ ოთხეულიდან „ტოტენჰემის" მწვრთნელობის შანსი ანტიჩს აქვს**





# შტუტგარტის ყურანი კურანია
# გლადბახი ჩაფახდა



ბაიერნი — ლევერკუზენი. ილდირაი ბაშთურქის ამ დარტყმამ სტუმრებს ქულა გადაურჩინა

ტურის ცენტრალური მატჩი გოლთაცვენით დამშვენდა. როგორ გავიდა ბურთები, ამის აღწერას არ შევუდგებით, მაგრამ ის კია, რომ მიხაელ ბალაკმა მეორე ტაიმში დიდებული გოლი გაიტანა.

გემოვნებაზე კი დავობენ — ზოგს „ბაიერნი“ უფრო მოეწონა, ზოგს „ლევერკუზენი“, მაგრამ ბავარიელები იმად გამოირჩნენ, რომ თავიანთი მტკიცე ხასიათი ერთხელაც გვიჩვენეს — „ბაიერნი“ კაცნაკლული დაწინაურდა, მაგრამ ილდირაი ბაშთურქმა ალბათ მატჩის ლოგიკური შედეგი გამოჭედა.

ერთიცაა, ბალაკის გაცუდებული 11-მეტრიანი ნამატჩევს ალარავის ახსოვდა — მისმა სუპერგოლმა და საერთოდ თამაშის პერიპეტიებმა მკვახე სიტყვებისთვის ყველას ენა მოუჭრა.

ჩემპიონთა ლიგა განზე იყოს და, „შტუტგარტი“ მიმდინარე ბუნდესლიგაში კვლავაც ერთადერთია, ექვსი ტური გოლი რომ ვერ გაუტანეს. ეს ვერც მათიას ზამერის ბიჭებმა შეძლეს და საამისო შესაძლებლობები მაინცდამაინც ბევრი არ ჰქონიათ. საგოლე მომენტების ხვავიანობით არც „შტუტგარტს“ გამოირჩეოდა, მაგრამ კევინ კურანიმ თავი მართლაც თავიანად მოიხმარა — 67-ე წუთზე სწორედ სხეულის მწვერვალით გაიტანა და ფელიქს მაგათის გუნდიც ცხრილის მწვერვალზე წამოსკუპდა.

„ჰანოვერ 96“-მა გლადბახური „ბორუსიის“ მწვრთნელი შეიწირა — ევალდ ლინენი პირველი მოხსნილი მწვრთნელია მიმდინარე ბუნდესლიგაში. „აღარ გვჯერა, რომ ლინენის ხელში რაიმეს მივაღწევთ“ — უთქვამს „გლადბახის“ სპორტულ დირექტორ კრისტიან ჰოშტატერს. „ჰანოვერთან“ წაგების შემდეგ უმალ მოიძებნა ლინენის შემცვლელი — ჰოლგერ ფახი, რომელიც მანამდე რეგიონალლიგის „როტ-ვაისს“ თავკაცობდა. ფახი 1991-95 წლებში „გლადბახის“ ფეხბურთელი იყო და ხუთჯერ ბუნდესნაკრებშიც უთამაშია.

ჩვენთვის დიდ ინტერესს იწვევდა „ფრაიბურგ“ — „შალკეს“ დაპირისპირება. ფოლკერ ფინკეს გუნდი ერთობ სიმპათიურად გამოიყურებოდა, იუპ ჰაინკესის სამწყსო კი ჯერაც ვერაა რიგიანად აწყობილი. ფრაიბურგელები ბოსნიელი ნახევარმცველის ზლატან ბაირამოვიჩის თავურით დაწინაურდნენ, მაგრამ ცხრა წუთში ბურთს „შალკემაც“ ურქინა საგოლედ — ეს ურუგვაელმა მცველმა დარიო როდრიგესმა შესძლო. თუმც „ფრაიბურგი“ არ შედრკა და ლევან ცქიტიშვილმა პენალტით სამქულიანი შეაგდო. მეორე ტაიმში „ხუმარათა“ ფიცხობა იყო მოსალოდნელი, მაგრამ „შალკე“ არგენტინელმა მცველმა ანიბალ მატელანმა დაალალატა — ის ორი გაფრთხილების გამო გააძევეს.

კბილებით გამოაძრო გამარჯვება ბრემენის „ვერდერმა“ — თანაბარ თამაშში გადამწყვეტი აღმოჩნდა „მუსიკოსთა“ ჩეხი ფორვარდის იოან მიკუს ჩაჩანები.

კიოლნში იყოჩაღა „ვოლფსბურგმა“ და მეოთხე ადგილზე აღზევდა, ხოლო „კიოლნი“ ლუზასავით ჩაერჭო ფსკერს.

კვლავაც ვერ მოიგო „ჰერტამ“ და ჰუუბ სტევენსს ალბათ ერთხელაც დაუსტვენენ — ბერლინელები ექვსი ტურის შემდეგ ერთადერთნი არიან, თამაში რომ ვერ მოუგიათ, არადა, ბოხუმში „ჰერტა“ ორჯერ დაწინაურდა.

პირველი გამარჯვება იზეიმა კურტ იარას „ჰამბურგმა“ — ჩრდილოელებმა გამარჯვებისკენ არანორმალური სწრაფვა გვიჩვენეს. როსტოკელთაგან ბებერი მეგოლე მარტინ მაქსი გამოირჩა და როცა „ჰამბურგის“ კაპიტან ნიკო-იან ჰოოგმა გააძევეს, ჩრდილოელთა გამარჯვება ნაღდად წარმოუდგენლად ჩანდა, მაგრამ ეს ხომ ბუნდესლიგაა — ბერნარდო რომეოსა და ბასტიან რაინჰარდტის გოლებით „ჰამბურგმა“ წელზე ფეხი დაიდგა.

ერიკ გერეტსმა, როგორც იქნა, ამ სეზონშიც იჩაუქა — „ლაუტერნმა“ სტუმრად წააქცია „აინტრახტი“. ფრანკფურტელთა ალბანელი ერვინ სკელა კი არასპორტული საქციელისთვის მიაბრძანეს მოედნიდან — აქლემივით იპურჭყებოდა.

**დავით თაგართქილაძე**

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VI ტური

**ფრაიბურგი 2:1 შალკე**

1:0 ბაირამოვიჩი (3), 1:1 როდრიგესი (12), 2:1 ცქიტიშვილი (38პ)

ფრაიბურგი: გოლცი, რაიტერი, კონდე, ბ. დიარა, კრუპკე, ა. ცაიერი (ბერნერი 46), ბაირამოვიჩი, ცქიტიშვილი (შ. მიულერი 78), კულიბალი, იაშვილი, სანე (კაირო 66)

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

შალკე: ფ. როსტი, ალკიდესი (კლასენერი 60), ვალდოხი, მატელანი, ვან კერკჰოვენი, კ. პოულსენი (ტროიანი 78), ქობიაშვილი, როდრიგესი, ჰამიტ ალტინტოპი (ასამოა 78), აგალი, გლიდერი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: რაიტერი, მატელანი, როდრიგესი, ტროიანი, მატელანი, აგალი

გაძევება: მატელანი (50)

მსაჯი: კემლინგი

25 000 მაყურებელი

**ბაიერნი 3:3 ლევერკუზენი**

0:1 რამელო (10), 1:1 მაკაი (25), 1:2 ფრანცა (34), 2:2 სანტა კრუზი (64), 3:2 ბალაკი (69), 3:3 ბაშთურქი (81)

*ბალაკმა ვერ გაიტანა პენალტი (28, მეკარე)*

ბაიერნი: კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ბალაკი, შვაინშტაიგერი (კ. პიზარო 59), ზე რობერტო, მაკაი (რაუ 79), სანტა კრუზი (სალიჰამიჯიჩი 75)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბ. შნაიდერი, ჟუანი, ლუსიო, პლასენტე, რამელო, ბიროფკა (ბაშთურქი 77), ბაბიჩი, პონტე, ნოივილი (ლუკიჩი 68), ფრანცა (ბერბატოვი 65)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: ბალაკი, კოვაჩი, სანიოლი, ჟუანი, რამელო, პონტე, ბაშთურქი

გაძევება: ზე რობერტო (57)

მსაჯი: მაიერი

63 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 დორტმუნდი**

1:0 კურანი (67)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ლამი, სოლდო, ვრანიეში, გლები (ტიფერტი 64), ჰელდტი (მაისნერი 77), კურანი (ამანატიდისი 90), საბიჩი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ვიორნსი, მადუნი, ბერგდოლმო (ჯ. რეინა 78), კელი, შ. როიტერი (რიკენი 65), დედე, როსიცკი, ო. ადო, კოლერი, ევერტონი (ოდონკორი 84)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: ჰინკელი, გლები, საბიჩი, როსიცკი, კელი

მსაჯი: მერკი

50 000 მაყურებელი

**ვერდერი 2:1 მიუნხენი**

1:0 აილტონი (47პ), 1:1 შროტი (56), 2:1 მიკუ (65)

ვერდერი: რაინკე, დავალა უმითი (ველაგე 82), ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ბაუმანი, ლისტეში (ბოროვსკი 78), ფ. ერნსტი, მიკუ, აილტონი, ხარისტიასი (კლასნიჩი 60)

მწვრთნელი: თომას შააფი

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, საარინენი, როდრიგო კოსტა, ტ. ჰოფმანი, გიორლიცი, შვარცი, ვიზინგერი (ბაიერი 70), პიურკი, ლაუტი (აგოსტინო 75), კიოთი (ტისი 46), შროტი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

გაფრთხილება: კრსტაიჩი, ისმაელი, ველაგე, ტ. ჰოფმანი

მსაჯი: ფანდელი

31 233 მაყურებელი

**ბოხუმი 2:2 ჰერტა**

0:1 ნოინდორფი (8), 1:1 ცდებელი (44), 1:2 ნოინდორფი (66), 2:2 ჰაშემიანი (73)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ბიონიგი, ცდებელი (ბ. გუდიონსონი 46), ოლისე, ვოში (ტ. გუდიონსონი 70), ბაკლი (დიაბანგი 63), ჰაშემიანი, მადსენი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, მადლუნგი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, დარდაი, ნოინდორფი (კარვანი 69), გოორი, მლადენოვი (ვიშნიარეკი 89), ბობიჩი

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

გაფრთხილება: კოლდინგი

მსაჯი: შიპელი

22 000 მაყურებელი

**კიოლნი 2:3 ვოლფსბურგი**

0:1 ბილიშკოვი (3), 0:2 პეტროვი (26), 1:2 შერცი (33), 2:2 ვორონინი (60), 2:3 კლიმოვიჩი (73)

კიოლნი: ვესელსი, ტ. კლოსი (სიხონე 78), ო. შრიოდერი, კულმანი, ჰაინრიხი, ვოიგტი, შპრინგერი, ლოტნერი, შერცი (დვორაკი 77), ვორონინი, ებერსი (ჰელბიგი 71)

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

ვოლფსბურგი: იენზი, რიტერი (კარჰანი 18), ბილიშკოვი, შარპე, ტიამი, შნოორი, მენსეგეში (ს. მიულერი 30), დალესანდრო, მ. პეტროვი, კლიმოვიჩი, ბაიანო (პონტე 76)

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: ჰაინრიხი, ვოიგტი, შპრინგერი, მენსეგეში, კლიმოვიჩი, შარპე, ტიამი

მსაჯი: შმიდტი

33 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:0 მიონხენგლადბახი**

1:0 კრისტიანსენი (18), 2:0 იდრისუ (83)

ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, კლებერი, დაბროვსკი (იდრისუ 35), დე გუზმანი, კრუპნიკოვიჩი, შიმაკი (შულერი 79), სტაინერი (ზურავი 63), კრისტიანსენი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

მიონხენგლადბახი: რაიტმაიერი, ებერლი (სკოუბო 65), შტრასერი, ობრადოვიჩი, კირხი, კორზინეცი, კლუგე (სვერკოში 81), ულიხი, აიდოო, კოლკა, ვან ლენტი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

გაფრთხილება: დაბროვსკი, კრუპნიკოვიჩი, კირხი, ებერლი

მსაჯი: ალბრეხტი

22 417 მაყურებელი

**აინტრახტი 1:3 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ხრისტოვი (5), 0:2 კლოზე (48), 0:3 ხრისტოვი (52), 1:3 ბაიერლე (90)

*ფრომერმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*

აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი (ფრომერი 18), ცომუ-მაღზა, ჩიპი, ვიდენერი, პროისი, შური, მიოლერი (კრისი 55), შკელა, კროიცი (ბაიერლე 55), ჩა

მწვრთნელი: ვილი რაიმანი

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოციში, კნავსი, მეტომო, ჩატო (ვრეედენი 74), ფროინდი, ტიმი (რიდლი 73), კოსოვსკი, ხრისტოვი, კლოზე, ლოკვენცი (ჰალილ ალტინტოპი 66)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ფრომერი, პროისი, შური, ხრისტოვი, ფროინდი

გაძევება: შკელა (89)

მსაჯი: იანსენი

25 283 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:1 ჰანზა**

0:1 მაქსი (10), 1:1 რომეო (69), 2:1 რაინჰარდტი (85)

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ბენჯამინი (რომეო 46), ჰოოგმა, უიფალუში, კლინგი (რაინჰარდტი 83), ვიკი, მალტრიცი, იაროლიმი, მაჰდავიკია, ბარბარეზი, ტაკაჰარა (შლიკე 87)

მწვრთნელი: კურტ იარა

ჰანზა: შობერი, ტიკუზე, კინცი, ჰილი, მელკამი, ადუბე, ლანცი, მეგლე, პლასნეგერი (პრიკა 74), შულცი, მაქსი

მწვრთნელი: არმინ ვეჰი

გაფრთხილება: მაჰდავიკი, ჰოოგმა, პლასნეგერი, მელკამი, პრიკა

გაძევება: ჰოოგმა (57)

მსაჯი: ფლაიშერი

44 304 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შტუტგარტი | 6 | 4 | 2 | 0 | 6:0 | 6 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 |
| 2 ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 3 ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 7 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 6 |
| 4 ვოლფსბურგი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:12 | 2 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:5 | 6 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 5 ბაიერნი | 6 | 3 | 2 | 1 | 15:10 | 5 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 6 ჰანოვერი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:12 | 2 | 11 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 0 | 6 |
| 7 დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 8 მიუნხენი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 |
| 9 ფრაიბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:10 | 1 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 |
| 10 ბოხუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 11 შალკე | 6 | 1 | 3 | 2 | 7:10 | -3 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 12 ჰანზა | 6 | 1 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 2 |
| 13 ლაუტერნი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | -1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 |
| 14 ჰერტა | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8 | -4 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 15 აინტრახტი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 16 გლადბახი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 17 ჰამბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | -9 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 18 კიოლნი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:10 | -4 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 0 |

*„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (ჰანზა) | 7 |
| აილტონი (ვერდერი) | 5 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 5 |

### VII ტური

**27 სექტემბერი**

ვოლფსბურგი — ლევერკუზენი
ლაუტერნი — ჰანოვერი
გლადბახი — ბოხუმი
ჰერტა — ჰამბურგი
ჰანზა — ბაიერნი
კიოლნი — ვერდერი
მიუნხენი — შტუტგარტი
დორტმუნდი — ფრაიბურგი
შალკე — აინტრახტი

## მეორე ბუნდესლიგა

### VI ტური

**ოსნაბრიუკი 0:1 აუე**

0:1 ტომმიოლერი (79)

აუე: რ. პეტკოვი, კრახელტი, ემერიხი, ნოვესკი, რემი, გ. ბერგერი, გიორკე, გრუნდი (ფ. ბერგერი 77), კური, ტომმიოლერი (ბრუმი 83), შუბითიძე (იანკე 70)

10 000 მაყურებელი

**ალემანია 2:1 დუისბურგი**

1:0 მეიერი (10), 2:0 კლიცპერა (36), 2:1 ბუგერა (64)

**რეგენსბურგი 1:2 არმინია**

0:1 ბოაკიე (5), 1:1 დიონე (18), 1:2 ოვომოიელა (23)

**უნიონი 1:2 ლიუბეკი**

0:1 ვიორლე (59), 1:1 ბრუნსი (85), 1:2 ზანდი (87)

**ალენი 1:3 მაინცი**

0:1 ტიურკი (36), 0:2 ა. და სილვა (85), 1:2 ჰილებრანდი (87), 1:3 აუერი (90)

**ტრიერი 2:1 უნტერჰახინგი**

1:0, 2:0 რაკანელი (31, 64), 2:1 და კოსტა (85)

**კარლსრუე 0:0 ბურგჰაუზენი**

**ობერჰაუზენი 0:0 კოტბუსი**

***ნიურნბერგი — ფიურტი***

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:7 | 14 |
| უნტერჰახინგი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| კოტბუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 |
| ტრიერი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:11 | 11 |
| არმინია | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ნიურნბერგი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:9 | 8 |
| ლიუბეკი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| დუისბურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| ალემანია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:14 | 8 |
| ფიურტი | 5 | 2 | 1 | 2 | 13:10 | 7 |
| აუე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| ობერჰაუზენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| ალენი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 6 |
| რეგენსბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:10 | 6 |
| ოსნაბრიუკი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |
| უნიონი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:8 | 3 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-8 ტური: კიოლნი (მ) — ვერდერი (მ) 2:0; ესენი — დინამო 2:0; ჰამბურგი (მ) — მიუნსტერი 1:1; ქემნიცი — ზანკტ პაული 1:2; პადერბორნი — ვატენშაიდი 3:2; დორტმუნდი (მ) — იურდინგენი 1:0; კიოლი — ვუპერტალერი 1:1; შალკე (მ) — ბრაუნშვაიგი 3:1; ლაიპციგი — ნოიმიუნსტერი 3:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-8 ტური: ერფურტი — აუგსბურგი 1:0; შვაინფურტი — ელვერსბერგი 1:1; აალენი — ოფენბახი 2:2; მაინცი — ჰოფენჰაიმი 0:2; ზაარბრიუკენი — ემბორნი 3:0; ვეჰენი — ჰოფენჰაიმი 1:1; ზიგენი — კიკერსი 4:0; შტუტგარტი (მ) — ფიოხსტი 2:1; ბაიერნი (მ) — კაიზერსლაუტერნი (მ) 3:0

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი IV ტური

**მალაგა 1:3 რეალი**

0:1 რონალდო (18), 0:2 ბექჰემი (72), 1:2 ედგარი (77), 1:3 გუტი (83)
მალაგა: არნაუ, ხოსემი, ლიტოსი (დიეგო ალონსო 79), ვალკარსე, სანსი, ხერარდო (მანუ 43), რომერო, ლეკო (ედგარი 57), დუდა, მიგელ ანხელი, სალვა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (ნუნიესი 89), ბექჰემი, კამბიასო, ზიდანი (სოლარი 73), რაული (გუტი 43), რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: ლეკო, რობერტო კარლოსი, სალვა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
23 000 მაყურებელი

**დეპორტივო 3:0 ალბასეტე**

1:0 ნაიბეტი (63), 2:0 ლუკე (65), 3:0 პანდიანი (90)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, მაურო სილვა, სერხიო, ვიქტორი, ვალერონი (ფრანი 58), პანდიანი, ლუკე (მუნიტისი 70)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ალბასეტე: როა, კრისტიან დიასი, უნაი, პაბლო, ბუადესი, ვიაუდი, ივან დიასი, დავიდ სანჩესი, კ. მუნტიანუ, ამატო (პაბლო გარსია 75), პაჩეკო (მიკელი 61)
მწვრთნელი: ხუზარ ფერანდო
გაფრთხილება: რომერო, ვიაუდი
გაძევება: სკალონი (39, „დეპორტივოს" სათადარიგოთა სკამიდან)
მსაჯი: პერეს ლასა
25 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:3 ვალენსია**

0:1 ვისენტე (68), 0:2, 0:3 მისტა (76, 90)
ატლეტიკო: ბურგოსი, გარსია კალვო (მიბიბი 19), სანტი, სერხი, ლეკუე, სიმეონე, რივასი, ორტისი (იბაგასა 50), ფ. ტორესი, პაუნოვიჩი, როდრიგო (ნიკოლაიდისი 77)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო (დავიდ ნავარო 58), მარჩენა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, ხორხე ლოპესი (კანობიო 71), ოლივეირა (მისტა 46), აიმარი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მარჩენა, კურო ტორესი, რივასი, ხორხე ლოპესი, სანტი
მსაჯი: კარმონა მენდესი
50 000 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 ოსასუნა**

0:1 კრუჩაგა (54), 1:1 რონალდინიო (72)
ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი (კვარესმა 58), კოკუ, ხერარდი, ლუის ენრიკე (ოვერმარსი 67), რონალდინიო, კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ოსასუნა: სანხოსე, იზკიერდო, ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეჩო, პუნიალი, მოა (გორკა გარსია 76), პაბლო გარსია, ვალდო (ივან როსადო 66), მუნიოსი, ბაკაიოკო (ვებო 82)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: პუნიალი, ვან ბრონკჰორსტი, გორკა გარსია
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
83 674 მაყურებელი

**სოსიედადი 3:0 სარაგოსა**

1:0 ნიჰათი (56), 2:0, 3:0 დე პაულა (82, 87)
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო (ალკისა 78), არანბურუ, გაბილონდო (კარპინი 72), კოვაჩევიჩი (დე პაულა 72), ნიჰათი, ჩ. ლი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
სარაგოსა: ვალბუენა, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, გალეტი (ჩანი 66), სავიო, პონციო, ხესუსი (იბან ესპადასი 78), სორიანო (კორონა 66), ვილა
მწვრთნელი: პაკო ფლორესი

**ვილიარეალი 1:1 სელტა**

0:1 მოსტოვოი (75), 1:1 ბერიზო (77ს.კ.)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, კოლომინა, ბელეტი, ხავი ვენტა (გიორე 47), ბალესტეროსი, რიკელმე, როხერი (კალეხა 69), ვიქტორი (ხ. ანდერსონი 65), ხოსე მარი
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო


REUTERS მალაგადან

# უვალტეროდ აბა, როგორ იქნებოდა

## ბექჰემის საფირმო მალაგაშიც ნახეს

სელტა: კაბალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (ჟოვანელა 89), ვაგნერი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ხესული 80), ლუქსენი, მილოშევიჩი (კონტრერასი 71)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: მილოშევიჩი, გუსტავო ლოპესი, ხუანფრანი, როხერი, ხოსე მარი, რიკელმე
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
26 000 მაყურებელი

**მურსია 2:2 ბილბაო**

1:0 მიჩელი (14), 1:1 ეჩებერია (37), 1:2 ტიკო (58), 2:2 ლუის გარსია (65)
მურსია: ხუანმი, ლოემბორი, როტეტა, ხუანმა, კარერასი (პედრო ლარგო 68), მასიელი, აკოარი (იენსენი 45), რობერტო, მიჩელი, ესნაიდერი (დ. კარანკა 81), ლუის გარსია
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, ხავი გონსალესი, ირაოლა (იესტე 58), გურპეგი, დელ ორნო, ტიკო, ესკერო (ხონანი 77), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: რობერტო, გურპეგი, პედრო ლარგო, ხავი გონსალესი, მიჩელი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
14 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:0 რასინგი**

ბეტისი: კონტრერასი, ლუის ფერნანდესი, რივასი, ვარელა, ლემბო, არზუ (იტო 75), ფერნანდო (კაპი 58), დენილსონი (ისმაელი 58), მ. ასუნსაო, ხოაკინი, პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

რასინგი: რიკარდო, კორომინა, ნერუ, მორა, ხუანმა, ნაფტი, მორანი (პაბლო ლაგო 80), რეგუერო, მატეო (მატაბუენა 89), ხავი გერერო (ბოდიპო 83), ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: კორომინა, ხუანმა, ნერუ, პალერმო, მატეო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
35 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 სევილია**

0:1 დარიო სილვა (17), 1:1 ბრუგინკი (39)
მალიორკა: მიკი, ნინიო, ლუსენბოფი, კორტესი, პოლი, კამპანო, კოლსა, მარკოსი, ტონი გონსალესი (ნენე 69), ეტოო, ბრუგინკი (ლიგერა 80)
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, პაბლო ალფარო, გალიარდო (მარკოს ვალესი 69), მარტი, კასკერო, დარიო სილვა, რეიესი (ანტონიტო 46), ლუის გილი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: დარიო სილვა, კასკერო, კორტესი, ნინიო, ლუსენბოფი, პოლი, დანიელ ალვესი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
14 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 3:1 ესპანიოლი**

1:0 საპატა (3), 2:0 ხესუსი (10), 2:1 ბობსონი (34), 3:1 ჩირიჩი (82პ)
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი (ლოსადა 46), ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ოსკარი (დ. ჩირიჩი 71), საპატა, რიკეტი, კამინერო, ფ. სალესი, მაკუკულა (კარდეტი 58)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

ესპანიოლი: ლემენსი, ვომე, ლოპო, ტორიჩელი, მაქსი, ბასტია (მორალესი 71), ტაიფუნი, ალექს ფერნანდესი (კრუიფი 59), რაულ მოლინა, ბობსონი (ხარკე 46), ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: მარკოსი, ლოპო, სალესი, რიკეტი, ვომე
გაძევება: ლოპო (45), ტორეს გომესი (77)
მსაჯი: ტრისტანტე ოლივა
12 000 მაყურებელი

**პრიმერაში** ლიდერი იგივეა, რას მოსალოდნელიც იყო და რომ შეცვლილიყო, უცნაური ის იქნებოდა.

„დეპორტივო" კვლავაც რჩება ერთადერთ ქულადაუკარგავ გუნდად, ხოლო მისგან ნაგვემი „ალბასეტე" ასევე ერთადერთი გუნდია, რომელმაც ყველა თამაში წააგო.

ლაკორუნიელებს გაუჭირდათო, ვერ ვიტყვით, თუმცა გოლების გატანა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს. თამაშის განახლებიდან ოთხ წუთში ანგარიში ნურედინ ნაიბეტმა გახსნა, რომელმაც ვიქტორის ჩაწოდებულ კუთხურს თავი შეაგება.

ამ ეპიზოდში ალბასეტელმა მცველებმა პოზიციური შეცდომა დაუშვეს და ორ წუთში იგივე გაიმეორეს — ალბერტ ლუკემ პირველის ტყუპისცალი მეორე გოლი შეაგდო.

მატჩის ბედიც ამით გადაწყდა, თუმცა ისე როგორ იქნებოდა, ვალტერ პანდიანის არ ეხეირა, მეორე წამატებულ წუთზე ურუგვაელმა საფირმო თავურით ოთხ მატჩში მეოთხე გოლი მიითვალა და ბომბარდირთა შორის კვლავაც პირველობა შეინარჩუნა.

როგორც იქნა, პირველი გოლი გაიტანეს მალაგელებმა, თანაც „რეალთან", მაგრამ ამ გოლს მათთვის შვება არ მოუგვრია.

ცოტა არ იყოს, უცნაური თამაში გამოდგა. საქმე ის არის, რომ თითქმის მთელი მატჩი, ბურთს მეტწილად მასპინძლები ფლობდნენ, გოლები კი სტუმრებს გაჰქონდათ.

მადრიდელები რონალდომ დააწინაურა. ბექჰემმა კუთხური ჩააწოდა, ბურთი ზიდანმა მიიღო, მისგან კი ბრაზილიელს მიუვიდა და გაიტანა.

ამის მერე „რეალმა" თითქოს თამაშის ხალისი დაკარგა და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბურთი და მოედანი მასპინძლებს გადააბარა.

რონალდოს გოლიდან ზუსტად ერთი საათის თავზე ბექჰემმა რეალელთა უპირატესობა საჯარიმო დარტყმით გააორა და კარგადაც მოიქცა, რაკი ოთხ წუთში გატანა, როგორც იქნა, მალაგელებმაც შეძლეს. საბოლოოდ კი — 1:3. სტუმართა მესამე გოლი გუტიმ მიითვალა.

სანამ ზემოთ ნახსენები მატჩები დაიწყებოდა, უკვე ცნობილი იყო, რომ მესამე ადგილზე „ბარსელონა" „ვალენსიამ" შეცვალა.

„ბარსა" ცხრილში უფრო ქვემოთაც იქნებოდა, რომ არა ეკატალონიელთა ახალი იმედი რონალდინიო და ფრანკ რაიკარდის იღბლიანი შეცვლა. როცა „ოსასუნა" სესარ კრუჩაგას გოლით იგებდა და მასპინძლებს ყველა გზა მოეჭრათ, რაიკარდმა მოედანზე რიკარდო კვარესმა შეუშვა, ხოლო პორტუგალიელმა რონალდინიოს ის პასი მიაწოდა, რომელიც საგოლე აღმოჩნდა.

„ვალენსიამ" კი მადრიდში, „ვისენტე კალდერონზე" დაჯაბნა საოცრად აჭრილი „ატლეტიკო". ვალენსიელთაგან გოლები ვისენტემ და მისტამ გაიტანეს, მაგრამ ამ მატჩის გმირი პაბლო აიმარი გახლდათ — სამივე გოლი მან მოამწიფა.

„სოსიედადის" გამარჯვებას კი თურქი ნიჰათის დაბრუნებას უკავშირებენ. მან „სარაგოსასთან" შეხვედრაში ანგარიში გახსნა, რითაც მეტოქეს ხასიათი წაუხდინა. ამის მერე შეცვლაზე შესულ ოსკარ დე პაულას ორი გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ცუდი საქმე დაემართა „სელტას". ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდი საშინაო ჩემპიონატში პირველი გამარჯვების ძიებაში იყო და კინაღამ იპოვა კიდეც ვილიარეალის „მადრიგალზე". ვიგოელები ალექსანდრ მოსტოვოიმ დააწინაურა და 15 წუთიც უნდა გაეძლოთ. მაგრამ პირველივე საპასუხო იერიში ვილიარეალელებმა გოლით დაასრულეს, რაშიც ისევ ვიგოელები დაეხმარნენ — ივან კალეხას ჩაწოდებული ბურთი ედუარდო ბერიზომ საკუთარ კარში ჩაჭრა.

**ძოტე ძეძელია**

### სეგუნდადივიზიონი IV ტური

**ტერასა 1:2 რაიო ვალეკანო**
0:1 ფ. მარკესი (45), 0:2 ბოლო (57), 1:2 ხუან კარლოსი (72პ)

**ალხესირასი 0:0 ალმერია**

**სალამანკა 1:2 ეიბარი**
0:1, 0:2 ბრიტო (34, 37), 1:2 ზე ტო (86)

**ხეტაფე 3:2 კადისი**
1:0 მიჩელი (19), 1:1 ჟონათანი (25), 2:1 მიჩელი (64), 3:1 კრაიოვიანუ (77), 3:2 არმადო (88)

**კორდობა 1:1 ტენერიფე**
1:0 პაბლო სიერა (15), 1:1 ხესუსი (44)

**პოლი ეხიდო 1:2 ელჩე**
0:1 ნინო (13), 0:2 მოიზესი (64), 1:2 სიერა (65)

**ალავესი 1:0 მალაგა B**
1:0 კიკო (77)

**ხერესი 1:1 ლეგანესი**
0:1 ენრია (55), 1:1 მენა (72პ)

**ლევანტე 4:0 ნუმანსია**
1:0 ალექსისი (18), 2:0 აგანსო (58), 3:0 ტიტო (86), 4:0 ეტიენი (90)

**უელვა 1:1 სპორტინგი**
1:0 სასტრე (40ს.კ.), 1:1 პაბლო ალვარესი (87)

**ლას პალმასი 2:3 სიუდად მურსია**
0:1 ფალკონი (4), 0:2 კამუნიასი (22), 0:3 ტურუ ფლორესი (36), 1:3 ბოლიაჩინი (38), 2:3 ჩანგუ (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კადისი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ლევანტე | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| ხეტაფე | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ალმერია | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| ტენერიფე | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| რაიო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ეიბარი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სიუდად მურსია | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 6 |
| ალავესი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| ნუმანსია | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| ელჩე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| უელვა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| სალამანკა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ხერესი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ლეგანესი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ლას პალმასი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| კორდობა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| ეხიდო | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ალხესირასი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| მალაგა B | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| ტერასა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დეპორტივო | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 |
| 2 რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:5 | 8 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 |
| 3 ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 |
| 4 სოსიედადი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 5 ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 |
| 6 ოსასუნა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 7 ვალიადოლიდი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:9 | -2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:8 | -5 | 1 |
| 8 ვილიარეალი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 1 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 9 ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 10 სევილია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 11 რასინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 12 ბილბაო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 13 მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 14 სელტა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 15 მურსია | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | -3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 16 სარაგოსა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |
| 17 ატლეტიკო | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 18 ესპანიოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 19 მალაგა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 20 ალბასეტე | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პანდიანი (დეპორტივო) | 4 |
| რონალდო (რეალი) | 3 |
| რაული (რეალი) | 3 |
| დე პაულა (სოსიედადი) | 3 |
| ხ. ეჩებერია (ბილბაო) | 3 |

### V ტური

28 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ალბასეტე — | მალიორკა |
| ატლეტიკო — | ბარსელონა |
| ბილბაო — | სოსიედადი |
| სელტა — | ვალიადოლიდი |
| ესპანიოლი — | მალაგა |
| რასინგი — | ვილიარეალი |
| სევილია — | მურსია |
| ვალენსია — | რეალი |
| სარაგოსა — | ბეტისი |
| ოსასუნა — | დეპორტივო |

# ოთხშაბათის საკვირაო კვალი



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — რომა. ტურინელები ფრანჩესკო ტოტის ყურადღებას არ აკლებდნენ

## იტალია

### სერია A. III ტური

**პერუჯა 1:1 მილანი**

0:1 გატუზო (19), 1:1 ვრიზასი (30)
პერუჯა: კალაჩი, დიამუტენე, დი ლორენტო, ალიუ, ზე მარია, ტედესკო, ობოდო (ლუმბუტისი 77), ფუზანი (გატი 59), გროსო, ბოტროიდი (მარჯოტა 86), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ლაურსენი, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო (პირლო 53), ამბროზინი, რუი კოშტა, კაკა, შევჩენკო (კაფუ 72), ფ. ინძაგი (ტომასონი 67)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ალიუ, ამბროზინი, გატი, რუი კოშტა, ამბროზინი
გაძევება: ამბროზინი (70)
მსაჯი: პაპარესტა
20 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:2 რომა**

1:0 დი ვაიო (21), 1:1 კივუ (25), 2:1 დი ვაიო (35), 2:2 ძებინა (86)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო (კამორანეზი 61), ძამბროტა, აპია, ტუდორი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (დი ვაიო 14), ტრეზეგე (ბირინდელი 79)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, კივუ, მანჩინი, ემერსონი, დაკური (დე როსი 77), ლიმა, ტოტი, ა. კასანო (დელვეკიო 77), მონტელა (კარეუ 46)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ტოტი, მონტელა, კივუ, ნედვედი
მსაჯი: პელეგრინო
43 042 მაყურებელი

**ინტერი 0:0 სამპდორია**

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, მატერაცი, კორდობა, ვან დერ მეიდე (ლუსიანო 75), ლამუში (პელვეგი 63), ემრე, კილი გონსალესი, ხ. კრუზი (კალონი 85), მარტინსი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი, ფალკონე (დომიცი 80), კაროციერი, ბეტარინი, დიანა, ვოლპი, პალომბო, დონი (იანაგისავა 89), ბაცანი, მარაცინა (ფლაკი 66)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კაროციერი, დიანა, ბეტარინი, პალომბო, მარტინსი
მსაჯი: კოლინა
60 000 მაყურებელი

**ლაციო 2:3 პარმა**

0:1 ბრეშიანო (1), 1:1 სტამი (33), 1:2 ადრიანო (62), 2:2 ინძაგი (78), 2:3 ბრეშიანო (88)
ლაციო: სერენი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი (ს. ინძაგი 73), ფიორე, ალბერტინი (ს. კონსეისაუ 80), ჯანიკედა (ლივერანი 42), დ. სტანკოვიჩი, კორადი, კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პარმა: ფრეი, ბონერა, მ. ფერარი, მ. კასტელინი, სერიჩი, ბარონე, ბლაზი, ნაკატა (ჯილარდინო 85), მორფეო (ე. ფილიპინი 77), ბრეშიანო, ადრიანო
მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი
გაფრთხილება: ბონერა, ბლაზი, ბარონე, სერიჩი
მსაჯი: ბოლონინო
50 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:0 უდინეზე**

1:0 გულიელმინპიეტრო (63), 2:0 დალა ბონა (90პ)
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, ჟუარესი, მორეტი, ნერვო (პეკია 82), ლ. კოლუჩი, დალა ბონა, გულიელმინპიეტრო (ლოკატელი 80), როსინი, სინიორი (ტროიზე 74)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ჯემიტი (კასტრომანი 64), პინცი, დ. პიზარო, პიერი, იანკულოვსკი (იანკერი 74), იორგენსენი, იაკინტა (ფავა 58)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ძაკარდო, დალა ბონა, პინცი, ნერვო
მსაჯი: ტომბოლინი
20 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:2 კიევო**

0:1 ლანა (53), 1:1 ჩევანტონი (59), 1:2 კოსატო (71)
ლეჩე: ამელია, სივილია (ბუდელი 72), კ. სილვესტრი, სტოვინი, აბრუცეზე (კუჩივინი 46), ჯაკომაცი, ლედესმა (კონანი 46), პიანჯერელი, კასეტი, ჩევანტონი, ტონეტო
მწვრთნელი: დელიო როსი
კიევო: მარკეჯანი, მორო, სალა, დანა, ლანა, სანტანა, პეროტა, ბარონიო (მორონე 62), დე ფრანჩესკი (სემიოლი 62), ფ. კოსატო (ბარძალი 82), ამაური
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: სალა, დანა, კასეტი, დანა
გაძევება: დანა (81)
მსაჯი: რაკალბუტო
8 859 მაყურებელი

**სიენა 4:0 ემპოლი**

1:0, 2:0, 3:0 კიეზა (25პ, 45პ, 61), 4:0 ფლო (67)
სიენა: ჯ. როსი, კუფრე (ჩირილო 66), დელი კარი, მინანი, ფოლიო, ტადეი (ლაზეტიჩი 56), დავერსა, არდიტო, გიგუ, კიეზა, ვენტოლა (ფლო 62)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ემპოლი: ბუჩი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, კუპი (აგოსტინი 33), ბუში, ფიჩინი, ჯამპიერეტი, როკი, ტავანო (მ. კასანო 45), დი ნატალე (ლანძარო 64)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: კუფრე, მინანი, დელი კარი
გაძევება: ბუჩი (45)
მსაჯი: დე სანტისი
12 000 მაყურებელი

**ბრეშა 4:4 რეჯინა**

1:0 დი ბიაჯო (9), 1:1 ნაკამურა (32პ), 1:1 ბონაცოლი (39), 2:2 კარაჩოლო (51), 3:2 ფილიპინი (52), 3:3 სოტილი (61), 3:4 ნაკამურა (72), 4:4 პეტრუცი (86)
*ბაჯომ ვერ გაიტანა პენალტი (83, აცილა)*
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, ა. ფილიპინი, დი ბიაჯო (მანიერო 77), მატუზალემი, მაური (ბაკინი 46), ჯ. კოლუჩი (შოპი 72), რ. ბაჯო, კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
რეჯინა: ლეისალი, ჟირანეკი, სოტილი, ი. ფრანჩესკინი, ფალზინი, გ. მარტინესი (ტორიზი 90), ბაიოკო, მოცარტი, ნაკამურა (პარადესი 78), დი მიკელე, ბონაცოლი (სტელონე 66)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ბონაცოლი, შოპი, პეტრუცი
მსაჯი: ბერტინი
14 000 მაყურებელი

**ანკონა 1:1 მოდენა**

0:1 კამარა (53), 1:1 ბილიკა (63)
ანკონა: სკარპი, ბილიკა, ვიალი, მილანეზე, დაინო, ბერეტა, კარუზი (სომეზე 46), მაინი, რუსო, უბნერი (განცი 56), პოჯი (ბრუნო 71)
მწვრთნელი: ლეონარდო მენიკინი
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, უნგარი, კამპედელი (პონცო 86), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, დ. კამარა (ვინიაროლი 76), ალეგრეტი (სკოპონი 69), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: რუსო, მილანეზე
მსაჯი: როდომონტი
11 472 მაყურებელი

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ დიდმა იტალიურმა ხუთეულმა მესამე ტურშივე გაგვიცრუა იმედი: „ინტერმა" შინ ვერ მოუგო „სამპდორიას", „ლაციომ" შინ წააგო „პარმასთან", „მილანმა" სტუმრად ვერ მოუგო „პერუჯას", ხოლო „იუვენტუსმა" და „რომამ" ტურინში ითამაშეს ფრედ.

„ჯენარო გატუზოს გოლის შემდეგ ვიფიქრეთ, რომ იოლად გავიმარჯვებდით, მაგრამ ის სიერცეები, რომლებიც მეტოქემ დაგვითმო, ვერ გამოვიყენეთ. ამბროზინის გაძევების გამო კი ტაქტიკის შეცვლა მომიხდა. კმაყოფილი იმით ვარ, რომ რუი კოშტამ და კაკამ წყვილად მოამწონეს თავი" — განაცხადა პერუჯაში ნათამაშევი ფრის შემდეგ „მილანის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ. მოგეხსენებათ, ტრავმირებული ქართველი მცველი, კახა კალაძე მის განკარგულებაში ჯერ არ არის.

თუმცა, „მილანის" წარუმატებლობაში გასაკვირი წესით არაფერი უნდა იყოს. თამაში ხომ, როგორც გითხარით, პერუჯაში, „სტადიო რენატო კურიზე" გაიმართა, სადაც „შავ-წითლებმა" ბოლოს 2000 წელს მოახერხეს გამარჯვება. და კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ „რენატო კური" „მილანისთვის" ნავსიანია: მე-60 წუთზე ფილიპო ინძაგი ჟელიკო კალაჩს შეეჯახა და სერიოზულად დაშავდა. თუ ვინ არის ინძაგი და რა მნიშვნელობა აქვს „მილანისთვის", ვფიქრობ შეხსენება ზედმეტია.

ტურის მთავარი შეხვედრა კი, ცხადია, „დელე ალპიზე" გაიმართა, ოღონდ დაიწყო იმით, რომ მასპინძელთა ვარსკვლავმა, ალესანდრო დელ პიერომ მე-11 წუთზე სხვათა დაუხმარებლად იტკინა ფეხი და შესაცვლელი შეიქნა. მის ნაცვლად მოედანზე მარკო დი ვაიო შევიდა და პირველ ტაიმში ორი გოლი გაიტანა. პირველსავე ტაიმში გავიდა კიდევ ერთი გოლი, თან ძალიან ლამაზი — „რომას" ახალმა შენაძენმა, რუმინელმა კრისტიან კივუმ დიდებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, გათანაბრებით კი სტუმრებმა ანგარიში მეორე ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს, ჯონათან ძებინამ შორიდან ეფექტურად დაუმიზნა ჯანლუიჯი ბუფონის კარს.

„რომას" მწვრთნელი, ფაბიო კაპელო: „მეორე ტაიმში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. სამწუხაროა, რომ სულ ბოლოს ფრანჩესკო ტოტიმ ვერ შეაგდო გამარჯვების გოლი, არადა, მას ასეთი მდგომარეობიდან ჩვეულებრივ გააქვს ხოლმე, თუმცა ასე დასრულდა შეხვედრა თუ ისე, ეს ის „რომაა", რომელიც მე მინდა, რომ იყოს. ჩვენ ვთამაშობდით ბრძოლითა და ჰარმონიით აღსავსე ფეხბურთს".

„იუვეს" თავკაცი მარჩელო ლიპი: „ჩვენ სამოც წუთზე მეტხანს ვჯობდით „რომას". კარგად ვთამაშობდით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მეორეს მიწურულს კი დაღლა დაგვეტყო. ამ შეხვედრის ანალიზს რომ შევუდგეთ, ლოგიკა გასულ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „გალათასარაისთან" ნათამაშევ მატჩთან მიგვიყვანს. მერედა, დაიწყო თუ არა თამაში, დელ პიერო დაშავდა, ხოლო უშუალოდ შეხვედრის წინ ალესიო ტაკინარდი გამოგვაკლდა, თუმცა გადატვირთული კალენდრის პირობებში ასეთები ხდება".

უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრის დასრულებამდე 11 წუთით ადრე ლიპიმ დავიდ ტრეზეგე შეცვალა, რამაც ფრანგი გააბრაზა.

„თავდამსხმელის მოკლება და მაურო კამორანეზის შეყვანა მჭირდებოდა — განმარტა ლიპიმ — რაც უფრო იღლებოდა ჩემი გუნდი, მით უფრო წინ მოიწევდა „რომა" და მეც კონტრშეტევაზე გადასვლა მიჯობდა".

უხვგოლიანი გამოდგა „ლაციოსა" და „პარმას" თამაში, რომელშიც რომაელები მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე" დამარცხდნენ.

„ლაციოს" თავკაცი რობერტო მანჩინი: „მეტოქეს ჩინებული გუნდი ჰყავს, თუმცა პირველ გოლზე ჩაგვეძინა, ხოლო სტუმრისთვის უპირატესობის 30-ე წამზე ბოძება სასაცილოა. ამის შემდეგ, მატჩის მსვლელობისას, ხელსაყრელი მომენტები გავუშვით, რაც, ერთად მოკრებილი ცუდად დაგვიბრუნდა კიდეც. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის გამოც არ ვიყავით დაღლილნი, „პარმასთან" ფრედ თამაშიც შეგვეძლო და გამარჯვებაც".

ჩეზარე პრანდელი, „პარმას" მწვრთნელი: „თუმც უპირატესობას ძირითადად „ლაციო" ფლობდა, მატჩი დიდებული გამოვიდა. მიხარია, რადგან სხვა თუ არაფერი, ჩემმა ფეხბურთელებმა ის მაინც გაიგეს, რომ რომში მოგება შეუძლიათ. ადრიანო კი ნამდვილი სტიქიაა, თუ თავის წინ პატარა ფართობი შეამჩნია, მისი შეჩერება შეუძლებელია".

„ინტერის" და „სამპდორიას" უგოლო თამაში კი მილანელთა მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის აზრით ასეთი იყო: „პირველი ოცი წუთი ძალიან დამაიმედებელი გახლდათ, შემდეგ კი სურათი აშკარად შეიცვალა, ვინაიდან ჩვენ ჩემპიონთა თასზე ლონდონში მოგზაურობას ვყავდით დაღლილი. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ პრობლემა უფრო ფსიქოლოგიური იყო, ვიდრე ფიზიკური. ლონდონში, „არსენალთან" დიდებული გამარჯვების შემდეგ ყურადღების ჩვეულებრივ მოკრება გაძნელდა".

**ბაჩუნა ძიდია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რომა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 2 იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 3 პარმა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 |
| 4 მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 5 ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 6 ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 7 სიენა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 8 ბოლონია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 9 კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 10 რეჯინა | 3 | 0 | 3 | 0 | 7:7 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 5:5 | 0 | 2 |
| 11 ლეჩე | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 12 უდინეზე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 13 სამპდორია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 14 პერუჯა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 ბრეშა | 3 | 0 | 2 | 1 | 5:10 | -5 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 5:5 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | -5 | 0 |
| 16 მოდენა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 17 ანკონა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 18 ემპოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | -8 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | -8 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ადრიანო (პარმა) | 4 |
| შევჩენკო (მილანი) | 3 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 3 |
| დი ვაიო (იუვენტუსი) | 3 |
| კიეზა (სიენა) | 3 |
| ბრეშიანო (პარმა) | 3 |

**IV ტური**

28 სექტემბერი
კიევო — პერუჯა
ემპოლი — ლაციო
მილანი — ლეჩე
მოდენა — ბოლონია
პარმა — სიენა
რეჯინა — იუვენტუსი
რომა — ანკონა
სამპდორია — ბრეშა
უდინეზე — ინტერი

### სერია B. V ტური

**ალბინოლეფე 1:0 ფიორენტინა**
1:0 ბიავა (83)

**ასკოლი 2:1 პესკარა**
1:0, 2:0 ინაჩიო პია (25, 60), 2:1 პალადინი (90)

**კალიარი 1:1 ტრევიზო**
0:1 ვარიკიო (7), 1:1 ესპოზიტო (21)

**კომო 0:2 ტორინო**
0:1 ფერანტე (5), 0:2 ფაბრინი (89)

**ჯენოა 0:3 ატალანტა**
0:1, 0:2 პინარდი (13, 28), 0:3 ბუდანი (37)

**მესინა 1:1 ვიჩენცა**
0:1 ჟედა (20), 1:1 პრინჩივალი (84)

**პალერმო 2:1 ტერნანა**
1:0 ბრიენცა (14), 2:0 მუტარელი (83), 2:1 ხარია (81)

**პიაჩენცა 1:0 ვენეცია**
1:0 ტარანა (32)

**სალერნიტანა 1:2 კატანია**
0:1 მონაკო (2), 0:2 მასკარა (31), 1:2 ტული (73)

**ტრიესტინა 4:3 ლივორნო**
0:1, 0:2 ლუკარელი (39, 44), 1:2 გოდეაში (60), 2:2 მოსკარდელი (66), 2:3 პროტი (74), 3:3 მოსკარდელი (75), 4:3 აკილანი (86)

**ვერონა 4:3 ბარი**
1:0 სალვეტი (31), 1:1 სპინეზი (34პ), 2:1 მიპალჩია (36), 3:1 მურტაი (71), 3:2, 3:3 სპინეზი (74, 80), 4:3 მურტაი (90)

**აველინო — ნაპოლი**
*არეულობის გამო ჩაიშალა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| ატალანტა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ტრიესტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| ასკოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| პალერმო | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ტერნანა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| ტორინო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ვერონა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| პიაჩენცა | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბარი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ლივორნო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ვიჩენცა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ტრევიზო | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ალბინოლეფე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| პესკარა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| კომო | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | 3 |
| აველინო | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნაპოლი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| მესინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| სალერნიტანა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ვენეცია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ჯენოა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### სერია C1/A

მე-4 ტური: არეცო — სპეცია 3:0; ლუკეზე — სპალ 2:0; ლუმეცანე — პიზა 1:0; პადოვა — პრო პატრია 2:1; პრატო — პავია 1:1; რეჯანა — ჩიტადელა 1:1; ტორესი — რიმინი 0:2; ვარეზე — ნოვარა 3:2. ჩეზენა — პისტოიეზე *ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

### სერია C1/B

მე-4 ტური: აკირეალე — აკილა 0:0; ბენევენტო — ვიტერბეზე 0:1; კროტი — ჯულიანოვა 0:1; კროტონე — ტარანტო 1:1; ფოჯა — კატანძარო 1:3; ლანჩანო — ფერმანა 1:1; მარტინა — ხორა 2:0; ტერამო — პატერნო 1:2; პეზარო — სამბენედეტეზე 0:4

# 15 წლის შემდეგ
## შოთა სქოთურად გალიდერდა



რეინჯერსელმა პიტერ ლოვენკრანდსმა დუბლი ასე აღნიშნა

### შოტლანდია
**პრემიერლიგა. VI ტური**

**პარტსი 0:4 რეინჯერსი**
0:1 არველაძე (45), 0:2 ლოვენკრანდსი (51), 0:3 არველაძე (73), 0:4 ლოვენკრანდსი (89)
რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი, ბერგი, ბოლი, ნუნუ კაპუშუ, არტეტა, ხიზანიშვილი, არველაძე, მოლსი (ოსტენსტადი 75), ლოვენკრანდსი, ემერსონი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
14 732 მაყურებელი

**დანდი 2:0 აბერდინი**
1:0 კოვენი (28), 2:0 ნოვო (82)
დანდი: სპერონი, მაკეი, ვილკი, მაირა, კოვენი, რაე, ნემსაძე, ბრედი (სმიტი 80), ნოვო, კაბალიერო, სარა (ლოველი 83)
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
7 887 მაყურებელი

**სელტიკი 3:0 მოზერუელი**
1:0 ლარსონი (47), 2:0 სატონი (64), 3:0 მელოუნი (70)

**დანფერმლაინი 0:0 ჰიბერნიანი**

**ლივინგსტონი 1:2 კილმარნოკი**
0:1 მაკი (15), 1:1 მაკელი (18), 1:2 ბოიდი (22)

**პარტიკი 0:2 დანდი იუნ.**
0:1, 0:2 მილერი (41, 63)

შოთა არველაძე შოტლანდიის მეგოლეთა დავაში დაწინაურდა და თვით ჰენრიკ ლარსონი ჩამოიტოვა. თუმც სქოთთა გოლთაღრიცხვიანობაში ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში, ევროტურნირებზე და შიდა თასებზე გატანილ ბურთებს აჯამებენ. თუ შოთას მხოლოდ პრემიერლიგურ გოლებს დავუთვლით, მას ასეთი ოთხი შეუგდია.

ბოლო ორი არველაძემ „ჰარტსს" გაუტანა. პირველი ოციოდე მეტრიდან შეაგდო — ბურთი კარის ცხრიანს შეაწყვიტა, მეორეჯერ კი დამატებაზე ივარგა — ემერსონის დარტყმული ჯერ მეკარეს მოხვდა, მერე ძელს და ამის შემდეგ ბურთს ქართველმა რეინჯერსელმა მიუსწრო.

რეინჯერსულ ამბებზე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ალექს მაკლიშსს „ტოტენჰემში" ეპატიჟებიან გლენ ჰოდლის შემცვლელად, ხოლო „შტუტგარტთან" წარბგადახსნილი ფერნანდო რიკსენი საავადმყოფოდან გამოუწერიათ.

ღირსსახსოვარი დღე გაუთენდა გიორგი ნემსაძის „დანდის" — თხუთმეტწლიანი პაუზის შემდეგ შინ პირველად მოუგო „აბერდინს". დანდელები მხცოვანი მცველის ტომ ქოუენის შორეული დარტყმით დაწინაურდნენ — ამ ფეხბურთელს თავის დროს, „რეინჯერსშიც" უბურთავია, ხოლო დანდური დებიუტი გოლით აღნიშნა.

„აბერდინს" გათანაბრების ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ ავსტრალიელმა დევიდ ზრდილიჩმა 11-მეტრიანი ძელს გაარტყა.

მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ჯიმ დაფიმ გარისკა და მინდორზე მიკროტრავმიანი ბარი სმიტი შეუშვა. შეცვლამ გაამართლა — ნაჩო ნოვომ სწორედ სმიტის კარგი პასით გაიტანა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 6 | 6 | 0 | 0 | 23:5 | 18 |
| სელტიკი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:2 | 16 |
| ჰარტსი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:5 | 12 |
| დანდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| დანფერმლაინი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| ჰიბერნიანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| მოზერუელი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| კილმარნოკი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:11 | 7 |
| ლივინგსტონი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| აბერდინი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | 4 |
| დანდი იუნაიტედი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| პარტიკ თისლი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:11 | 2 |

**I დივიზიონი**
მე-6 ტური: ბრეჩინი — ინვერნესი 0:2; კლაიდი — ფოლკირკი 1:2; როსი — ეარი 2:2; სენტ ჯონსტონი — რეითი 0:1; სენტ მირენი — ქუინი 1:2

**II დივიზიონი**
მე-6 ტური: ერდრი — არბროთი 2:1; ისტ ფაიფი — ალოა 0:1; ფორფარი — დამბარტონი 3:1; მორტონი — ჰამილტონი 0:1; სტენჰაუზმური — ბერვიკი 0:3

**III დივიზიონი**
მე-6 ტური: კოუდენბითი — გრეტნა 0:1; პიტერჰედი — ისტ სტერლინგი 2:0; ქუინზ პარკი — მონტროუზი 1:1; სტირლინგი — ალბიონი 2:1; სტრანრარი — ელგინი 4:3

### რუსეთი
**პრემიერლიგა. XXV ტური**

**ცსკა 3:2 ჩერნომორეცი**
1:0 სემაკი (2), 1:1 სოსნოვსკი (14), 2:1 გუსევი (72), 2:2 ტერიოხინი (89პ), 3:2 ოლიჩი (90პ)

**კრილია სოვეტოვი 3:1 სატურნი**
1:0 კარიაკა (52), 1:1 მედვედევი (72), 2:1 სოუზა (77), 3:1 პოშკუსი (88)

**ტორპედო-მეტალურგი 1:3 ლოკომოტივი**
0:1 ლოსკოვი (26), 1:1 ბრაკამონტე (33), 1:2 ბუზნიკინი (39), 1:3 ლოსკოვი (45)

**ტორპედო 1:1 დინამო**
1:0 ლეონჩენკო (5პ), 1:1 იაშინი (14)

**ურალანი 1:1 რუბინი**
0:1 რონი (38), 1:1 აჯინჯალი (90)

**სპარტაკ-ალანია 1:0 როსტოვი**
1:0 ტუდორი (29)

**შინიკი 2:2 როტორი**
0:1 ალდონინი (14), 1:1 ხომუხა (19პ), 1:2 ესიპოვი (32პ), 2:2 ალდონინი (54წ.კ.)

**ზენიტი 2:1 სპარტაკი**
1:0 ბისტროვი (30), 2:0 მარეკი (60), 2:1 პიანოვიჩი (67)

ხუთი ტურიც და რუსეთის ჩემპიონატი დასრულდება. ცსკა რომ კვლავ პირველ ადგილზეა, მდევრებს უნდ უმადლოდეს, რომლებმაც გზადაგზა ქულები ფანტეს. არმიელებს მსაჯების დახმარებაც არ აკლიათ. 1999 წლის შემდეგ მეორედ მოხდა, რომ ერთ ტურში 8 (!) პენალტი დანიშნა, აქედან ორი სწორედ ცსკა-ს წაადგა.

ვალერი გაზაევის გუნდმა ჩაძირულ „ჩერნომორეცს" უმასპინძლა. სემაკმა ანგარიში მალევე გახსნა. მასპინძელთა ქომაგები მეტოქის გაცამტვერების მოლოდინში ხელებს იფშვნეტდნენ, როცა ნოვოროსიისკელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა.

როლან გუსევმა მეკარეს ვერ აჯობა, სტუმრებმა კი უმალ გაათანაბრეს. აქედან დაახლობით ერთი საათის მანძილზე დამხვდურები მოწინააღმდეგის კარს ამაოდ ასკდებოდნენ. გუსევმა თავის რეაბილიტაცია გვიან, მაგრამ მაინც მოახერხა. შორიდან დასხლიტა, ბურთი გზად მცველს შეეხო და კარში გეზნაცვალი შევარდა.

მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე არმიელთაგან მათსავე საჯარიმოში წესი ისე აშკარად დაირღვა, რომ მსაჯმა პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა — ტერიოხინმა აკინფეევს გაუტანა, რაც ცსკა-სთვის ორი ქულის დაკარგვას ნიშნავდა.

წამატებულ დროში არბიტრმა მასპინძელთა სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი მოიგონა, რომელიც ოლიჩმა გამოიყენა.

„ჩერნომორეცის" მთავარი მწვრთნელი სერგეი პავლოვი: „მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ჟურნალისტებთან მსაჯებზე საუბარს გვიკრძალავენ. ეს ხომ ადამიანის უფლებების დარღვევაა. ვიცი, რომ დამაჯარიმებენ, მაგრამ

# მუმია-ვ
## ჩახედე ფეხბურთელს თვალებში

მას შემდეგ, რაც ტიუმინმა (მატჩის არბიტრი) დაგვმართა, როგორ გავჩუმდე? მან პენალტი კოსმოსიდან ჩამოიტანა: ბიჭები გასახდელში გაოგნებულები და განწირულები იყვნენ; ტიუმინი აქ უნდა მოვიყვანო და ჩემი ფეხბურთელების თვალებში ჩავახედო".

მსაჯებისადმი უკმაყოფილება ალბათ ჩემპიონატის დასალიერზე იმატებს, რადგან კონკურენტ გუნდების მწვრთნელთა აზრით, არმიელთა მოსაოქროვებლად ყველაფერს გააკეთებენ.

მოსკოვის „დინამო" ცსკა-ს ერთ-ერთი მდევართაგანია. დინამოელებს „ტორპედოსთან" 1:1-ზე გოლი არ ჩაუთვალეს, რამაც დაჩაგრულთა გენერალური დირექტორი გაახელა: „მთელმა ქვეყანამ ნახა, „ტორპედოსთან" როგორ დაგვცინეს, ორი ქულა წაგვართვეს. რაც უფრო ახლოსაა ჩემპიონატის დასასრული, მით უფრო გვერდზე მიიწევს ფეხბურთი, მსაჯები კი წინა პლანზე გამოდიან. მგონი, გასაგებია, ეს ვისთვის კეთდება".

ელისტაში ასევე ცსკა-ს კონკურენტი „რუბინი" დაიჩაგრა. ყაზანელები პირველი ტაიმის მიწურულს ბრაზილიელი რონის გოლით დაწინაურდნენ. უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს და სამი ქულაც ჯიბეში ეგულებოდათ.

მსაჯმა შეხვედრას ხუთი წუთი დაამატა და ელისტელებმა სწორედ მაშინ გაათანაბრეს.

„რუბინის" გენერალური დირექტორი ფარიტ ხაბრიევი: „მსაჯმა თამაში, ფაქტობრივად, ჩვენს კარში გოლის გატანამდე გააგრძელა".

ამასობაში მეორე ადგილზე სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" გამოიჭიმა. ნევისპირელებმა მათთვის საძულველი „სპარტაკი" იმსხვერპლეს.

მასპინძელთა ჩეხ მწვრთნელს თანაშემწემ სიხარულისგან ზურგზე ხელი ისე შემოარტყა, რომ ვლასტიმილ პეტრჟელას ნამატჩევს ექიმთა დახმარება დასჭირდა.

ვლადიკავკაზში არქეოლოგიური გათხრები დაიწყეს. გუნდში უზბეკი მირჯალოლ კასიმოვი დააბრუნეს. სწორედ კასიმოვის ჯარიმას მოჰყვა ერთადერთი გოლი. უზბეკის ჩაწოდებული ბურთი რუმინელმა ტუდორმა როსტოველთა კარში გამოამწყვდია.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 15 | 6 | 4 | 49:28 | 51 |
| ზენიტი | 25 | 13 | 6 | 6 | 39:29 | 45 |
| დინამო | 25 | 12 | 8 | 5 | 40:24 | 44 |
| რუბინი | 25 | 12 | 8 | 5 | 35:22 | 44 |
| ლოკომოტივი | 25 | 12 | 6 | 7 | 40:31 | 42 |
| სატურნი | 25 | 11 | 9 | 5 | 34:25 | 42 |
| შინიკი | 25 | 9 | 11 | 5 | 34:24 | 38 |
| კრილია | 25 | 9 | 9 | 7 | 33:26 | 36 |
| ტორპედო | 25 | 8 | 9 | 8 | 33:31 | 33 |
| როსტოვი | 25 | 8 | 8 | 9 | 27:33 | 32 |
| სპარტაკი | 25 | 9 | 4 | 12 | 35:42 | 31 |
| ალანია | 25 | 7 | 3 | 15 | 18:39 | 24 |
| როტორი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:39 | 23 |
| ჩერნომორეცი | 25 | 5 | 6 | 14 | 25:37 | 21 |
| ურალანი | 25 | 4 | 9 | 12 | 17:37 | 21 |
| ტ მეტალურგი | 25 | 4 | 5 | 16 | 17:37 | 17 |



დინამოელი ოლეგ ტერიოხინი (№18) მსაჯთან დავაში ამაოდ დაშვრა

### პოლონეთი
**I ლიგა. VI ტური**

ვიძევი — ლეხი 1:1; კატოვიცე — პოლონია 1:1; გროცლინი — პოლკოვიცე 4:1; სვიტი — ამიცა 0:1; ოდრა — ლეჩნა 2:0; პლოცკი — გურნიკი 2:1; ლეგია — ვისლა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 6 | 5 | 0 | 1 | 8:2 | 15 |
| გროცლინი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:5 | 13 |
| ლეჩნა | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ვისლა | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| ლეგია | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 12 |
| ოდრა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| კატოვიცე | 6 | 2 | 2 | 2 | 6:10 | 8 |
| გურნიკი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| პლოცკი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| ვიძევი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ლეხი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:10 | 4 |
| სვიტი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:9 | 4 |
| პოლკოვიცე | 6 | 1 | 1 | 4 | 2:10 | 4 |
| პოლონია | 6 | 0 | 3 | 3 | 4:8 | 3 |

### ფინეთი
**ვეიკაუსლიგა. XXI ტური**

ალიანსი — იარო 0:1; ჰაამენლინა — ჰიკ 0:3; კუოპიო — ჯაზი 0:2; ლაჰტი — კტპ 4:1. იოკერიტი — ტურკუ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 20 | 14 | 3 | 3 | 45:10 | 45 |
| ჰიკ | 21 | 13 | 5 | 3 | 38:14 | 44 |
| ალიანსი | 19 | 10 | 5 | 4 | 37:23 | 35 |
| ტამპერე | 20 | 10 | 4 | 6 | 27:14 | 34 |
| მიუპა | 19 | 10 | 3 | 6 | 34:20 | 33 |
| იარო | 21 | 7 | 7 | 7 | 28:31 | 28 |
| ტურკუ | 20 | 7 | 6 | 7 | 25:26 | 27 |
| ლაჰტი | 20 | 6 | 8 | 6 | 26:24 | 26 |
| ინტერი | 20 | 6 | 5 | 9 | 31:32 | 23 |
| იოკერიტი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:30 | 20 |
| ჯაზი | 20 | 5 | 5 | 10 | 23:44 | 20 |
| ჰამენლინა | 20 | 5 | 5 | 10 | 16:38 | 20 |
| კტპ | 20 | 5 | 1 | 14 | 24:45 | 16 |
| კუოპიო | 20 | 4 | 4 | 12 | 21:45 | 16 |

### ნორვეგია
**ტიპელიგა. XXI ტური**

ბოდიო გლიმტი — ბრანი 3:0; ლინი — ბრინი 2:0; მოლდე — ვოლერენგა 1:0; ოდ გრენლანდი — ალესუნდი 3:0; სტაბეკი — ტრომსიო 2:2; ლილესტრიომი — როზენბორგი 0:6. სოგნდალი — ვიკინგი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 21 | 16 | 4 | 1 | 56:15 | 52 |
| ბოდიო გლიმტი | 21 | 11 | 5 | 5 | 32:20 | 38 |
| ოდ გრენლანდი | 21 | 10 | 3 | 8 | 39:32 | 33 |
| სტაბეკი | 21 | 8 | 8 | 5 | 33:28 | 32 |
| ვიკინგი | 20 | 7 | 9 | 4 | 38:26 | 30 |
| სოგნდალი | 20 | 8 | 6 | 6 | 33:32 | 30 |
| ლილესტრიომი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:31 | 28 |
| მოლდე | 21 | 8 | 3 | 10 | 25:31 | 27 |
| ბრანი | 21 | 6 | 7 | 8 | 35:38 | 25 |
| ტრომსიო | 21 | 6 | 5 | 10 | 26:43 | 23 |
| ბრინი | 21 | 7 | 1 | 13 | 30:41 | 22 |
| ვოლერენგა | 21 | 4 | 9 | 8 | 20:24 | 21 |
| ლინი | 21 | 5 | 5 | 11 | 25:39 | 20 |
| ალესუნდი | 21 | 4 | 6 | 11 | 22:38 | 18 |

# ზოგი მსაჯი მარგებელია
## ბოშკოვიჩი ზედმეტი ყოფილა

### საფრანგეთი
I დივიზიონი. VII ტური

**ლე მანი 0:2 ლიონი**
0:1, 0:2 ელბერი (12, 89)

**მონპელიე 1:2 მონაკო**
0:1 ადებაიორი (17), 1:1 ლეილი (26), 1:2 ჟიული (73)

**ნანტი 1:0 მარსელი**
1:0 ვაირუა (3)

**სოშო 3:0 სტრასბური**
1:0 ილაბე (10), 2:0 სანტოსი (25), 3:0 პაგი (90)

**ლანსი 1:0 ბორდო**
1:0 ტომერი (26)

**აიაჩო 1:0 რენი**
1:0 მიტროვიჩი (44)

**ოსერი 4:1 ბასტია**
1:0 ჯ. სისე (24), 1:1 ა. დიარა (30), 2:1 ლაშუერი (35), 3:1 მექსეში (45), 4:1 ჯ. სისე (61)

**გენგამი 0:2 პსჟ**
0:1 ფიორეზე (66), 0:2 პაულეტა (71)

**ნიცა 2:0 ლილი**
1:0, 2:0 ჩერადი (33, 41)

**ტულუზი 1:0 მეცი**
1:0 აზევაკი (71)

აი, ეს არის ნამდვილი საფრანგეთი: მასპინძლებმა შვიდ შეხვედრაში იმარჯვეს, ხოლო სტუმართა სამი მოგება ბოლოლა კლუბების ანგარიშზეა. ხანდახან ასე მარტივია ყველაფერი, როცა შედეგებს ნახავ. მოედნებზე კი ამ ტურში წითელ-ყვითელი ბარათების ზეიმი იყო.

ტანჯული ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი დედაქალაქიდან გერვაის ეწვია. თავის ყოფილ კლუბს პსჟ-ლი ფაბრის ფიორეზე შეხვდა, რომელიც ერთი ხანობა პარიზიდან გაქცევას აპირებდა, ჰალილჰოჯიჩთან ვერ გავძლებო.

პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებს ბრანკო ბოშკოვიჩი გაუძევეს. კაცნაკლულები ისე ათამაშდნენ, თითქოს ერთი ვინმე ზედმეტი ხელს უშლიდათ. მეორე ნახევრის ხუთწუთიან მონაკვეთში მასპინძლები მოაშთეს. ჯერ ფიორეზემ დასერა ძველი ნაცნობები, მერე კი პედრო პაულეტამ იხეირა და დედაქალაქელებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მიითვალეს.

საყოველთაო დაჩაგვრის ობიექტ „ლე მანს" წილად ხვდა ჩემპიონის მასპინძლობა. პოლ ლე გუენის „ლიონი" ალბათ სწორედ იმ ბრაზილიელმა შეავსო, რომლის გარდა სონი ანდერსონს სხვა ვერავინ შეცვლიდა — ჯოვანი ელბერი. ოტმარ ჰიცფელდი ბევრჯერ კიდევ გაიგონებს ელბერის გვარს. ყოფილმა ბაიერნელმა წყვილი გოლი გაიტანა. ბუნდესლიგაში ნაწრთობს საფრანგეთში გაუჭირდება? მან ჯერ მატჩის დასაწყისში იხეირა. მეორე ტაიმში სტუმარი სიდნეი გოვუ გააძევეს. მატჩის მიწურულს მას მასპინძელი ფრედერიკ ტომასიც მიაყოლეს და ელბერმა ეს ამბავი მეორე გოლით აღნიშნა.

ბოლო წლების ორი მოულოდნელობა — „ნიცა" და „ლილი" ერთმანეთს ლაჟვარდოვან სანაპიროზე შეხვდნენ. ნიცელთაგან მადაზე ალჟირელი აბდელმალეკ ჩერადი იყო, რომელმაც საქმე შესვენებამდე მოამთავრა, ლილელთა არისტოფ ლანდრინი შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მოედნიდან მიაბრძანეს. „ლაჟვარდოვნებს" მეტი გოლითაც შეეძლოთ სტუმართა დატვირთვა, მაგრამ „ლილი" ნიციდან ორბურთიანი სხვაობით გაიძურწა.

„ტულუზმა" სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. შეცვლაზე შესულმა კრისტოფ აზევაკი ტულუზელთა სიხარულის მიზეზი გახდა, რადგან მისი ზუსტი დარტყმა მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა.

მეცელთაგან გათანაბრების საუკეთესო შანსი ტეოფილო მაულიდას ჰქონდა. უკვე დამატებულ დროში მაულიდა კარის სიახლოვეს ბურთიანად ეულად დარჩა, მაგრამ ასპროცენტიანი მომენტი სიჩქარეში დალუპა.

„ოსერში" ჯიბრილ სისე და „ფეიენოორდიდან" გადაბარგებული ბუნავენტურე კალუ დაძმობილდნენ. მატჩი ისე არ ჩაივლის, რომ კალუმ სისეს ერთი საგოლე პასი არ გაუჩარხოს. ამჯერადაც ასე მოხდა. შეხვედრაში ანგარიში მათი თანამშრომლობის შედეგად გაიხსნა. ბასტიელმა ალიუ დიარამ მალევე კი გაქვითა, მაგრამ კორსიკელებს ზედიზედ მესამე თამაშის მოგება არ ეწერათ. იან ლაშუერმა და ფილიპ მექსეშმა ტაიმის ბოლომდე მეტოქისთვის მოიცალეს და თითო გოლით დაასაჩუქრეს. ოსერულ ამბავს წერტილი თამაშებიმა სისემ დაუსვა და „ბასტიას" ტანჯვაც დასრულდა.

ფერნანდო მორიენტესმა პირველი ფრანგული გოლი ვერ გამოჭედა, მაგრამ მისი გუნდი ცხრილის სათავეში მოექცა. ემანუელ ადებაიორისა და ლუდოვიკ ჟიულის წყალობით „მონაკომ" სამი ქულა გაიყოლა და ოცეულს ლიდერობს.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 7 | 5 | 1 | 1 | 13:7 | 16 |
| მარსელი | 7 | 5 | 0 | 2 | 11:3 | 15 |
| ნიცა | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 14 |
| სოშო | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| ნანტი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:4 | 13 |
| ლანსი | 7 | 4 | 1 | 2 | 5:5 | 13 |
| ლიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 11 |
| ლილი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| სტრასბური | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| ოსერი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| პსჟ | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| აიაჩო | 7 | 3 | 1 | 3 | 8:9 | 10 |
| ბასტია | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | 10 |
| რენი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:5 | 9 |
| მეცი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:6 | 7 |
| ბორდო | 7 | 2 | 1 | 4 | 6:8 | 7 |
| მონპელიე | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| ტულუზი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| გენგამი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | 4 |
| ლე მანი | 7 | 0 | 2 | 5 | 1:13 | 2 |



„ლიონმა" ჯოვანი ელბერის დუბლით მოიგო

### ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი. I ტური**
აშშ 3:1 შვედეთი
ნიგერია 0:3 ჩრდ. კორეა

**B ჯგუფი. I ტური**
ბრაზილია 3:0 სამხ. კორეა
ნორვეგია 2:0 საფრანგეთი

**C ჯგუფი. I ტური**
გერმანია 4:1 კანადა
იაპონია 6:0 არგენტინა

**D ჯგუფი. I ტური**
რუსეთი 2:1 ავსტრალია
ჩინეთი 1:0 განა

### პორტუგალია
სუპერლიგა. V ტური

**ბეირა მარი 4:1 ფერეირა**
1:0 სანდრო სილვა (6), 1:1 ზე მანელი (10), 2:1 ვიინშარდი (16), 3:1 კ. კუნია (62), 4:1 ვიინშარდი (90)

**ჟილ ვისენტე 5:1 ამადორა**
0:1 ჟულიო სეზარი (1), 1:1 გასპარი (38), 2:1 ვ. ფერეირა (48), 3:1, 4:1 პაულუ ალვეში (52, 60), 5:1 ლურეი (90)

**ნასიონალი 0:2 ლეირია**
0:1 ჟოაუ პაულუ (26), 0:2 ლარანხეირუ (84)

**პორტუ 2:0 ბენფიკა**
1:0 დერლეი სილვა (30), 2:0 ფუხსი (53ს.კ.)

**ალვერკა 1:0 რიუ ავე**
1:0 რ. ლიმა (81)

**მორეირენსე 1:0 სპორტინგი**
1:0 მანოელი (90)

**ბოავიშტა 0:0 აკადემიკა**

**მარიტიმუ 1:1 ბრაგა**
0:1 საიდი (9), 1:1 გაუჩო გომეში (54)

*ბელენენსეში — ვიმარაეში*
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. X ტური

გრაცერი — რაპიდი 2:0; აუსტრია — შტურმი 1:1; ბრეგენცი — ადმირა 2:2; კერნტენი — ზალცბურგი 1:2; მატერსბურგი — პაშინგი4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:12 | 23 |
| აუსტრია | 10 | 5 | 4 | 1 | 17:7 | 19 |
| გრაცერი | 9 | 5 | 1 | 3 | 16:13 | 16 |
| ბრეგენცი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:17 | 14 |
| მატერსბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:16 | 13 |
| ადმირა | 9 | 3 | 2 | 4 | 14:9 | 11 |
| პაშინგი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:20 | 11 |
| ზალცბურგი | 10 | 3 | 1 | 6 | 14:17 | 10 |
| კერნტენი | 9 | 1 | 5 | 3 | 7:16 | 8 |
| შტურმი | 9 | 1 | 3 | 5 | 9:14 | 6 |

### ბელგია
იუპილერლიგა. VI ტური

**გენტი 1:1 შარლერუა**
0:1 მაშკე (58), 1:1 დე ბრული (85)

**ანდერლეხტი 5:1 ვესტერლო**
1:0 მორნარი (15), 2:0 ჰენდრიქსი (21), 3:0 დინდანე (22), 4:0 ვილჰელმსონი (49), 4:1 დოსუნმუ (62), 5:1 ჟევლაკოვი (85)

**ბევერენი 2:0 ჰეუსდენი**
1:0, 2:0 სანოგო (39, 88)

**სერკლ ბრიუგე 2:0 სტანდარდი**
1:0 ჟბარი (36), 2:0 აირისი (87)

**ლუვიე 1:2 მუსკრონი**
0:1 მ. მვენზა (17), 1:1 იშიაკუ (48), 1:2 პიერონი (62)

**გენკი 0:0 მონსი**

**ანტვერპენი 0:4 ბეერსხოტი**
0:1 მ. კამარა (15), 0:2, 0:3 ვ. დე ოლივეირა (32, 57), 0:4 კოორემანი (56)

**ლიერსი 2:1 ლოკერენი**
1:0 ვილსი (48), 1:1 დაბა (67), 2:1 მიტუ (85)

**სენტ ტრუიდენი 3:2 ბრიუგე**
1:0 ბუვენსი (9), 1:1 მენდოსა (43), 1:2 ვერშეინი (59), 2:2 იანსენი (74), 3:2 ბოფინი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 6 | 6 | 0 | 0 | 21:3 | 18 |
| ბრიუგე | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| გენკი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 11 |
| ლიერსი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| სენტ ტრუიდენი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| სტანდარდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ბეერსხოტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:3 | 9 |
| მუსკრონი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:9 | 9 |
| გენტი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| სერკლი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:6 | 8 |
| ლუვიე | 6 | 1 | 4 | 1 | 6:5 | 7 |
| ანტვერპენი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:12 | 7 |
| ბევერენი | 6 | 2 | 0 | 4 | 9:13 | 6 |
| ვესტერლო | 6 | 1 | 3 | 2 | 7:11 | 6 |
| შარლერუა | 6 | 0 | 3 | 3 | 1:5 | 3 |
| მონსი | 6 | 0 | 3 | 3 | 5:12 | 3 |
| ჰეუსდენი | 6 | 0 | 2 | 4 | 0:7 | 2 |
| ლოკერენი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:12 | 2 |

### ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. VIII ტური

სპარტა — სინოტი 3:1; სიგმა — ჟიჟკოვი 3:0; იაბლონეცი — პლზენი 1:1; ოპავა — ბუდეიოვიცე 1:0; ზლინი — ბლშანი 3:1; პრჟიბრამი — სლავია 1:0; ტეპლიცე — ლიბერეცი 2:1. ბრნო — ბანიკი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 7 | 6 | 1 | 0 | 17:6 | 19 |
| ტეპლიცე | 8 | 4 | 4 | 0 | 13:7 | 16 |
| ბრნო | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| სიგმა | 8 | 4 | 2 | 2 | 14:7 | 14 |
| სპარტა | 8 | 3 | 4 | 1 | 12:5 | 13 |
| ლიბერეცი | 8 | 3 | 4 | 1 | 8:4 | 13 |
| სლავია | 8 | 3 | 2 | 3 | 8:5 | 11 |
| ზლინი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:7 | 11 |
| ოპავა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:14 | 10 |
| პლზენი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | 9 |
| პრჟიბრამი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:9 | 8 |
| იაბლონეცი | 8 | 1 | 5 | 2 | 4:8 | 8 |
| ჟიჟკოვი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:12 | 7 |
| ბუდეიოვიცე | 8 | 2 | 1 | 5 | 6:13 | 7 |
| სინოტი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:12 | 6 |
| ბლშანი | 8 | 0 | 2 | 6 | 7:18 | 2 |

# დიდი დაშავება

**ალესანდრო დელ პიერო** სერიოზულად დაშავებულია. მოგეხსენებათ, „იუვენტუსისა" და „რომას" საკვირაო შეხვედრის მე-14 წუთზე „ბებერი ქალბატონის" ვარსკვლავმა მარცხენა ფრთიდან სტუმარი მცველების ჩამოტოვება განიზრახა, მაგრამ ფეხი იტკინა და თავად ითხოვა შეცვლა.

„იმწუთას მივხვდი, რომ კუნთზე პრობლემა მქონდა და შეცვლა ვითხოვე" — წერია დელ პიეროს სიტყვები „იუვეს" საინტერნეტო ვებ-გვერდზე.

პირველადი მონაცემებით დელ პიეროს შესაძლოა 45 დღის გამოტოვება მოუხდეს, ანუ იგი არ იქნება „იუვეს" შეხვედრებში „რეალ სოსიედადთან", „ოლიმპიაკოსთან" და აგრეთვე იტალიის ნაკრების შეხვედრაში აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან.

**ბაკუნა ძიდია**

# უ-B-დურება იტალიურად

**იტალიის სერია** B-ში თამაში ჩაიშალა: „აველინოსა" და „ნაპოლის" მატჩის წინ გულშემატკივრებმა საშინელი უწესრიგობები მოაწყვეს, პოლიციელები ტრიბუნების ქვეშ შეყარეს და თავად მოედანი იავარქმნეს — კარებებიც დალეწეს და კუთხურის დროშებიც.

მაგრამ ზემოთ ნათქვამი სულაც არ იყო მთავარი ტრაგედია. სამწუხაროდ, არეულობებს 20 წლის ნეაპოლელი ქომაგის, სერჯო ერკოლანო ემსხვერპლა. იგი სტადიონზე 20 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და გუშინ გარდაიცვალა.

**ბაკუნა ძიდია**



### დანია
სუპერლიგა. VIII ტური

ოლბორგი — მიდტიულანდი 1:0; აკადემისკი — ვიბორგი 1:4; ფრემი — ორჰუსი 1:4; ნორდსიელანდი — ესბიერგი 1:1; კოპენჰაგენი — ჰერფიოლგე 0:0; ოდენსე — ბრონდბიუ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 8 | 6 | 2 | 0 | 14:3 | 20 |
| ესბიერგი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:7 | 15 |
| ოდენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 14:9 | 14 |
| ორჰუსი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:15 | 13 |
| კოპენჰაგენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:9 | 12 |
| მიდტიულანდი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| ოლბორგი | 8 | 3 | 2 | 3 | 5:6 | 11 |
| ვიბორგი | 8 | 2 | 4 | 2 | 16:15 | 10 |
| ჰერფიოლგე | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| ნორდსიელანდი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:9 | 7 |
| ფრემი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:15 | 6 |
| აკადემისკი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:20 | 4 |

### საბერძნეთი
I დივიზიონი. IV ტური

აკრატიტოსი — ეგალეო 0:2; ოფი — ხალკიდონა 3:1; იონიკოსი — ირაკლისი 0:4; პაოკ — პროდეფტიკი 0:0; ოლიმპიაკოსი — პანილიაკოსი 1:0; აეკ — პანათინაიკოსი 2:2; არისი — ქსანთი 3:2; კალითეა — პანიონიოსი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:1 | 9 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| აეკ | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| არისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| პაოკ | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| პანიონიოსი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 6 |
| ეგალეო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| პროდეფტიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| პანილიაკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ხალკიდონა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ოფი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| იონიკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| აკრატიტოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:11 | 3 |
| კალითეა | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| ქსანთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

### თურქეთი
სუპერლიგა. VI ტური

ტრაბზონი — სამსუნი 2:1; ისთანბული — ბეშიქთაში 1:1; მალათია — ანკარაგიუჯიუ 1:0; გაზიანთეფი — ადანა 1:0; გენჩლერი — კონია 4:0; დენიზლი — ბურსა 4:0; ელაზიგი — რიზე 1:1; გალათასარაი — ფენერბაჩე 2:2; დიარბაქირი — სებათი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 6 | 5 | 1 | 0 | 14:5 | 16 |
| ისთანბული | 6 | 4 | 2 | 0 | 14:5 | 14 |
| ფენერბაჩე | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| მალათია | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| გალათასარაი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| რიზე | 6 | 3 | 2 | 1 | 7:7 | 11 |
| ტრაბზონი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| დენიზლი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:7 | 8 |
| კონია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:11 | 8 |
| გენჩლერბირლიგი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| გაზიანთეფი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| ადანა | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | 6 |
| დიარბაქირი | 6 | 2 | 0 | 4 | 8:11 | 6 |
| ელაზიგსფორი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:17 | 5 |
| სამსუნი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:18 | 4 |
| სებათი | 6 | 1 | 0 | 5 | 6:12 | 3 |
| ბურსა | 6 | 0 | 3 | 3 | 2:9 | 3 |

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“

## I ეტაპი, V ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

**რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 26.09.03**

შტამპის ადგილი

I ეტაპი, V ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 26.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 27.09 | ჩელსი - ასტონ ვილა | | 19.00 | 27.09 | ჩელსი - ასტონ ვილა | |
| 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | | 21.00 | 27.09 | რეჯინა - იუვენტუსი | |
| 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | | 23.30 | 27.09 | უდინეზე - ინტერი | |
| 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | | 18.30 | 27.09 | მიუნხენ 1860 - შტუტგარტი | |
| 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | | 18.30 | 27.09 | ჰანზა - ბაიერნი | |
| 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | | 23.00 | 27.09 | ბასტია - სოშო | |
| 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | | 23.00 | 27.09 | მარსელი - ნიცა | |
| 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | | 19.00 | 27.09 | პსვ - ალკმაარი | |

## I ეტაპი, VI ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | | 18.00 | 28.09 | ჩარლტონი - ლივერპული | |
| 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | | 19.00 | 28.09 | ევერტონი - ლიდსი | |
| 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | | 20.05 | 28.09 | სიტი - ტოტენჰემი | |
| 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | | 23.30 | 28.09 | კიევო - პერუჯა | |
| 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | | 19.00 | 28.09 | ვალენსია - რეალი | |
| 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | | 19.00 | 28.09 | ბილბაო - სოსიედადი | |
| 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | | 19.00 | 28.09 | ატლეტიკო - ბარსელონა | |
| 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | | 20.30 | 28.09 | შალკე - აინტრახტი | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 27 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 27 სექტემბერს)

**პასუხი კონკურსანტთა კითხვებზე: პროგნოზის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ანგარიში. შეიძლება პროგნოზის ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტების ჩაბარება (დებულების მე-13 პუნქტი)**

## კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოდ

VIII ტურის საკონკურსო ბიულეტენის აკრეფისას გაზეთ „ახალ ვერსიაში“ და ჟურნალ "ულტრაში" დაშვებული იყო შეცდომა. გთავაზობთ მის გასწორებულ ვარიანტს და გაცნობებთ, რომ გაზეთ „ახალ ვერსიასა“ და ჟურნალ „ულტრადან“ ჩაბარებულ საკონკურსო ბიულეტენებში VIII ტურის მეხუთე მატჩში მითითებულ ანგარიში ნაგულისხმები იქნება ჩელსი — ბეშიქთაშის ანგარიში ნაცვლად დაბეჭდილი ჩელსი — ბენფიკისა, ხოლო მეექვსე მატჩში მითითებულ ანგარიში სელტა — მილანის ანგარიში ნაცვლად დაბეჭდილი ატლეტიკო — ბეშიქთაშისა

## I ეტაპი, VII ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

**რჩება კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03**

შტამპის ადგილი

I ეტაპი, VII ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 29.09.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | | 23.45 | 30.09 | სელტიკი - ლიონი | |
| 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | | 23.45 | 30.09 | ანდერლეხტი - ბაიერნი | |
| 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | | 23.45 | 30.09 | ინტერი - დინამო (კიევი) | |
| 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | | 21.30 | 30.09 | ლოკომოტივი - არსენალი | |
| 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | | 23.45 | 30.09 | მონაკო - აეკ | |
| 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | | 23.45 | 30.09 | დეპორტივო - პსვ | |
| 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | | 23.45 | 30.09 | ოლიმპიაკოსი - იუვენტუსი | |
| 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | | 23.45 | 30.09 | გალათასარაი - სოსიედადი | |

## I ეტაპი, VIII ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 01.10 | პანათინაიკოსი - რეინჯერსი | | 23.45 | 01.10 | ჩარლტონი - ლივერპული | |
| 23.45 | 01.10 | შტუტგარტი - მანჩესტერი | | 23.45 | 01.10 | ევერტონი - ლიდსი | |
| 23.45 | 01.10 | მარსელი - პარტიზანი | | 23.45 | 01.10 | სიტი - ტოტენჰემი | |
| 23.45 | 01.10 | პორტო - რეალი | | 23.45 | 01.10 | კიევო - პერუჯა | |
| 23.45 | 01.10 | ჩელსი - ბეშიქთაში | | 23.45 | 01.10 | ვალენსია - რეალი | |
| 23.45 | 01.10 | სელტა - მილანი | | 23.45 | 01.10 | ბილბაო - სოსიედადი | |
| 23.45 | 01.10 | ლაციო - სპარტა | | 23.45 | 01.10 | ატლეტიკო - ბარსელონა | |
| 23.45 | 01.10 | აიაქსი - ბრიუგე | | 23.45 | 01.10 | შალკე - აინტრახტი | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 30 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 30 სექტემბერს)

## საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004“-ის დებულება და მასში მონაწილეობის წესები

1. კონკურსის ჩატარების ვადაა 2003 წ. სექტემბერი — 2004 წ. მაისი;

2. კონკურსის მონაწილე წარმოადგენს ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ, ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებიდან და სათასო შეხვედრებიდან აღებული და საკონკურსო ბიულეტენში მითითებული მატჩების პროგნოზს;

3. მიიღება მხოლოდ კონკურსის ჩამტარებელ გაზეთებსა და ჟურნალში გამოქვეყნებული საკონკურსო ბიულეტენები (ქსეროქსზე გადაღებული, კომპიუტერზე ამობეჭდილი და ა.შ. ბიულეტენები კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებენ და ჩაითვლებიან ბათილად);

4. საკონკურსო ბიულეტენი შედგება **A** და **B** ნაწილისაგან;

*5. ერთნაირად შევსებული A და B ნაწილები კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ჩაბარების ადგილზე არა უგვიანეს საკონკურსო ბიულეტენზე აღნიშნული ვადისა, რის შემდეგაც მოხდება როგორც B (უნდა ჩაბარდეს), ასევე A (რჩება კონკურსანტთან) ნაწილის დამოწმება მიმღების მიერ;*

6. საკონკურსო ჟიური მონაწილის შედეგზე იმსჯელებს მხოლოდ დამოწმებული და ჩაბარებული ბიულეტენის **B** ნაწილის მიხედვით. ჩაბარების ადგილზე მიმღები არაა ვალდებული, შეამოწმოს საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილების იდენტურობა. საკონკურსო ბიულეტენის **A** და **B** ნაწილებში მითითებული განსხვავებული პროგნოზის (ანგარიში, შედეგი) შემთხვევაში, პრეტენზიები არ მიიღება;

*7. საკონკურსო ბიულეტენის B ნაწილში აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი (სასურველია საკონტაქტო ტელეფონი) გასარჩევი კალიგრაფიით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად;*

8. ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად თუ:
— დარღვეულია დებულების მე-5 პუნქტი,
— დარღვეულია დებულების მე-7 პუნქტი,
— გადასწორებული ან გადაშლილია ბიულეტენის **B** ნაწილში რომელიმე მატჩის პროგნოზი (ანგარიში).

9. ყოველი ტურის (ეტაპის) წინასწარი შედეგები (პირველი 25 შედეგი) გამოქვეყნდება შემდეგი ტურის (ეტაპის) დაწყების წინ, პრეტენზიები მიიღება შედეგების გამოქვეყნებიდან 1 კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც კონკურსანტის პროტესტი აღარ განიხილება და წინასწარი შედეგები (ტურის, ეტაპის) ჩაითვლება დამტკიცებულად;

*10. კონკურსი ტარდება 10 ეტაპად;*

*11. კონკურსის თითოეული ეტაპი შედგება 12 ტურისგან;*

*12. კონკურსის თითოეულ ტურში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს 8 მატჩის პროგნოზი - ანგარიშის მითითებით;*

*13. მონაწილეს საკონკურსო ტურებში შეუძლია წარმოადგინოს პროგნოზთა ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი (საკონკურსო ბიულეტენის ერთი B ნაწილი ითვლება პროგნოზის ერთ ვარიანტად), ამასთან, ჩაითვლება მხოლოდ ერთი — საუკეთესო ვარიანტი (კონკურსანტის შედეგი ტურში);*

*14. თითოეული მატჩის სწორი ანგარიშის გამოცნობისთვის მონაწილე მიიღებს 8 ქულას, შედეგის გამოცნობისთვის (ვერ გამოიცნო ანგარიში) 5 ქულას. გადადებული მატჩების შემთხვევაში (ტურში არა უმეტეს ორი მატჩისა) კონკურსანტს ჩაეთვლება ყოველ გადადებულ მატჩში შედეგის გამოცნობა. ორზე მეტი მატჩის გადადების შემთხვევაში, ტური გაუქმდება და დაინიშნება დამატებითი ტური;*

15. კონკურსის თითოეულ ეტაპზე გამარჯვებული გამოვლინდება შვიდი საუკეთესო ტურის ქულათა ჯამის მიხედვით (ეტაპის თორმეტივე ტურში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში უარესი მაჩვენებელი არ ჩაითვლება და შეჯამდება მხოლოდ შვიდი საუკეთესო ტურის შედეგი);

16. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, ეტაპზე გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მერვე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხრე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთერთმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეთორმეტე საუკეთესო ტურის შედეგი, თუ იგი თანაბარია ორივე (სუყველა) კონკურსანტი ჩაითვლება ეტაპის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

17. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 6 საუკეთესო ეტაპის ქულათა ჯამის მიხედვით (იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას ათივე ეტაპში, უარესი მაჩვენებელი არ ჩაეთვლება და შეჯამდება მხოლოდ 6 საუკეთესო ეტაპის ქულები);

18. იმ შემთხვევაში, როდესაც 2 (ორი, ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, კონკურსში გამარჯვებულის გასარკვევად მხედველობაში მიიღება მეშვიდე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მერვე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეცხე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია მეათე საუკეთესო ეტაპის შედეგი, თუ იგი თანაბარია გამარჯვებულს გამოავლენს ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 1 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, თუ იგი თანაბარია - ეტაპების ჩათვლაში არმიღებული ნებისმიერი 2 საუკეთესო ტურის მაჩვენებელი, დ.ა.შ. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია ორივე (სუყველა) მონაწილე ჩაითვლება კონკურსის გამარჯვებულად და საპრიზო ფონდი თანაბრად გაიყოფა მათ შორის.

19. თითოეულ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ:
I ადგილი — 200 ლარი; II ადგილი — 100 ლარი; III ადგილი — 50 ლარი

20. კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან:
I ადგილი — სატელიტური ანტენა
II ადგილი — პერსონალური კომპიუტერი „პენტიუმ IV“
III ადგილი — მუსიკალური ცენტრი **SONY**,
IV ადგილი — ტელევიზორი **SONY**,
V ადგილი — ვიდეომაგნიტოფონი **SONY**,
ამასთან, მე-6 - 25-ე ადგილზე გასულ კონკურსანტთათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრიზები.

21. საკონკურსო ბიულეტენები მიიღება:

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ. №37 და მის ფილიალში, მეტრო „ახმეტელის თეატრი“, მიწისქვეშა გადასასვლელი მუხიანის მხარეს.*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“*
*6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“*
*8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“*
*9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15*
*13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

# დიჟონმა რა იცის...

*ვახტანგ ნაცვლიშვილს რომ ჩატენვა შესძლებია, „დიჟონში" ახლახან გაიგეს. ვატომ დიჟონის ოთხთა ტურნირის ფინალში „რეიმსის" ზორბა ცენტრს ჩაუტანა და თანაგუნდელები აღაფრთოვანა. ეს შენი კარიერის საუკეთესო ჩატენვა იქნებაო, უთხრეს დიჟონელებმა ჩვენებურს. ნაცვლიშვილს კი გაუფიქრია, ამათ რომ ჩემი ჩატენვები ანახა, ალბათ გუნდიდან გამაგდებენ პასიურობისთვისო. და თუ რატომ პასიურობს ნაცვლიშვილი, ჯობს მისგანვე შევიტყოთ...*



— ოთხთა ტურნირი მოიგეთ, დიჟონელთაგან კი ერთ-ერთი საუკეთესო შენ იყავი...

— ვიყავი, მაგრამ ჩემი შესაძლებლობების ნახევარიც არ გამომივლენია, არცთუ ძლიერი მეტოქეები გვყავდა. ნახევარფინალში ჩეხურ „სპარტას" იოლად ვძლიეთ და მე სამმაგი დუბლი შევასრულე. 20 ქულასა და 12 მოხსნას 10 პასიც დავუმატე, თუმცა სამდივნომ 2 პასით ნაკლები დამითვალა. მართალია, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ სამმაგი დუბლი მაინც სამმაგი დუბლია.

**— ფინალშიც სუსტი მეტოქე შეგხვდათ?**

— არა, ფრანგული „რეიმსი" საკმაოდ სოლიდური გუნდია, ნახევარფინალში ბელგიური „მონსი" დაამარცხა. „რეიმსთან" 16 ქულა და 8 მოხსნა გავაკეთე, თუმცა ჩემი თანაგუნდელები ერთმა ჩატენილმა ბურთმა უფრო გაახარა. ერთ ეპიზოდში „რეიმსის" ცენტრი გადამელობა და დაფარება დამიპირა. რატომღაც გავბრაზდი, მთელი ძალით ავხტი ჩასატენად და მუხლები ლამის ცხვირში მივარტყი. ლამაზად გამომივიდა და დიჟონელებსაც სალაპარაკო მიეცათ. მატჩის შემდეგ მოვიდნენ, აუ, რა მაგარი იყო, ეს შენი კარიერის საუკეთესო ჩატენვა იქნებოდაო. გულში მეცინებოდა, ამათ რა იციან, რომ ეს ჩემი საყვარელი ილეთია-მეთქი. აბა, დიჟონის მწვრთნელებს რომ ჩემი ჩატენილი ბურთები ანახა, ალბათ გუნდიდან გამაგდებენ, ამდენი თუ შეგეძლო, რატომ არ აკეთებდიო.

**— მართლაცდა, რატომ პასიურობ?**

— ფეხებს ვუფრთხილდები. თავიდან კი არაფერი მჭირდა, მაგრამ ბოლო ორი კვირაა, ძალიან მაწუხებს და ვარჯიშებზეც მაქსიმალურად ვცდილობ ძალების დაზოგვას. ისე ვიქცევი, თითქოს ხტომა არ შემეძლოს და ტექნიკისა და ინდივიდუალური თამაშის წყალობით გავდივარ ფონს. ხტომა მუხლების პირველი მტერია, მეც ვფრთხილობ და ამიტომაც გადაირივნენ დიჟონელები, ეს რამხელაზე ახტიო.

**— ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გამოავლინო საკუთარი შესაძლებლობები...**

— ჰო, მაგრამ ჯერ არ ვაპირებ. ასე, ნახევარი ძალითაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვარ და თავის გაგიჟება რაში მჭირდება? ხუთეულში ვარ და კარგადაც ვთამაშობ, პორტუგალიაში რომ ბოლომდე ვიხარჯებოდი, რა ხეირი ვნახე? შემიძლია, ისეთი რაღაცეები ვაკეთო, დიჟონელების კერპი გავხდე, მაგრამ ერთ დღესაც მუხლები მიმტყუნებს და... სიმართლე გითხრა, იმ ჩატენილს, დიჟონელებმა კარიერის პიკად რომ მომინათლეს, ოცეულშიც კი არ ჩავითვლიდი.

**— ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ გელით თამაშები? ეგებ ვიქტორ სანიკიძესაც ჩამოესწრო...**

— ვიქტორს აქ ყოველდღე ელიან, ფორმაც გაუმზადეს უკვე. იმ დღეს ვნახე, 12-ნომრიან მაისურას ფრანგულად ეწერა სანიკიძე. ჩემპიონატი 5 ოქტომბერს იწყება, მანამდე კი ლიონის ოთხთა ტურნირზე ვითამაშებთ.

**ირაკლი ბერტაია**



# ბორჯღალოსნები გულმავიწყობაშიც ვარჯიშობენ

*პარასკევს ატეხილმა განგაშმა, საფრანგეთში შეკრებილ საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელი ფული არა აქვს და სადაცაა, სასტუმროს დააცლევინებენო, თავისი ქნა. ფინანსურად შეჭირვებულ ბორჯღალოსნებს უმალ გამოუჩნდნენ შემწენი და საკმაოდ შეძლებულებიც. „საქართველოს ბანკმა", „გაერთიანებულმა ბანკმა", TBC ბანკმა, კოკა-კოლამ, „შევრონმა", „ჯი ემ თიმ" და „სამგორმა" 10-10 ათასი დოლარი, სულ 70 ათასი გაიღეს და ბორჯღალოსნებს შეაშველეს*



გია ჭუმბურიძე

ეს თანხა ნაკრებს შეკრებებისა და სასტუმროს დავალიანების დასაფარად სჭირდება, თორემ მსოფლიოს თასზე წასვლა-არწასვლა საორჭოფო არ არის. ჩვენების ავსტრალიაში ცხოვრების და გადაადგილების ფულს რაგბის საერთაშორისო კავშირი (IRB) კისრულობს და ამისთვის საჭირო 150 ათას გირვანქას ბორჯღალოსნებს ავსტრალიაში ჩასვლის შემდეგ მისცემს.

აქ ატეხილმა განგაშმა საფრანგეთში მყოფი ჩვენი მორაგბეების ყურამდეც მიაღწია. ცხადია, ბიჭებს ხასიათი წაუხდათ, მაგრამ ნაკრების უფროსობამ და მორაგბეებმა გადაწყვიტეს, ეს მეტად უსიამოვნო ფაქტი „დაევიწყებინათ" და მთელი კონცენტრაცია ვარჯიშებზე გადაეტანათ. გუშინ საფრანგეთში ბორჯღალოსანთა მენეჯერ გია ჭუმბურიძეს დავუკავშირდით და ნაკრების სადღეისო მდგომარეობაზე დავეკითხეთ.

— ის, რომ კავშირს ჩვენი სასტუმროში ცხოვრების ფული არ ჰქონდა, ბიჭებმა მშობლებისგან გაიგეს. რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო იყო ამის მოსმენა, მაგრამ ყველანაირად შევეცადეთ, ამაზე არ გვეფიქრა. ბიჭები შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს, რომ პრობლემებზე არ იფიქრებდნენ და სრული დატვირთვით ივარჯიშებდნენ. თავად სორელმაც კი მხოლოდ ერთხელ იკითხა, მდგომარეობა თუ გამოსწორდაო. რაც მთავარია, ბიჭებმა გაიცნობიერეს, რომ ავსტრალიაში ღირსეულად უნდა ითამაშონ და მსოფლიოს თავი დაამახსოვრონ. ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ, ენერგია მარტო ვარჯიშებზე დახარჯონ.

**— შეკრებით კმაყოფილი ხართ?**

— ნაკრები ურიგოდ არ არის მომზადებული. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. შაბათი და კვირა უქმე იყო. ვისაც საფრანგეთში ოჯახი ჰყავს, მათი მონახულების დრო მივეცით. დღეს ისევ შევიკრიბეთ და ჩვეულად გავაგრძელეთ შეკრება. ძირითადი აქცენტი ფიზმომზადებაზეა.

**— მსოფლიოს თასამდე საწვრთნელი მატჩის გამართვას არ აპირებთ?**

— ოთხშაბათს შატო რენარში ჩავალთ და იქაურ სამოყვარულო კლუბთან გვექნება სპარინგი. სორელი და უკანა ხაზის მწვრთნელი პატრიკ ფორი ბიჭების ფორმით კმაყოფილები არიან. ამ მატჩში თეორიულად დამუშავებული სქემების დახვეწასა და პრაქტიკულად ათვისებაზე გაკეთდება აქცენტი.

**— ახალი ფორმები თუ დაურიგდათ მორაგბეებს?**

— ჯერჯერობით ახალი ეკიპირების მხოლოდ ნაწილი მივიღეთ. სრულად სავარჯიშო მაისურები და ბუცები დარიგდა. „შატო რენართან" სწორედ ამ მაისურებით ვითამაშებთ.

**— ტრავმირებულების საქმე როგორა?**

— ირაკლი გუნდიშვილმა და ვასილ კაცაძემ ბოლომდე მოიშუშეს ტრავმა და დღეიდან სრული დატვირთვით ივარჯიშებენ. ილია ზედგინიძეს ნაოპერაციევი შუბლი კარგად უხორცდება და უკვე მსუბუქად ვარჯიშობს.

# გეგიძეს ფული და გული მოუბრუნდა



**ბოლო დღეებია, ბიძინა გეგიძეს კარგ ამბებს ატყობინებენ**

„რაც გინდათ, ის დაარქვით, პროტესტი, ცხელ გულზე ნათქვამი... გადავწყვიტე, მსოფლიოს თიასზე არ წავიდე. რვა წლის ოცნებაზე ვთქვი უარი" — ასეთი იყო საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის რეაქცია ბორჯღალოსნების მთავრობის უგულო დამოკიდებულების გამო.

გეგიძემ ეს სამი დღის წინ საჯაროდ განაცხადა. მას შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. კერძო პირებმა და კომპანიებმა სოლიდური თანხა შეაგროვეს და საავსტრალიო გუნდის შეკრება დააფინანსეს. მთავრობამ კი ატეხილ აჟიოტაჟს ვერ გაუძლო და ვისაც ევალებოდა, იმან ნაკრებისთვის შეპირებული ფული გამოძებნა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, გეგიძეს ცხელ გულზე ნათქვამი ანუ ავსტრალიაში არწასვლა გადაეფიქრებინა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გეგიძემ ეს გვითხრა: „ჯერჯერობით ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. მთავრობამ შეპირებული ფული გამოირიცხა, მაგრამ სანამ ანგარიშზე არ დაგვიჯდება, არ დავიჯერებ. თუ დანაპირები შესრულდა, ავსტრალიაში წავალ და ბიჭების გვერდით ვიქნები."

**ბაჩო სვანიძე**



VUELTA A ESPAÑA 03 — ვუელტა 2003 6 - 28 სექტემბერი

# მეზღაპრე ალეხანდრო

**XIV ეტაპი 20 სექტემბერი**
**ალბასეტე - ვალდეპენასი 160 კმ**



REUTERS ვალდეპენასიდან

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3 სთ 46 წთ 13 წმ
2 ფრედ როდრიგესი (აშშ, ვინი კალდიროლა)
3 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი)
4 ტომას ბრუნი (დანია, CSC)
5 ტომ ბუმენი (ბელგია, ქუიქ სტეპი) ყველა იგივე დრო

**XV ეტაპი 21 სექტემბერი**
**ვალდეპენასი - ლა პანდერა 172 კმ**



REUTERS ლა პანდერადან

1 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) 4 სთ 20 წთ 39 წმ
2 ფელიქს კარდენასი (კოლუმბია, ლაბარკა) იგივე დრო
3 რობერტო ერასი (ესპანეთი, US პოსტალი) + 2 წმ
4 ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) + 10 წმ
5 მიგელ პერდიგუერო (ესპანეთი, დომინა ვაკანსე) + 56 წმ

**უქმეებზე** მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ეტაპები ისე მიეწყო, რომ მრბოლებს ჯამში 232-კილომეტრიანი მთიანი გზის დაძლევამ მოუწიათ. 48 საათში ამ ურთულეს რელიეფთა გავლას, ცხადია, არაადამიანური ჯანი და ნერვები სჭირდება. ამხელა დატვირთვას მხოლოდ რჩეულები უძლებენ.

იტალიელი ალესანდრო პეტაკი სწორედ რომ დღევანდელობის გამორჩეული სპრინტერია, ამიტომაც არავის გაჰკვირვებია მე-14 ეტაპზე მისი გაპირველება. პირიქით, ამას ელოდნენ კიდეც. ჰოდა, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის გამეორება, რომ პეტაკიმ წლეულს ჯიროზე 6, ტურ დე ფრანსზე 4, ხოლო ვუელტაზე უკვე მე-3 ეტაპის მოგება შეძლო და სეზონში მრავალდღიანების 13 მორჯულებული ეტაპი დაუგროვდა. დაგვეთანხმებით, შესაშური შედეგია. საკვირველი ის არის, რომ საერთო ჩათვლაში პეტაკი მესამე ათეულში ყურყუტებს.

თუ პეტაკის ჩაუქობა ჩვეულებრივი ამბავია, ლა პანდერას მთებში ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეს ყოჩაღობა დიდი მოულოდნელობა იყო. ვალვერდე ვაკემრბოლია და აღმართების დაძლევა ძალიან უჭირს ხოლმე. ამჯერზე კი არაქათგაცლილმა როგორღაც მიაღწია ფინიშამდე და ბოლო 100 მეტრზე აჩქარებით გაასწრო კოლუმბიელ ფელიქს კარდენასს. „არ დაგიმალავთ და, ამ ეტაპის მოგება ჩემთვისაც სიურპრიზი იყო. რბოლის წინ მთავარ მიზნად ათეული დავისახე, მაგრამ პირველი თუ ვიქნებოდი, ამას ვერც წარმოვიდგენდი. თავი ზღაპარში მგონია" — ნარბოლევს ალალად თქვა ვალვერდემ.

უქმეების ეტაპებმა საერთო ჩათვლის პირველ ხუთეულს ძვრა ვერ უყო. ყვითელი მაისურა ისევ ისიდრო ნოსალისაა, რომელმაც ბოლო ორი ეტაპი ისე გადაავორა, ჯამში ლიდერებთან 1 წუთი წააგო, რამაც საერთო ჩათვლაში მდევრებთან გვარიანი სხვაობა შეანარჩუნებინა.

**ბაჩო სვანიძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით**

| დრო | № | შეხვედრა | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. კონფერენსი. X ტური** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 060 | აკრინგტონი-ბარტონი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 23.45 | 061 | ალდერშოტი-ფარნბორო | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 062 | ალდერშოტი-ფარნბორო 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.45 | 063 | ჩესტერი-ნორთვიჩი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 064 | ჩესტერი-ნორთვიჩი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.45 | 065 | ფორესტ გრინი-უოკინგი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 23.45 | 066 | ჰერეფორდი-ტელფორდი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2.02 |
| 23.45 | 067 | მარგეიტი-ბარნეტი | 2,9 | 3,3 | 2,15 | 1,54 | 1,23 | 1,3 |
| 23.45 | 068 | მორკემბი-ლიჯი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.45 | 069 | შრუსბერი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2.21 |
| 23.45 | 070 | სტივენიჯი-გრეივსენდი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.45 | 071 | ტემუორთი-სკარბორო | 2,15 | 3.3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია B. VI ტური** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 176 | ალბინოლეფე-ლივორნო | 2.6 | 2.6 | 2.9 | 1,3 | 1,37 | 1,37 |
| 23.30 | 177 | აველინო-ტორინო | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 23.30 | 178 | ბარი-ტერნანა | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 23.30 | 179 | კალიარი-ასკოლი | 1,55 | 3,2 | 7,0 | 1.04 | 1,26 | 2,19 |
| 23.30 | 180 | კომო-პესკარა | 1,8 | 2,8 | 4,8 | 1,09 | 1,3 | 1,76 |
| 23.30 | 181 | ფიორენტინა-ატალანტა | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 23.30 | 182 | ჯენოა-ტრევიზო | 2,05 | 2,6 | 4,2 | 1,14 | 1,37 | 1,6 |
| 23.30 | 183 | მესინა-ტრიესტინა | 2,35 | 2,6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 23.30 | 184 | პიაჩენცა-ვიჩენცა | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1,75 |
| 23.30 | 185 | სალერნიტანა-პალერმო | 3,2 | 2,7 | 2,35 | 1,46 | 1,35 | 1,25 |
| 23.30 | 186 | ვენეცია-კატანია | 2,1 | 2.8 | 3,6 | 1,19 | 1,32 | 1,57 |
| 23.30 | 187 | ვერონა-ნაპოლი | 2,05 | 2.6 | 4,2 | 1.14 | 1,37 | 1,6 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 401 | გიოტებორგი-ორგრიტე | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1.28 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 402 | ლანდსკრონა-ჰელსინგბორგი | 2.5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1.4 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 412 | ასირისკა-ფრიოლუნდა | 2.2 | 3,5 | 2,6 | 1,35 | 1,19 | 1,49 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XXV ტური** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 413 | ჰეკენი-ატვიდაბერგი | 1,6 | 3.8 | 4,4 | 1,12 | 1,17 | 2,03 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 446 | ტამპერე-ლაჰტი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 20.30 | 447 | ინტერი-ალიანსი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1.48 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 448 | იარო-ჯაზი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 20.30 | 449 | კუოპიო-ჰამეენლინა | 1.9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 460 | ლონგფორდი-კორკი | 2.4 | 3,0 | 2,7 | 1.33 | 1,27 | 1.42 |
| 24.00 | 461 | დროგედა-შელბურნი | 3,3 | 3,2 | 2.0 | 1,62 | 1,24 | 1,23 |
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 10.00 | 679 | კობე-იოკოჰამა | 3.8 | 3,4 | 1,75 | 1,79 | 1,19 | 1,15 |
| 10.00 | 680 | ურავა-იჩიჰარა | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 11.00 | 681 | ტოკიო-ოიტა | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,23 | 1,21 | 1,57 |
| 11.00 | 682 | შიმიცუ-კიოტო | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 11.00 | 683 | ნაგოია-[illegible] | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 11.30 | 684 | კაშიმა-[illegible] | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 12.00 | 685 | კაშივა-სენდაი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 15.00 | 686 | გამბა-ჯუბილო | 2,35 | 3.2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 698 | სკანთორპი-ბარნლი | 3,4 | 3,4 | 1,9 | 1,7 | 1,21 | 1,21 |
| 23.45 | 699 | ბლეკპული-ბირმინგემი | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |
| 23.45 | 700 | ბრისტოლი-უოტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.45 | 701 | კარდიფი-უესტ ჰემი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 23.45 | 702 | ჰარტლპული-უესტ ბრომიჩი | 3,3 | 3,4 | 1,95 | 1,67 | 1,22 | 1,23 |
| 23.45 | 703 | ლესტერი-ქრიუ | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| 23.45 | 704 | ნოტსი-იფსვიჩი | 4,0 | 3,4 | 1,75 | 1,83 | 1,21 | 1,15 |
| 23.45 | 705 | პორტსმუთი-ნორთჰემპტონი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4,05 |
| 23.45 | 706 | როტერჰემი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 707 | შეფილდი-ქუინს პარკი | 1,55 | 3.5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 23.45 | 708 | სტოკი-ჯილინგემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 709 | ტრანმერი-ნოტინგემი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| 23.45 | 710 | ვულვერჰემპტონი-დარლინგტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.45 | 711 | უიმბლდონი-ასტონ ვილა | 6,5 | 3,8 | 1,45 | 2,39 | 1,18 | 1,04 |
| 24.00 | 712 | ჩარლტონი-ლუტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 24.00 | 713 | კრისტალ პალასი-დონკასტერი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2.92 |
| 24.00 | 714 | სანდერლენდი-ჰადერსფილდი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |
| 24.00 | 715 | უიგანი-ფულემი | 2,4 | 3,2 | 2,45 | 1,37 | 1,21 | 1,38 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 716 | ქოვენთრი-ტოტენჰემი | 3,4 | 3.3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |
| 23.45 | 717 | ლიდსი-სუინდონი | 1,3 | 4.6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |
| 23.45 | 718 | ოქსფორდი-რედინგი | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 24.00 | 719 | ბოლტონი-უოლსოლი | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| 24.00 | 720 | ევერტონი-სტოკპორტი | 1,15 | 6,0 | 12,5 | 1 | 1,05 | 4.05 |
| 24.00 | 721 | მიდლსბრო-ბრაიტონი | 1,35 | 4,2 | 7,5 | 1,02 | 1,14 | 2,69 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 722 | კლაიდი-რეითი | 1,5 | 3.8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 23.30 | 723 | დანდი იუნაიტედი-მორტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.30 | 724 | ქუინს პარკი-ლივინგსტონი | 7,5 | 4,2 | 1,35 | 2,69 | 1,14 | 1,02 |
| 23.45 | 725 | აბერდინი-ჰამილტონი | 1.2 | 5.3 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,57 |
| 23.45 | 726 | არბროთი-ფოლკირკი | 3,6 | 3,6 | 1,75 | 1.8 | 1,17 | 1,17 |
| 23.45 | 727 | ბრეჩინი-კილმარნოკი | 7,0 | 4,0 | 1,4 | 2.54 | 1,16 | 1,03 |
| 23.45 | 728 | ფორფარი-მაზერველი | 6,5 | 3,8 | 1,45 | 2,39 | 1,18 | 1,04 |
| 23.45 | 729 | ჰიბერნიანი-მონტროუზი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 23.45 | 730 | როსი-ქუინი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 23.45 | 731 | სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 732 | დანფერმლაინი-კოუდენბითი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 23.45 | 733 | პიტერჰედი-ჰარტსი | 5,3 | 3,6 | 1,55 | 2,14 | 1,19 | 1,08 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 734 | ბრესტი-გრენობლი | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |
| 23.00 | 735 | კლერმონი-ნიორი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 736 | ისტრი-შატორუ | 1,65 | 3,1 | 5,6 | 1,07 | 1,27 | 1,99 |
| 23.00 | 737 | ლავალი-გენგამი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.00 | 738 | ლორიანი-ბესანსონი | 1,55 | 3,2 | 7,0 | 1,04 | 1,26 | 2,19 |
| 23.00 | 739 | ნიმი-ლე ავრი | 3,1 | 2.9 | 2,3 | 1,49 | 1,32 | 1,28 |
| 23.00 | 740 | სედანი-რეიმსი | 1,55 | 3.2 | 7,0 | 1,04 | 1,26 | 2.19 |
| 23.00 | 741 | ტური-კანი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1.3 | 1,71 |
| 23.00 | 742 | ვალანსი-ანჟე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.00 | 743 | ვალენსიენი-კრეტეი | 2,7 | 2,8 | 2,6 | 1,37 | 1,32 | 1,34 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 744 | სტ.ეტიენი-რუანი | 1,7 | 3,1 | 5.0 | 1,09 | 1,26 | 1,91 |
| 23.00 | 745 | ამიენი-ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,6 | 1,11 | 1,29 | 1,77 |
| | | **ჰოლანდია. თასი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 746 | აპელდორნი-ვალვაიკი | 4.8 | 3,6 | 1.6 | 2,05 | 1,2 | 1,1 |
| 23.00 | 747 | ოსი-ტელსტარი | 1,7 | 3,5 | 4,2 | 1,14 | 1,21 | 1.9 |
| 23.00 | 748 | ვიტესი-სიტარდი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.00 | 749 | ჰაარლემი-კამბური | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| 23.00 | 750 | ექსელსიორი-ვენლო | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2.26 |
| 23.00 | 751 | სპარტა-გრაფსხაპი | 1,7 | 3,6 | 4,0 | 1,15 | 1,19 | 1,89 |
| 23.00 | 752 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 2,9 | 3,5 | 2,1 | 1,58 | 1,21 | 1,31 |
| 23.00 | 753 | როზენდალი-მაასტრიხტი | 1,2 | 5.6 | 10.0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 23.00 | 754 | ემენი-ვოლენდამი | 1,65 | 3.6 | 4.4 | 1,13 | 1,2 | 1,98 |
| 23.00 | 755 | დენ ბოსხი-ზვოლე | 2,25 | 3,4 | 2.7 | 1,35 | 1,22 | 1,5 |
| 23.00 | 756 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,85 | 3,4 | 3.5 | 1.19 | 1,21 | 1.72 |
| | | **დანია. თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 757 | ბ 1913-ბ93 | 2,4 | 3,4 | 2.45 | 1.4 | 1,21 | 1.42 |
| 21.00 | 758 | ნესტვედი-ნორდსჯელანდი | 2.4 | 3,5 | 2,4 | 1.42 | 1.2 | 1.42 |
| 22.00 | 759 | ვიბორგი-ორჰუსი | 2,1 | 3,4 | 3,0 | 1,29 | 1,23 | 1,59 |
| 22.00 | 760 | სილკებორგი-ჰერფოლგე | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |
| 22.00 | 761 | კოგე-ფრემადი | 3.0 | 3,4 | 2,1 | 1,59 | 1,23 | 1,29 |
| 22.00 | 762 | რანდერსი-ოდენსე | 1,75 | 3,6 | 3,6 | 1.17 | 1,17 | 1,8 |
| 22.00 | 763 | მიდტიულანდი-ფრემი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1.2 | 2.32 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 764 | ჰალმსტადი-ელფსბორგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1.1 | 1,21 | 2.09 |
| | | **უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 765 | ჰაპოელი(რ-გ)-ლევსკი | 4.6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 19.00 | 766 | ცსკა-ტორპედო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.30 | 767 | პანიონიოსი-ნორდსჯელანდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.30 | 768 | სარტიდი-სლავია | 2,6 | 3,2 | 2.45 | 1,43 | 1,26 | 1.38 |
| 19.55 | 769 | გენჩლერბირლიგი-ბლეკბერნი | 2,9 | 3,2 | 2.3 | 1.52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 770 | მაკაბი-[illegible] | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 20.30 | 771 | დინამო(ზ)-მტკ | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2.46 |
| 20.30 | 772 | ჰერტა-გროკლინი | 1,25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 21.00 | 773 | მეტალურგი-პარმა | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 21.00 | 774 | [illegible] | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 21.00 | 775 | ბრონდბი-შალკე | 1,6 | 3,6 | 5.0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 776 | ცემენტარნიცა-ლაციო | 4.8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 21.00 | 777 | ზალცბურგი-უდინეზე | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1.62 | 1.28 | 1,26 |
| 21.00 | 778 | სპარტაკი-ესბიერგი | 1,55 | 3.6 | 5.6 | 1,08 | 1.21 | 2.19 |
| 21.00 | 779 | ვალერენგა-გრაცერი | 2.5 | 3,2 | 2,5 | 1.4 | 1,25 | 1.4 |
| 21.00 | 780 | ჰარტსი-ჟელეზნიჩარი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1.2 | 2.32 |
| 21.15 | 781 | კაიზერსლაუტერნი-ტეპლიცე | 1,45 | 3,8 | 7.0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 21.30 | 782 | ლეირია-მოლდე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.30 | 783 | [illegible] | 1.5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.30 | 784 | ზიმბრუ-არისი | 2.7 | 3,2 | 2.4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 785 | [illegible]-როზენბორგი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 22.00 | 786 | მალათია-ბაზელი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 22.00 | 787 | პუხოვი-ბარსელონა | 8,0 | 4.2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 22.00 | 788 | დინამო(ბ)-შახტარი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.00 | 789 | გაზიანთეფი-ჰაპოელი(თ.ა) | 1,75 | 3,3 | 4.4 | 1.14 | 1,25 | 1,88 |
| 22.30 | 790 | გრასჰოპერი-ჰამბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1.16 | 1,24 | 1.8 |
| 23.00 | 791 | [illegible]-ბენფიკა | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1.62 | 1,28 | 1.26 |
| 23.05 | 792 | დანდი-პერუჯა | 3,4 | 3,2 | 2.05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 23.05 | 793 | ოდენსე-ცრვენა ზვეზდა | 2.3 | 3,2 | 2.9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.15 | 794 | ფერენცვაროში-კოპენჰაგენი | 2.3 | 3,2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23.15 | 795 | ოლიმპია-ლივერპული | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2.46 | 1.2 | 1,04 |
| 23.30 | 796 | პაოკი-ლინი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1.15 | 2.75 |
| 23.30 | 797 | აიკ-ვალენსია | 4,6 | 3.4 | 1.7 | 1.95 | 1,24 | 1.13 |
| 23.30 | 798 | აპოელი-მალიორკა | 4,8 | 3,5 | 1.65 | 2.02 | 1,22 | 1.12 |
| 23.40 | 799 | ავსტრია-დორტმუნდი | 3,0 | 3,2 | 2.25 | 1.54 | 1,28 | 1,32 |
| 23.45 | 800 | [illegible] | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1.02 | 1.15 | 2,75 |
| 23.45 | 801 | ნიუკასლი-ბრედა | 1,2 | 5.6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 23.45 | 802 | რომა-ვარდარი | 1,1 | 7.5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5.2 |
| 23.45 | 803 | საუთჰემპტონი-სტეაუა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1.04 | 1,2 | 2.46 |
| 23.45 | 804 | [illegible] | 1.5 | 3.8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 24.00 | 805 | [illegible] | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1.06 | 4,19 |
| 01.00 | 806 | ვილიარეალი-ტრაბზონი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1.15 | 2,75 |
| 01.00 | 807 | [illegible] | 1,45 | 3,8 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 808 | [illegible] | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1.13 |
| 21.00 | 809 | ჰამბურგი-დნეპრი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.00 | 810 | ვისლა-[illegible] | 1,6 | 3,6 | 5.0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 23.30 | 811 | ფეიენოორდი-კარნტენი | 1,2 | 5,6 | 11.0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 23.45 | 812 | ბორდო-[illegible] | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1021 | ზნოიმო-ლიბერეცი | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1022 | ზლინი-ვიტკოვიცე | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.00 | 1023 | ტრჟინეცი-ვსეტინი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1.06 | 1.06 | 2,5 |
| 20.00 | 1024 | ლიტვინოვი-კლადნო | 1,8 | 4,2 | 2.9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.30 | 1025 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 2,35 | 4,2 | 2,15 | 1,5 | 1,12 | 1.42 |
| 21.00 | 1026 | ლიბერეცი-კარლოვი ვარი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 21.00 | 1027 | პარდუბიცე-სპარტა | 1.95 | 4,2 | 2,6 | 1.33 | 1,11 | 1,6 |
| 21.00 | 1028 | სლავია-პლზენი | 1,7 | 4,4 | 3.2 | 1.22 | 1,11 | 1,85 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 1040 | ნიტრა-ჟილინა | 2.8 | 4,2 | 1,85 | 1,68 | 1.11 | 1,28 |
| 20.00 | 1041 | ზვოლენი-მარტინი | 1.25 | 5.3 | 7,0 | 1.01 | 1.06 | 3,01 |
| 20.00 | 1042 | ტრენჩინი-სლოვანი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1.3 | 1,11 | 1,64 |
| 20.00 | 1043 | მიკულაში-სკალიცა | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 20.00 | 1044 | პოპრადი-კოშიცე | 2.8 | 4.2 | 1.85 | 1.68 | 1,11 | 1,28 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1054 | მანჰაიმი-აისბერენი | 1.95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1.6 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 1071 | დავოსი-კლოტენი | 1,7 | 4,6 | 3,1 | 1,24 | 1,09 | 1,85 |
| 22.30 | 1072 | ცუგი-ლანგნაუ | 1.35 | 5.0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 22.30 | 1073 | ბერნი-ლუგანო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1.35 | 1,11 | 1,56 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1089 | იურგორდენი-ლინჩოპინგი | 1,55 | 5.0 | 3.5 | 1,18 | 1,07 | 2,05 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 1090 | მალმო-ფერიესტადი | 2.8 | 4.4 | 1,8 | 1,71 | 1,09 | 1,27 |
| 22.00 | 1091 | სოდერტელიე-მოდო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 22.00 | 1092 | ჰვ 71-ბრინესი | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| 22.00 | 1093 | ლეკსანდი-ტიმრო | 1.9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| 22.00 | 1094 | ფრიოლუნდა-ლულეო | 1.4 | 5.0 | 4,6 | 1,09 | 1,07 | 2,39 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1105 | იოკერიტი-ტუტო | 1,75 | 4.4 | 3,0 | 1,25 | 1,1 | 1,78 |
| 20.30 | 1106 | პელიკანსი-ლუკო | 2.45 | 4,4 | 2,0 | 1,57 | 1,1 | 1,37 |
| 20.30 | 1107 | საიპა-კერპეტი | 2,6 | 4,4 | 1,9 | 1,63 | 1,09 | 1,32 |
| 20.30 | 1108 | ტაპარა-ჰამეენლინა | 2,35 | 4,4 | 2,1 | 1,53 | 1,1 | 1,42 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1109 | ესპოო-ილვესი | 1,7 | 4.8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |

**კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს**

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## დევისის თასი. ნახევარფინალი. მსოფლიო ჯგუფი

**ავსტრალია — შვეიცარია 3:2**

*19 სექტემბერი:* ლეიტონ ჰიუიტი — მიხეილ კრატოხვილი 6:4, 6:4, 6:1; მარკ ფილიპუსისი — როჯერ ფედერერი 3:6,4:6, 6:7 (3:7)

*20 სექტემბერი:* ტოდ ვუდბრიჯი, უეინ ართურსი — ფედერერი, მარკ როსე 4:6, 7:6 (7:5), 5:7, 6:4,6:4

*21 სექტემბერი:* ჰიუიტი — ფედერერი 5:7, 2:6, 7:6 (7:4), 7:5, 6:1; ვუდბრიჯი — კრატოხვილი 4:6 ვუდბრიჯმა შეწყვიტა.

**ესპანეთი — არგენტინა 3:2**

*19 სექტემბერი:* ხუან კარლოს ფერერო — გასტონ გაუდიო 6:4, 6:4, 6:0; კარლოს მოია — მარიანო საბალეტა 5:7, 2:6, 6:2, 6:0, 6:1

*20 სექტემბერი:* ალექს კორეჩა, ალბერტ კოსტა — ლუკას არნოლდი, აგუსტინ კალიერი 3:6,6:1, 4:6, 2:6

*21 სექტემბერი:* ფერერო — კაიერი 4:6, 5:7, 1:6; მოია — გაუდიო 6:1, 6:4, 6:2

პარასკევ-უქმეებზე დევისთასის მსოფლიო ჯგუფს შერჩენილმა ოთხეულმა ფინალისტთა ვინაობა გაარკვია — 28-30 ნოემბერს თასის 27-გზის მფლობელი ავსტრალიელები 2000 წლის ჩემპიონ ესპანელებს უმასპინძლებენ; მსოფლიო ჯგუფსმგარე მყოფი ნაკრებები კი ერთმანეთს საგაისჯგუფოდ ერკინენ და ტურნირის ყველაზე მრავალგზის მაიოხარმა ამერიკელებმა ზეპურ მარაქაში გარევის უფლება მხოლოდ ენდი როდიკის ნაგვიანევი გამარჯვებით მოიპოვეს.

ფინალში მოსახვედრად ოზებს შვეიცარიის ნაკრებთან, უფრო სწორად კი, წლევანდელი უიმბლდონის გამარჯვებულ, უდახვეწილეს როჯერ ფედერერთან ბუდრაობა მოუხდათ. ფედერერმა პირველ დღეს მარკ ფილიპუსისს აჯობ — ისევე დამაჯერებლად, როგორც რომ სწორედ უიმბლდონურ ფინალში. შაბათს მან საწყვილო მატჩშიც დაიდო წილი და მარკ როსესთან ერთად ვუდბრიჯ-ართურსის წყვილს ხუთ სეტად ეომა, თუმცა — წარუმატებლად.



კარლოს მოია



ლეიტონ ჰიუიტი

# ჰიუიტმა ფედერერთან დიდი სიამოვნება განიცადა

ყველაფერი კი მისი და ამქრის ოდინდელი პირველოსნის, წლეულს ჩამოლაბორანტებული, მაგრამ ჯიგარში მაინც გაუნელებელი ცეცხლის მომძიები ლეიტონ ჰიუიტის კეჭნაობამ გადაწყვიტა. მესამე სეტის მეცხრე გეიმამდე ფედერერი მასპინძელთა მთავარბიჭს შეგირდივით აბითურებდა, 5:3-ზე კი, როცა გამარჯვებამდე რამდენიმე ქულიანი დარტყმაღა აშორებდა, ჩარხი უკუღმა დატრიალდა. მიმომხილველთა აზრით, როჯერს წინა დღის ხუთსეტიანი გარჯა დაეტყო, თუმცა არც იმის უგულებელყოფა იქნება, რომ უკიდურესი განწირულების მომენტში კისკასი ოზბიჭი სწორედ ისე ათამაშდა, მისი უდიდესი გამარჯვებებისას რომ იცოდა. ასეთი აგრესიული, მიძალებული და თავისი თავის სალამანდრისებრ ამგიზგიზებელი ჰიუიტი დიდი ხანია, არვის უნახავს. მას ყველაფერი გამოსდიოდა, ზორბა ალპელი კი ნელ-ნელა საერთოდ წახდა და გადამწყვეტი სეტი სულაც უბრძოლველად დათმო. ეს გამარჯვება ოზიმ თავისი „კარიერის საუკეთესო და ყველაზე დიდი სიამოვნების მომგვრელად" შეაფასა....

ავსტრალიელთაგან განსხვავებით მილეთი იოლ გამარჯვებას ალუთქვამდა ესპანელებს — მათ ხომ უდავიდნალბანდიანო და უგელერმოკორიაო არგენტინა უნდა მიეღოთ. შეხლის პირველმა დღემ ეს მოლოდინი გაამართლა კიდეც, რაკილა ხუან კარლოს ფერერომაც და კარლოს მოიამაც თავ-თავიანთ ამოცანებს მეტ-ნაკლები წარმატებით გაართვეს თავი — პირველმა გაუდიოს პირადი ანგარიში გაუთანაბრა (6:6), მეორემ კი საბალეტას ორსეტიანი უპირატესობა ალმოუფხვრა და ახლა ჯამში 4:1 უგებს.

დალაგებული საქმე შაბათს აირია, როცა ლუკას არნოლდისა და აგუსტინ კაიერის სადევისოდ პირველად დარაზმულმა ჯუფთმა სიძე-მეჯვარეს — ალ კოსტასა და ალექს კორეჩას აჯობა. ამას ისიც დაერთო, რომ კაიერიმ — ვინაც მსოფლიო ჯგუფში თავის პირველ საერთეულო მატჩს მართავდა — წლევანდელი როლან გაროსის ჩემპიონი ფერერო მოდრიკა. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ყველაფერი უკანასკნელ შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო. მოიასა და გაუდიოს აქამდე ერთხელ ეთამაშათ და ისიც არგენტინელს მოეგო. ამიტომაც ივარაუდებოდა, რომ ძალზედ დაძაბულ ბრძოლას ვნახავდით. სამწუხაროდ, ვერც ამჯერად მოგვერთვა — მოიამ მეტოქე თავიდანვე ამოილლიავა და ისე მოთელა, მასთან შეთანაბრების შანსი ერთხელაც არ მიუცია.

შედეგად: ნოემბრის ბოლო სამ დღეს ოზები ესპანელებს სავარაუდოდ ბალახსაფარზე მიიღებენ და რამდენადაც ჯიშად მეთიხნარე იბერიელები ბალახს მაინცდამაინც არ ჰყვარობენ, 28-ედ გაჩემპიონებასაც ეცდებიან.

რაც შეეხებათ ამერიკელებს, ისინი ბრატისლავაში სტუმრობდნენ და გაჭირვებით — 3:2 იმარჯვეს. შეხლის ანტიგმირისა და გმირის როლი ახლახან აშშ-ის ღია პირველობის მომგებმა ენდი როდიკმა შეითავსა. მან ჯერ პარასკევს დომინიკ ჰრბატისთან წააგო, რითაც 19-მოგებიან სერიასაც გამოეთხოვა, ხოლო კვირას გადამწყვეტ მატჩში კაროლ ბეკს მოერია 6:3, 6:4, 6:4.

გასვლითი სადევისო გამარჯვება ამერიკელებს უკვე 4 შეხლ იყო, აღარ მიეთვალათ — ანუ მას შემდეგ, რაც მათი კაპიტანი პატ მაკინროი შეიქნა.

სხვაფრივ — მაქს მირნიმ რაინერ შუტლერს სეტისწაუგებლად მოუგო და ბელარუსს სენსაციურად გაათელინა გერმანია 3:2. ავსტრიამ ბელგიას აჯობ 3:2, კანადამ — ბრაზილიას 3:2, ეკვადორ — რუმინეთისა დ მაროკო— ბრიტანეთის შეხლები კი გუშინ უნდა მომთავრებულიყო — გადამწყვეტი მატჩების გადადების გამო.

**ძარლო გოგოლი**

# ელენა თბილისელი გოგოა



ელენა ვესნინა

**საერთაშორისო** სტანდარტებით მცირე საპრიზო ფონდიან თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირს ექვსწლიანი ისტორიის მანძილზე ბევრი ისეთი სპორტსმენი სწვევია, დღეს რომ ჩოგბურთში თავისი სიტყვა ეთქმით. შაბათს დასრულებული მეშვიდე პირველობა კი მოულოდნელობებით ალსავსე გამოდგა. ნაკვალიფიკაციევმა ჩოგბურთელებმა განთესილებს ტოლი არ დაუდეს და ბევრიც გაამწარეს. მთავარი აღმოჩენა კი 17 წლის სოჭელი ელენა ვესნინა გახდა, რომელმაც თითქმის ყველა შეხვედრაში უკეთეს რეიტინგიანს სძლია, ნახევარფინალში კი სულაც პირველი ნომერი ოლგა ბარაბანშიკოვა გაანადგურა.

ფინალამდელი კარგი თამაშის მიუხედავად, ვესნინას ჩემპიონობას ბევრი მაინც არ ელოდა. მისმა კბილა უკრაინელმა მეტოქემ, მარია კორიცევამ ტურნირის მოგებაზე სერიოზული განაცხადი ჯერ კიდევ მეოთხედფინალში, ანასტასია როდიონოვას გაცამტვერებით გააკეთა. ჰოდა, ფინალიც საკმაოდ დაძაბული და ლამაზი სანახავი გამოვიდა. მაყურებლის დიდი ნაწილი ვესნინას ქომაგობდა და რუსმაც არ გააცრუა იმედები. პირველ სეტში გადამწყვეტი მეცხრე გეიმი აღმოჩნდა, როდესაც ვესნინამ მოწინაალმდეგის მოწოდება მოიგო და 5:4 დაწინაურდა. ამას თავისი მოწოდებაც მიაყოლა და ნახევარი საქმეც გააკეთა. მეორე სეტში იგი უფრო უკეთ ათამაშდა, ხოლო კორიცევამ შეცდომებს უმატა და სულ მალე მარცხსაც შეეგუა. 6:3 და სოჭელმა ელენამ კარიერაში პირველი 25-ათასიანი ტურნირი მოიგო, რითაც ჯიბეში 2940 დოლარი ჩაიდო. უკრაინელს კი 1666 დოლარი ერგო.

წარმატებით უზომოდ გახარებულ და ნაცნობ-უცნობი ქართველების მილოცვებით დაბნეულ ვესნინას კუთვნილი ჯილდოს მისაღებად დაახლოებით ნახევარსაათიანი ლოდინი დასჭირდა, რითაც ვისარგებლეთ და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**— თბილისამდე რა მიღწევები გქონდათ, მოგიგიათ ანალოგიური ტურნირი?**

— ჯერ 17 წლის ვარ და ძირითადად საჩემასაკო პირველობებში ვთამაშობდი, თუმცა წლეულს უკვე დიდებშიც მოვსინჯე ძალა და ორჯერ ათიათასიანი ტურნირის ფინალშიც გავედი. მათგან ერთი ივლისში რუსეთში მოვიგე. 25-ათასიან ტურნირში, ეს ჩემი პირველი წარმატებაა.

**— ფინალში მაყურებელთა დიდი ნაწილი თქვენ გქომაგობდათ.**

— თბილისურ ტურნირში პირველად ვითამაშე და მიხარია, რომ ჩემთვის ბედნიერი აღმოჩნდა. ფინალში ქართველი ქომაგის მხარდაჭერა სიურპრიზი სულაც არ ყოფილა. ამას წინა დღეებშიც ვგრძნობდი, რისთვისაც დიდ მადლობას ვიხდი.

**— ბათუმში თუ აპირებთ ჩასვლას?**

— ბათუმის ტურნირი კიდევ უფრო მაღალი დონისაა და მასზე სათამაშოდ აუცილებლად ჩავალ, თუმც იქ გამარჯვება გაცილებით ძნელი იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ხელბურთი

# უთასო მეთასის თასი გაგონილა?!

**ევროპაში** მორიგი სახელბურთო სეზონი გაიხსნა: გასულ უქმეებზე ჩემპიონთა ლიგისა და თასების მფლობელთა თასის შესარჩევი რაუნდის მატჩები ჩატარდა.

საქართველოს ლიგაში წარმომადგენელი არ ჰყავს, ხოლო გაუთამაშებელი ეროვნული თასის მომპოვებლის სახელით „ქუთაისი" ესტონეთის „პოლვა სერვიტის" შეხვდა. უფულობის გამო ქუთათურებმა საშინაო თამაშიც მეტოქის მოედანზე გამართეს, თანაც ავტობუსით ოთხდღიანი წვალების შემდეგ ჩააღწიეს ესტონეთს. შედეგიც ლოგიკურია, მასპინძლებმა წინასწარვე განწირულ ქართველებს ადვილად მოუთავეს საქმე — 38:19, 31:22. ჩვენებიდან ყველაზე მეტი გოლი ვეტერანმა ალეკო ბოყოჩაძემ გაიტანა — შესაბამისად 10 და 7.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვამეკიძე, ლაშა ხოჭოლავა, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge